

**ვახტანგ მაღრაძე**

**კასპის რეგიონის ტოპონიმია**

(ტოპონიმთა ანბანური, ინვერსიული და მეტსახელთა  
ლექსიკონებით)

**თბილისი**

**2021**

ნაშრომის დანიშნულებაა დაადგინოს საკვლევი რეგიონის ტოპონიმის სტრუქტურა და გამოჰყოს სათანადო სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები: შეისწავლოს სიტყვაწარმოების სისტემა, კერძოდ, გაარკვიოს აფიქსების ფუნქციები, მათი არეალური განაწილება და პროდუქტიულობა; აღწეროს ტოპონიმის შემადგენელი კომპონენტების (ფუძისა და აფიქსების, სხვადასხვა ფუძის) კომბინატორული შესაძლებლობები: აღწეროს რეგიონში მოქმედი ძირითადი ფონეტიკური თავისებურებები და სხვ.

შემოთავაზებულია ტოპონიმთა დაწერილობის ახლებური (ერთი სისტემით გამართული) მიდგომა, რაც გაამარტივებს გეოგრაფიულ სახელთა მართლწერას.

კვლევას ახლავს ავტორის მიერ რეგიონში მოპოვებული ტოპონიმთა ანბანური, ინვერსიული და მეტასახელთა ლექსიკონები, თქმულებები, გამომცემები, ცალკეულ ტოპონიმთა ისტორიები, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.

ნაშრომი გამოადგებათ ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებსა და ქართული ონომასტიკით დაინტერესებულ მკითხველებს.

რედაქტორები: აკად. წევრ.-კორ., პროფ. [ივანე გიგინიეშვილი]  
ფილოლ. მ. დ., პროფ. შუქია აფრიდონიძე

რეცენზენტები: აკად., პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე  
ფილოლ. მ. დ. [გურამ ბედოშვილი]

ტექნიკური რედაქტორი: **ლევან ვაშაკიძე**

@ თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი 2021

ISB

## სარჩევი

შესავალი .....	5
თავი I. ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი .....	19
თავი II. ტოპონიმთა სტრუქტურა .....	30
1. უაფიქსო, მარტივი სახელები .....	30
2. ნაწარმოები სახელები .....	33
ა) ბოლოსართებით ნაწარმოები სახელები .....	34
ბ) თავსართებით ნაწარმოები სახელები .....	50
გ) თავსართ-ბოლოსართებით ნაწარმოები სახელები ..	52
3. სიტყვაშეერთებით მიღებული სახელები (კომპოზიტები) .	57
მსაზღვრელ-საზღვრულის სემანტიკა .....	58
ა) ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები .....	59
ბ) მართულმსაზღვრელიანი სახელები .....	69
გ) საზღვრული ინდიკატორები .....	75
დ) სამსიტყვიანი რთული ტოპონიმები .....	80
ე) „სინონიმური“ რთული ტოპონიმები .....	82
ვ) რთულ ტოპონიმთა მართლწერისათვის .....	85
4. ფორმაუცვლელი სახელები .....	94
თავი III. ტოპონიმთა სემანტიკური კლასიფიკაცია .....	99
1. ჰიდრონიმები .....	99
2. ფლორის აღმნიშვნელი სახელები .....	107
3. საკრალური ტოპონიმები .....	112
4. არაქართული ტოპონიმები .....	116
თქმულებები, გადმოცემები, ცალკეულ ტოპონიმთა ისტორიები	119
რეზიუმე რუსულ ენაზე .....	134
ლიტერატურა .....	150
ინფორმატორთა სია .....	159
საკუთარ სახელთა სამიებელი .....	161
პირთა სახელები .....	161
გეოგრაფიულ სახელთა .....	166
დანართი .....	189
ტოპონიმთა ანბანური ლექსიკონი .....	193
ტოპონიმთა ინვერსიული ლექსიკონი .....	275
მეტსახელთა ლექსიკონი .....	315



*კუძღვნი ტრაგიკულად დაღუპული შვილის –*

*აჩიკო (არჩილ) მაღრაძის*

*ნათელ ხსოვნას*

## შესავალი

ნაშრომი ეძღვნება შიდაქართლის ერთი რეგიონის, დღევანდელი კასპის მუნიციპალიტეტის, ტოპონიმიკური მასალის ანალიზს. შიდაქართლის ეს ტერიტორია გეოგრაფიულად ქართლის საკმაოდ დიდ ნაწილს მოიცავს. რეგიონის თანამედროვე ადმინისტრაციული საზღვრებია: ჩრდილოეთით – ახალგორის, აღმოსავლეთით – დუშეთისა და მცხეთის, სამხრეთით – თეთრი წყაროსა და წალკის, დასავლეთით – გორის მუნიციპალიტეტები. რეგიონის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები მდინარე მტკვრითაა გაყოფილი და ძირითადად მოიცავს: ლეხურისა და ქსნის (ქვემოწელის) ხეობებს, სამხრეთით კი – თემისხეობას.

უძველესი ქართული ცნობები კასპის რეგიონის სოფლებისა და სხვა გეოგრაფიული ობიექტების, აგრეთვე, თავად ქალაქ კასპის შესახებ გვხვდება ლეონტი მროველის „მატიანე“-სა და ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში.

ახლანდელი ქალაქის ტერიტორიაზე, წყაროების მიხედვით, ადამიანს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში უცხოვრია. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ კასპს ქართლის ოთხ უძველეს ქალაქს შორის მოიხსენიებს, ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელამდე. ლეონტი მროველი ქალაქის დაარსებას ქართველთა ერთ-ერთ ეთნარქს, უფლოსს მიაწერს: „ხოლო უფლოს დარჩა სოფელსა მამისა მცხეთოსისასა მცხეთას, და მან აღაშენა უფლისციხე, ურბნისი, კასპი“ (ლეონტი მროველი 1955, 40). V ს-ში კასპი ციხექალაქია. VIII ს-ის 30-იან წლებში იგი სარდალმა მუეგანყრუმ დაარბია. XVI ს-იდან კასპი მსხვილ საგვარეულოს – ამილახვრებს ეკუთვნოდა.

კასპში შემორჩენილია ფეოდალური ხანის ეკლესიები – **კვირაცხოველი, ღვთიშობელი** და „**შუბნიშანი**“. კასპის სამაროვანი, მდინარე ლეხურის მარჯვენა ნაპირზე, გვინადელი ბრინჯაოსა და რკინის (ძვ. წ. XIV-VIII სს.) ხანით თარიღდება (ფიცხელაური 1973, 66). კასპის არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა, რომ ლეხურისხეობა დასახლებული ყოფილა გვიანბრინჯაოს პერიოდში VIII-VII საუკუნეებში ძვ. წ. (მაკალათია ს., 1964, 4). მსგავსი სამაროვნებია ამავე რეგიონში: მეტეხში, კავთისხევში, ხოვლეში, ალაიანში. ძვ. წ. XIII ს-ს მიაკუთვნებენ ნოსტეს სამაროვანს (ფიცხელაური 1973, 66). რეგიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. სოფელ ხოვლეში გაითხარა მრავალფეროვანი ნამოსახლარი „ხოვლგორა“, რომლის კულტურულ ფენას ძვ. წ. II ათასწლეულს მიაკუთვნებენ (ფიცხელაური, 1973, 16). კიდევ უფრო ძველ ნამოსახლარად მიიჩნევენ სოფლის განაპირა ხოვლგორას, რომლის შემადგენელი სხვადასხვა სტატოგრაფიული ჰორიზონტის ქრონოლოგიური ჩარჩოებია ძვ. წ. XV-IV სს (ფიცხელაური 1973, 21).

ნასოფლარში ფეოდალური ხანის ჭურჭლის ფრაგმენტებიც მოიპოვება. ვარაუდობენ, რომ სწორედ ეს იყო ძველი **ხოვლე** და, შესაძლოა, ამით აიხსნებოდეს, რომ ამ გორას დღეს **ხოვლგორა** ეწოდება<sup>1</sup>. რაიონში არის მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებიც: იდლეთისწმინდა **ნათლისმცემლის** (VI ს.), კაბერის (X-XI სს.) და იკვის **წმინდაგიორგის** (XI ს.), ქვათახევის მონასტერი (XII-XIII სს.), მაღალანთეკლესია (XII ს-ის ბოლო) წინარეხის მიდამოებში – რკონის სამონასტრო ანსამბლის ბაზილიკა (ადრინდელი შუა საუკუნეები) და ერთაწმინდის **წმინდაესტატეს** (XIII ს.) ეკლესიები, გუდალეთის **ღვთიშობლის** ტაძარი (XIII-XIV სს-ის მიჯნა), გიორგი სააკაძის კოშკი (XVIII ს.) ნოსტეში, სხვილოსციხე (შუა საუკუნეები) (ქსე).

მრავალი თანამედროვე ტოპონიმის – ხევის, მთის მდინარის, ტბის, სოფლისა და სხვა სახელწოდება მოხსენიებულია ვახუშტის

---

<sup>1</sup> ნ. ბერმენიშვილის მოსაზრებით, შეიძლება უძველეს დროს ამ გორას ერქვა **ხოვლე** თუ **ხომლე**, ან **ხოვლევი** (ნ. ბერმენიშვილი 1975, 26).

„აღწერა“-ში. განსხვავებას ის ქმნის, რომ ზოგიერთი მაშინდელი ქალაქი და მჭიდროდ დასახლებული პუნქტი დღეს მხოლოდ ნასოფლარია.

მცხეთოსმა „ოდრკოს აღაშენა ქალაქნი, **ოდრკე** (ხაზი ჩვენია) და **თუხარისი**“ (ჯანაშია 1952, 204) „და დაურჩეს ციხე-ქალაქნი **თუხარისი**, **სამშვლდე** და მტუერის ციხე...“ (ლეონტი მროველი 1955, 122). ხოლო გუდარებს არის მონასტერი უგუმბათო...“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973, 326).

არც **თუხარისი** და არც **გუდარები**, ისევე როგორც მრავალი სხვა სოფელი, დღეს აღარ არსებობს.

**გუდარების** ნაცვლად თითქმის იმავე ტერიტორიაზე გვხვდება **გუდალეთი**. ოიკონიმთა პირველი კომპონენტი (**გუდა**) საერთო ჩანს. ტოპონიმ **გუდარების** მეორე ნაწილი – **რები** სოფლის სახელწოდებად გვხვდება ცალკეც – „**რები**“ და კომპოზიტშიც – **წინარები**. თუ **რებში** -**ებ** ელემენტს სუფიქსად მივიჩნევთ<sup>2</sup>, ძირში დაგვრჩება **რ. გუდალეთ**-ში კი **-ეთ** გეოგრაფიულ სახელთა გავრცელებული მაწარმოებელია, **ლ** კი განვითარებული უნდა იყოს.

საინტერესოა სამი ოსური სოფლის სახელწოდება: **სარიბარი**, **ყარაფილა** და **რენე** (ზემო და ქვემო). ეს სოფლები დაუსახლებიათ მე-19 საუკუნის დასაწყისში ოსეთიდან (კავკასიონზე) გადმოსულ ოსებს. სარიბარის მოხუცებულ მცხოვრებთა მონაყოლით, მეფის რუსეთის მთავრობას ახალმოსახლეები გაუთავისუფლებია გადასახადებისაგან და სოფლისთვისაც **სარიბარ**-ი უწოდებიათ, რაც ოსურად – **თავისუფალს** ნიშნავს. ყარაფილას და რენეს კი არც ძველ და არც ახალ ტერიტორიაზე არ ეძებნება ქართული თუ ოსური შესატყვისები. ეტყობა, დაუსახლებელი ადგილები აუთვისებიათ. სახელი **ყარაფილ**-ი გვხვდება ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა“-ში: „ესმა რა ესენი შაჰ ისმაილს, მაგრება და სპითა შეკრება მეფისაგან, წარმოავლინა სპასპეტი თვისი **ყარაფილ** სპითა დიდითა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973,

---

<sup>2</sup> მ. ჩიქოვანს **-ებ** და **-ახ** ფორმანტებად მიაჩნია და **რ-ებ**-ში **-ებ**-ს გამოყოფს: „**-ებ**,**-ახ** თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება: კენჭ-**ებ**-ი, (კენჭი), რ-**ებ**-ი, ჭანჭა-**ახ**-ი (ჭენჭ-**ებ**-ი...)“ (მ. ჩიქოვანი 1949, 235).

398). ცნობილია, რომ ამ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ და - შეიძლება მინდორს გამარჯვებული სარდლის სახელი ეწოდა (მითუმეტეს, რომ ეს სიტყვა თურქულია), რომელიც შემდეგ თვით სოფელსაც გადმოეცაო. ამდენად, უფრო სარწმუნოა ს. მაკალათიასეული დაკავშირება: „ქემენარის ადგილას ახლა ოსების სოფელი **ყარაფინას**” (ს. მაკალათია 1964, 11) **ყარაფილა – ყარაფინას** იდენტიფიკაციას რაიმე ფონეტიკური დაბრკოლება არ ელობება (ნ/რ მონაცვლეობა ადვილად მოსალოდნელი პროცესია).<sup>3</sup>

ზოგ ტოპონიმს მცირეოდენი გრამატიკული სახეცვლილება განუცდია. მაგ., დღევანდელი სოფელი **თვალ-ად-ი**, ვახუშტი ბატონიშვილთან **თვალ-ივ-ად** იხსენიება (ვახუშტი 1941, 93). **-ივ**<sup>4</sup> ელემენტი, ისევე, როგორც **-ად**<sup>5</sup> წარმოშობით ბრუნვის ნიშანია. ამდენად, ამ მაწარმოებელთა მონაცვლეობა მოულოდნელი არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში ამ რეგიონის დასახლებული პუნქტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში (III-IV სს.) კასპი და მისი მიდამოები გარკვეულ როლს თამაშობდა ქართლში ამ ახალი მოძღვრების დასაწერგვად. მატიანის მიხედვით, პირველ ქრისტიან მეფეს, მირიანს, მზე დაუბნელდა კასპის სანახებში. ამის შესახებ ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხრანისა და ალვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რა-

---

<sup>3</sup> ამ თუ იმ გეოგრაფიული სახელწოდების აპელატიური მნიშვნელობის ასხნა-განმარტება უცდიათ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოს-გეოგრაფები (პეროდოტე, სტრაბონი, ტაციტუსი, პ. მელა და სხვ.), რომლებიც თავიანთ შრომებში ახდენდნენ ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების ეტიმოლოგიზებას.

<sup>4</sup> როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს, **-ივ** მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციითაც გვევლინება (არნ. ჩიქობავა 1942, 91). ადრინდელ ტოპონიმთა შეპირისპირება (თვალ-ივ-ი, თვალ-ად-ი) ნათელყოფს **-ივ** და **-ად** სუფიქსების ბრუნვის ნიშნისეულობას. ამჟამად კი **-ივ** ელემენტი სიტყვაწარმოებით ფორმანტადლა შემორჩა ქართულ ზმნისართებს (გ. მაკალათია 1976, 32).

<sup>5</sup> „ად“ სუფიქსი მქონეობისა და დანიშნულების გამომხატველია **თვალად-ი**, ე. ი. თვალად კარგი შესახედავი, გამოსაჩენი (ი. ჯავახიშვილი 1976, 56).



თამცა მონინახულა კასპად და უფლისციხედ, განვიდა თხემსა მთისას, შუა სამხრისა ოდენ დაბნელდა მზე მთასა ზედა და იქმნა ღამეზნელი“ (ლეონტი მროველი 1955, 109).

კასპის რაიონში მრავლად გვხვდება თქმულება, ლეგენდა, გადმოცემა, როგორც ცალკეული ტოპონიმებისა, ასევე ლეგენდადქცეულ პირთა შესახებ.

შიდაქართლის ხეობათა შესწავლას, ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისტორიული წარსულის გასაცნობად. ბუნებრივია, რომ ამ საკითხების კომპლექსურად შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტოპონიმური მასალის ლინგვისტურ ანალიზს – როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური ასპექტით.

მასალა მოპოვებულია ადგილზე 1980-1984 წლებში სამეცნიერო მივლინებების დროს<sup>6</sup>. ჩაწერილი ტოპონიმები შედარებულია თსუ ტოპონიმის ლაბორატორიის ფონდში დაცულ მასალასთან<sup>7</sup>.

აღნუსხულია რეგიონის მრავალი სახის გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება– სოფლებისა და ნასოფლარების, მთებისა და მდინარეების, აგრეთვე, უმცირესი გეოგრაფიული ობიექტების (მინდვრების, სახნავების, ნაკადულების...) სახელები, რომელთა რაოდენობა 6000 ერთეულს აღწევს (აქვე შედის ლაბორატორიის მასალაც).

გამოკვლევაში გაანალიზებულია ტოპონიმის ლაბორატორიაში არსებული განსხვავებული მასალაც. ლექსიკონებში კი ასახულია მხოლოდ ჩვენ მიერ მოპოვებული გეოგრაფიული სახელები.

საკვლევი რეგიონის ზოგიერთი სოფელი (მაგ., სამთავისი, ნოსტე, ახალქალაქი, ცხირეთი, ყარაღაჯი...) თავისი არსებობის რამდენიმე საუკუნეს ითვლის (ქართლის ცხოვრება 1959, 122, 386, 409, 438...), ზოგი კი, სულ რაღაც საუკუნეზე მეტი ხნისაც არაა (მაგ., ზემორენე და ქვემორენე, ჩობალაური, ფერმა, სარიბარი...).

---

<sup>6</sup> ნაშრომი დაცულია 1986 წელს საკანდიდატო დისერტაციად. გამოქვეყნებულად ამ სახით მზად იყო 1988 წელს, თუმცა, შეტანილია გარკვეული შესწორებები და დამატებები.

<sup>7</sup> გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ლაბორატორიის ხელმძღვანელს, პროფ. პაატა ცხადაიას.

მასალა ნაირგვარია და ეს არა მარტო თვისებრივ მხარეს ეხება, არამედ რაოდენობრივსაც. ეს სხვადასხვაობა და სიჭრელე სხვადასხვა სოფლის მოსახლეობის სპეციფიკური შემადგენლობითა და მიგრაციების ხასიათითაა შეპირობებული. როგორც ნაწილობრივ უკვე აღინიშნა, კასპის რაიონის მოსახლეობა არაერთგვაროვანი შემადგენლობისაა. ძირითადი მოსახლეობა ქართველობაა. მკვიდრ ქართლებთან ერთად სახლობენ ხევსურებიც (ს. ჩობალაური), მთიულები (ს. მთიულთუბანი), მე-19 ს-ის პირველ ნახევარში ახალქალაქის სამხრეთით მოსახლეობა უკვე აღარ იყო. შემდეგში აქ გადმოსახლებულან არაგვისხეობის მთიულები (ს. მაკალათია 1959, 8), რომელთაც უჭირავთ თემის მარჯვენა მხარე, მარცხენა მხარეს კი, ოსები დასახლებულან. ისტორიული ზემოქართლიდან – სამაჩაბლოდან – გადმოსულ ქართველებთან ერთად ცხოვრობენ ოსებიც (მაგ., ს. ბოჭამსა და ს. სამთავისში). არის ძირითადად ოსებით დასახლებული სოფლებიც: ვაკე, გორაკა, რენე (ქვემო და ზემო)... ამ რეგიონში სახლობენ აგრეთვე აზერბაიჯანელები, სომხები და რუსები. ეს უკანასკნელნი მცირერიცხოვანნი არიან და შერეულ მოსახლეობას ეკუთვნიან: საკუთარი სოფელი – ისეთი, როგორც ქართველთაგან ხევსურებსა და მთიულებს, ანდა ოსებსა და აზერბაიჯანელებს აქვთ – მათ არ აქვთ.

მიუხედავად მოსახლეობის ამგვარი სიჭრელისა, ურთიერთობისას ენობრივი ბარიერის პრობლემა არ დგას: ამ სოფლების არაქართველი მოსახლეობაც თავისუფლად ფლობს და იყენებს ქართულ ენას.

1977 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რაიონში სულ 71 დასახლებული პუნქტია, რომელთაგან ერთი – კასპი – ქალაქია, დანარჩენი კი – სოფლები. რაიონში ერთი საქალაქო და 17 სასოფლო თემია, რომლებიც მუნიციპალიტეტებში შემდეგნაირადაა განაწილებული:

1977 წლის აღწერა<sup>8</sup>

1930 წლის აღწერა

I. კასპის მუნიციპალიტეტი

- |                  |                         |
|------------------|-------------------------|
| 1. ქ. კასპი      | 1. ქ. კასპი             |
| 2. ს. მირიანი    | 2. ს. მირიანეული        |
| 3. ს. მიქელწყარო | 3. ს. ალაიანი           |
|                  | 4. ს. საქადაგიანო       |
|                  | 5. ს. ფერმა (ჩანგილარი) |

II. ალაიანის მუნიციპალიტეტი

4. ს. ალაიანი
5. ს. საქადაგიანო
6. ს. ხიდისყური

III. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

- |                   |                                |
|-------------------|--------------------------------|
| 7. ს. ახალქალაქი  | 6. ს. წითელქალაქი (ახალქალაქი) |
| 8. ს. ახალსოფელი  | 7. ს. ახალსოფელი               |
| 9. ს. გარიყულა    |                                |
| 10. ს. ერთაწმინდა |                                |
| 11. ს. ზემოჩოჩეთი |                                |
| 12. ს. თემისხევი  | 8. ს. თემისხევი                |
| 13. ს. კაპრიშინი  | 9. ს. კაპრიშინი                |
| 14. ს. ჩაჩუბეთი   | 10. ს. მთიულთუბანი             |
|                   | 11. ს. ნოსტე                   |
|                   | 12. ს. ფაშინი                  |
|                   | 13. ს. ჩოჩეთი                  |
|                   | 14. ს. ცხავერი                 |
|                   | 15. ს. ჭყობიანი                |
|                   | 16. ს. ხანდაკი (ზემო)          |

---

<sup>8</sup> განსხვავება რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს, შეპირისპირებულია სოფელთა რაოდენობა 1977 წლის აღწერის მონაცემებისა 1930 წ. გამოცემულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცნობარის მონაცემებს (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1930, 11-13).

IV. ახალციხის მუნიციპალიტეტი

15. ს. ახალციხე
16. ს. მთიულთუბანი
17. ს. ნოსტე
18. ს. ცხავერი

V. გომის მუნიციპალიტეტი

19. ს. გომი
20. ს. ნიაზი

VI. დოესის მუნიციპალიტეტი

21. ს. გრაკალი
22. ს. დოესი

VII. ზემოხანდაკის მუნიციპალიტეტი

23. ს. ზემოხანდაკი
24. ს. ზენადრისი
25. ს. ფაშიანი
26. ს. ჭყოპიანი

VIII. კავთისხევის მუნიციპალიტეტი

- |                     |                                    |
|---------------------|------------------------------------|
| 27. ს. გუდალეტი     | 17. ს. გუდალეთი                    |
| 28. ს. ეზატი        | 18. ს. ეზატი (ჩივანთუბანი)         |
| 29. ს. თვალადი      | 19. ს. თვალადი                     |
| 30. ს. კავთისხევი   | 20. ს. კავთისხევი (ციხისუბნ. ნაწ.) |
| 31. ს. ქეზაანი      | 21. ს. ქეზაანი                     |
| 32. ს. ქვემოჩოჩეთი  | 22. ს. ჩოჩეთი                      |
| 33. ს. ქვემოხანდაკი | 23. ს. ხანდაკი (ქვემო)             |
| 34. ს. წიფორი       | 24. ს. წიფორი                      |
|                     | 25. ს. ზარდანთკარი                 |
|                     | 26. ს. ბოტისი                      |
|                     | 27. ს. გომისჯვარი                  |
|                     | 28. ს. ვარჯაანი                    |
|                     | 29. ს. ვერხეულა                    |
|                     | 30. ს. ზვარიკოტმანი                |
|                     | 31. ს. თელადგორი                   |
|                     | 32. ს. იდლეეთი                     |

- 33. ს. ნუსხელაანთუბანი
- 34. ს. საკურთხისი
- 35. ს. სამტრედო
- 36. ს. სანათაანთუბანი
- 37. ს. ტყემლოვანი
- 38. ს. შუაუბანი
- 39. ს. შუბათი
- 40. ს. ციხისძირი
- 41. ს. წინარეხი

IX. კოდისწყაროს მუნიციპალიტეტი

- 35. ს. ზადიანთკარი
- 36. ს. ზემორენე
- 37. ს. კოდისწყარო
- 38. ს. ნიგოზა
- 39. ს. სარიბარი
- 40. ს. ქვემორენე
- 41. ს. ყარაფილა
- 42. ს. ჩობალაური

X. ლამისყანის მუნიციპალიტეტი

- |                  |                     |
|------------------|---------------------|
| 43. ს. თვაურები  |                     |
| 44. ს. ლამისყანა | 42. ს. ლამისყანა    |
| 45. ს. ხვითი     | 43. ს. ხვითი        |
|                  | 44. ს. ზვარეთი      |
|                  | 45. ს. თეზი         |
|                  | 46. ს. მარდიანთკარი |
|                  | 47. ს. ოკამი        |
|                  | 48. ს. წიფორისწყარო |

XI. მეტეხის მუნიციპალიტეტი

- |                       |                       |
|-----------------------|-----------------------|
| 46. ს. ბარნაბიანთკარი | 49. ს. ბარნაბიანთკარი |
| 47. ს. მეტეხი         | 50. ს. მეტეხი         |
|                       | 51. ს. გომი (ქვემო)   |
|                       | 52. ს. ნიაბი          |
|                       | 53. ს. სასირეთი       |

XII. ოკამის მუნიციპალიტეტი

- 48. ს. იგოეთი
- 49. ს. თეზი
- 50. ს. ოკამი
- 51. ს. მრგვალი ჭალა
- 52. ს. ფერმა
- 53. ს. ჩანგილარი

XIII. სამთავისის მუნიციპალიტეტი

- 54. ს. ბოჟამი
- 55. ს. თოგოიანთკარი
- 56. ს. სამთავისი

XIV. ქვემოჭალის მუნიციპალიტეტი

- |                     |                           |
|---------------------|---------------------------|
| 57. ს. ახალშენა     | 54. ს. ახალშენა           |
| 58. ს. გამდლისწყარო | 55. ს. გამდლისწყარო       |
| 59. ს. გორაკა       | 56. ს. გორაკა             |
| 60. ს. ვაკე         | 57. ს. ვაკე               |
| 61. ს. პანტიანი     | 58. ს. პანტიანი           |
| 62. ს. საკორინთლო   | 59. ს. საკორინთლო         |
| 63. ს. ქვემოჭალა    | 60. ს. ქვემოჭალა          |
|                     | 61. ს. ბოჟამი             |
|                     | 62. ს. ზადიანთკარი        |
|                     | 63. ს. ზეგარდი            |
|                     | 64. ს. იგოეთი             |
|                     | 65. ს. კოდისწყარო         |
|                     | 66. ს. ლამი               |
|                     | 67. ს. ნადარბაზევი        |
|                     | 68. ს. ნიგოზა             |
|                     | 69. ს. რგვალი ჭალა        |
|                     | 70. ს. რენე (ზემო)        |
|                     | 71. ს. რენე (ქვემო)       |
|                     | 72. ს. სამთავისი          |
|                     | 73. ს. ყარაფილა           |
|                     | 74. ს. ხურვალეთი (დიდი)   |
|                     | 75. ს. ხურვალეთი (პატარა) |

XVI. ყარაღაჯის მუნიციპალიტეტი

- 64. ს. სასირეთი
- 65. ს. ყარაღაჯი

XVII. წინარეხის მუნიციპალიტეტი

- 66. გომისჯვარი
- 67. ს. თელათგორი
- 68. ს. იდლეთი
- 69. ს. ლავრისხევი
- 70. ს. წინარეხი

XVIII. ხოვლეს მუნიციპალიტეტი

- 71. ს. ხოვლე
- 76. ს. ხოვლე
- 77. ს. გრაკალი
- 78. ს. დოესი
- 79. ს. ყარაღაჯი

გოსტიბეს ყოფილი სასოფლო საბჭო

- 80. ს. გარგარი
- 81. ს. იგოეთი
- 82. ს. გოსტიბე (ზემო)
- 83. ს. გოსტიბე (ქვემო)
- 84. ს. დევენამუხლი
- 85. ს. ზირთა
- 86. ს. თეკნელა
- 87. ს. იკვი
- 88. ს. კაბერი
- 89. ს. კლდეკაპნევი
- 90. ს. მერია
- 91. ს. ორღობე
- 92. ს. რკონი
- 93. ს. საბოლია
- 94. ს. სალომე
- 95. ს. სამოჭალო
- 96. ს. ჩაჩუბეთი
- 97. ჭავჭავი
- 98. ჭინჭრიანი

1930 წლით დათარიღებულ სოფელთა რაოდენობა საგრძნობლად აღემატება (27 ერთეულით) 1977 წლის „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში“ აღნუსხულ სოფელთა რაოდენობას. განსხვავებაა ასევე მუნიციპალიტეტებში განაწილების მხრივაც.

როგორც ვხედავთ, სხვაობა თვალსაჩინოა. ბევრი სოფელი დღეს ნასოფლარია ან მათმა სახელებმა მიკროტოპონიმიამი გადაინაცვლა. მაგ., მარტო გოსტიბეს სასოფლო საბჭოში შემავალი ცხრამეტი სოფელი უკვე ნასოფლარია და ეს ტოპონიმები ამჟამად ცალკეულ ადგილს – მინდორს, ველს ტყეს ან მთას თუ მიანიშნებს.


მითითებულის გარდა, დღევანდელი აღწერილობით,<sup>9</sup> რეგიონში 40-მდე მიტოვებული სოფელია (კომუნისტების მიერ რუსთავში ძალით გასახლებული მოსახლეობა) აღნუსხული. ესენი ძირითადად მთის სოფლებია: ავკეთი, ბოტისი, გარგარი, გოგოთი, გრაკლები, დევენამუხლი, ვარჯაანი, ვერხოული//ვერხოულა, ზემოგოსტიბე, ზემოშუბათი, ზვარიკოტმანი, ზვილეთი, თადეკეული, თეკნელა, იკვი, კაბერი, მეკრიაანთუბანი, მერია, მზვარეთი, მიქრიაანთუბანი, პარატისი, რკონი, საბოლია, სათუხარლო, საკურთხისი, სალამაანთკარი, სალომე, სამოჭალო, სამტრედო, ტყემლოვანი // ტყემლოვანა // ტყემლიანი, ქვემოგოსტიბე, ქვემოშუბათი, ყანობილა, ყრუველი, წიფლისწყარო, ჭავჭავი, ჭინჭრიანი.

---

<sup>9</sup> იგულისხმება 1980-1984 წლების მდგომარეობა.



კასპის რეგიონის რუკა<sup>10</sup>



<sup>10</sup> რუკაზე აღნიშნულია მხოლოდ მუნიციპალიტეტების სახელწოდებები

<><><>

ნაშრომი მიზნად ისახავს: დაადგინოს საკვლევი რეგიონის ტოპონიმის სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები; შეისწავლოს სიტყვაწარმოების სისტემა, კერძოდ, გაარკვიოს აფიქსების ფუნქციები, მათი არეალური განაწილება და პროდუქტიულობა; აღწეროს ტოპონიმის შემადგენელი კომპონენტების (ფუძისა და სართების, სხვადასხვა ფუძის) კომბინატორული შესაძლებლობები; აღნუსხოს რეგიონში მოქმედი ძირითადი ფონეტიკური თავისებურებები და სხვა. მაგრამ ნაშრომი არ იფარგლება მხოლოდ რეგიონული ტოპონიმიკის საკითხების ანალიზით. გარკვეული საკითხები შესწავლილია შედარებით-შეპირისპირებითი თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ეხება ე.წ. საზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც შედარებულია უკვე შესწავლილი რეგიონების (ფშავის, ერწო-თიანეთისა და სხვ.) სათანადო მასალასთან, რაც საშუალებას იძლევა გაიმიჯნოს ზოგადქართული და კერძორეგიონული სპეციფიკური მოდელები ტოპონიმიაში.

## თ ა ვ ი I

### ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავიებურებანი

რეგიონული ტოპონიმიკის თითქმის ყველა საკითხი, რომელ დონეზეც არ უნდა განვიხილოთ ისინი (ფონეტიკა, მორფოლოგია, ლექსიკა), იმავდროულად დიალექტიზმების საკითხსაც მოიცავს. ამ თვალსაზრისით, საკვლევი, რამდენადაა გამოვლენილი ტოპონიმებში დიალექტებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური თუ გრამატიკული თავისებურებანი, სხვაგვარად: რამდენად ექვემდებარება ან რამდენად ასახავს ამა თუ იმ რეგიონის ტოპონიმთა სათანადო დიალექტებში მოქმედ წესებს; რა თავისებურებებს განასხვავებს ტოპონიმთა წარმოებას სხვადასხვა დიალექტში. კერძოდ, გამოვლინდება თუ არა სპეციფიკური, მხოლოდ ამა თუ იმ კილოსათვის დამახასიათებელი რომელიმე ფორმანტი ტოპონიმებში; საჭირო ხდება იმის გარკვევა, თუ რატომ არ დასტურდება სხვა კილოებში დამოწმებული ფაქტი ამა თუ იმ დიალექტში, ან რამ გამოიწვია იმ მოვლენის გაჩენა, რაც სხვა კილოებში არ გვხვდება და სხვა (მურზაევი 1973, 229-230). საკვლევი რეგიონი, დიალექტური თვალსაზრისით, ქართლურს განეკუთვნება. ქართლური, როგორც ცნობილია, მთავარი დიალექტია ქართული ენისა. იგი ქართული ენის კილოთა შორის ყველაზე უფრო მსხვილი დიალექტური ერთეულია. გავრცელებულია საქართველოს ცენტრალურ (შუაგულ) ნაწილში და მოიცავს კახეთიდან იმერეთამდე ტერიტორიას, ე. ი. არაგვისა და მტკვრის ხეობიდან ლიხის მთამდე. ხოლო ისტორიული ქართლი კიდევ უფრო მეტ ტერიტორიას მოიცავდა, სახელდობრ, ჩრდილოეთით – ხევსა და მთიულეთს, სამხრეთით – მესხეთ-ჯავახეთს (სამცხე-საათაბაგოს), დასავლეთით კი – ზემოიმერეთს. თუმცა, ამჟამად ქართლური დიდ მანძილზეა გავრცელებული, იგი შედარებით მთლიანია და არ იყოფა მნიშვნელოვნად განსხვავებულ დიალექტურ ერთეულებად (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961, 276-278).

კასპის რაიონის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა არაერთგვაროვანია, მაგრამ, მათი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის მიუ-

ხედავად, ქართლურის გრამატიკას არ განუცდია არცერთი ენის გავლენა. ამის კვალობაზე მცირეოდენი გამოხატულების გარდა, აღნიშნული რეგიონის ტოპონიმის ძირითადი ფენაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულია, დიალექტურად – ქართლური. ბგერითი შედგენილობით ქართლური ახლოს დგას სალიტერატურო ქართულთან, ხოლო ის ბგერები, რომლებიც სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით დადასტურებულია ქართლურში, არ არის უცხო ქართული ენის სხვა კოლოებისათვისაც (იმნაიშვილი 1974, 131).

აქ ჩვენ არ განვიხილავთ სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ არც ერთ ფონეტიკურ მოვლენას. ყურადღება გამახვილებულია ზოგადად ქართლურში და, კერძოდ, საკვლევ რეგიონში გავრცელებულ ფონეტიკურ პროცესზე და ამის შედეგად მიღებულ დიალექტურ ფორმებზე.

### § 1. დამსგავსება (ასიმილაცია)

ა) ხმოვანთა სრული რეგრესული დამსგავსება -აე-ეე

ეს მოვლენა თავს იჩენს მაშინ, როდესაც სახელის მრავლობითი რიცხვის -ებ<sup>11</sup> ბოლოსართისეული ე დაიმსგავსებს ხოლმე ფუძის ა-ს და სრული კონტაქტური რეგრესული დამსგავსების შედეგად მიიღება გრძელი ე (მარტიროსოვი 1939, 212).

მართალია, -ებ ბოლოსართით გაფორმებული ტოპონიმები ერთგვარადაა ნაწარმოები, მაგრამ გარკვეული თავისებურება მაინც იჩენს თავს. კერძოდ, -ებ-იანი თანხმოვან- და ხმოვანდართული ტოპონიმები საზოგადო სახელთა წარმოებას მისდევს. ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა **ხოდაბუნ-ებ-ი**, **ფონ-ებ-ი**, **ფილაქნ-ებ-ი**, **ნახნაგ-ებ-ი**, **თეთრობ-ებ-ი**, **კაკლ-ებ-ი**, **ბად-ებ-ი**, **ვენახ-ებ-ი**, **ჭაობ-ებ-ი**, **შავწყალ-ებ-ი**, **დაჭრილ-ებ-ი**, **ქვაყრილ-ებ-ი** და მისთ., თანხმოვანფუძიანი სახელებისაგან არის მიღებული -ებ ბოლოსართის დართვით. მათ მსგავსადვე იწარმოება **ო** და **ე** ხმოვნებზე დაბოლოებული სახელებიც

---

<sup>11</sup> მრავლობითის აღმნიშვნელ -ებ-ის შესახებ დაწვრილებით ბოლოსართით წარმოების სახელებში შევხებით. აქ კი, მხოლოდ მისი დართვით გამოწვეულ ცვლილებებს განვიხილავთ.

(ახო-ებ-ი, ბერთახევისწყარო-ებ-ი, ბექთათებისმიდამო-ებ-ი, მელი-  
ოსსო-რო-ებ-ი, ვიწრო-ებ-ი, მლაშე-ებ-ი, პავლიაანთტყე-ებ-ი, ფლა-  
ტე-ებ-ი, შრე-ებ-ი, ჭყანტე-ებ-ი...)

ერთი შეხედვით, ამ უკანასკნელის მსგავს მოდელს გვიჩვენებს  
ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა: ბორტ-ე-ებ-ი, გრძელ-ე-ებ-ი, ვარ-  
ცლ-ე-ებ-ი, ნამგალ-ე-ებ-ი, კირკიტ-ე-ებ-ი... ოხერ-ე-ებ-ი, შავწყალ-ე-  
ებ-ი, შიმშილ-ე-ებ-ი, შურდულ-ე-ებ-ი, წკანწკარ-ე-ებ-ი, მაგრამ მათი  
ერთ ქვეჯგუფში გაერთიანება მიზანშეწონილი არ არის. ეს სახელები  
თავდაპირველად -ა სუფიქსით უნდა ყოფილიყო გაფორმებული  
(ბორტ-ა, გრძელ-ა, ნამგალ-ა, შიმშილ-ა...), შემდეგ -ებ ბოლოსართის  
დართვის შედეგად აე კომპლექსი ეე კომპლექსად გადაიზარდა. ეს  
ფონეტიკური მოვლენა სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნო-  
ბილი (მარტიროსოვი 1939, 32).

აღნიშნული ფონეტიკური პროცესის მიხედვით ტოპონიმთა  
ამოსავალი ფუძე ადვილი აღსადგენია. ამასთან, საწყისი მხოლოობი-  
თი რიცხვის ფორმები ყველა შემთხვევაში ამავე რეგიონშია დადას-  
ტურებული. მაგ.: ბორტ-ა, გრძელ-ა, ვარცლ-ა-ხევი, ოხერ-ა-სხევი,  
შავწყალ-ა...

თუკი -ა ფუძისეულია (მარტივ სახელებში ან კომპოზიტებში),  
მაშინ იგი, ჩვეულებრივ, იკვეცება -ებ სუფიქსის დართვის შედეგად  
(ბაგა-> ბაგ-ებ-ი, ჭალა-> ჭალ-ებ-ი, ძველი თელა-> ძველი თელ-ებ-ი,  
დიდი ყანა -> დიდი ყან-ებ-ი...).

ამ ქვეჯგუფიდან უნდა გამოიყოს ორი წყვილი: ნამგალ-ე-ებ-ი  
(სს. გომი, თელათგორი) – ნამგალ-ებ-ი (ს. დოესი), კირკიტ-ე-ებ-ი –  
კირკიტ-ებ-ი (ს. გუდალეთი), ერთი მხრივ, და დიდვაკე-ებ-ი (სს. გომი,  
კავთისხევი) – ვაკე-ებ-ი (ს. ნოსტე), დიდვაკე-ებ-ი (ს. ჩაჩუბეთი) – მე-  
ორე მხრივ.

თუ პირველ შემთხვევაში აღნიშნული ფონეტიკური მოვლე-  
ნა (აე<ეე) მოქმედებს (ნამგალ-ე-ებ-ი კირკიტ-ე-ებ-ი), მეორეში კი -ა  
მაწარმოებელი დაკარგულა (ნამგალ-ებ-ი, კირკიტ-ებ-ი). მეორე  
წყვილში ტოპონიმ დიდვაკე-ებ-ში ფუძისეული -ე ხმოვნის ჩავარდნა

არ ივარაუდებოდა და არც დასტურდება<sup>12</sup>. სხვა მაგალითებში ფუძისეული -ე ბუნებრივად რჩება -ებ სუფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმში ვაკე-ებ-ი, დიდვაკე-ებ-ი.

გვხვდება ერთი გამონაკლისიც: კოდა-ებ-ი (ს. თელადგორი) მოსალოდნელი იყო -ა-ს სრული დაკარგვა როგორც ეს არაერთ ჩამოთვლილ შემთხვევაში გვქონდა, ანდა მიგველო პროცესი აე →ეე, მაგრამ ამის ნაცვლად უცვლელად რჩება არაბუნებრივი აე კომპლექსი: -ა უკვეცელ სახელთა მსგავსად დაირთავს -ებ სუფიქსს. საინტერესო მოვლენა შეინიშნება ტოპონიმ კრაკლიან-თან დაკავშირებით (ს. რგვალი ჭალა): თავდაპირველად რომ გრაკლიანი იქნებოდა, ამას მრავალი სხვა ტოპონიმიც ადასტურებს: გრაკლიანი (სს. გრაკალი, იგოეთი, ხოვლე...), გრაკლები (ს. ახალქალაქი) და თავად აპელატივიც – ხემცენარე გრაკლა. შეიძლება გვევარაუდათ ორი პროცესი: ან ფუძისეული გ დაიკარგა და შემდეგ გაჩნდა კ ფუძისეული კ-ს გავლენით (მაგრამ ასეთი რამ სხვაგან არ დასტურდება). ანდა ყრუ კ-მ დაიმსგავსა მჟღერი გ. უფრო სარწმუნოა, რომ მოხდა დისტანციური რეგრესული დამსგავსება.

ბ) თანხმოვანთა პროგრესული დამსგავსება

ქართლური დიალექტის მიმოხილვისას გრ. იმნაიშვილი ღ → ხ გადასვლას ბუნებრივ პროცესად არ მიიჩნევს და მიუთითებს, რომ აღმოსავლური კილოებისათვის ასეთი მაგალითები საერთოდ არ არის დამახასიათებელი, უჩვეულოა ქართლურისთვისაც და აქვს შემთხვევითი ხასიათი (იმნაიშვილი 1974, 185).

მაგრამ, თუმცა იშვიათად, ამგვარი პროცესები მაინც გვხვდება საანალიზო რეგიონში. მაგ.: ხვთიშობელი (დასტურდება შემდეგ სოფლებში: ახალშენა, გომი, გუდალეთი, ზემორენე, ზენადრისი, ლამისყანა, მრგვალი ჭალა, საკორინთლო, ქვემოჭალა, ყარადაჯი); ხვთიშობლისკაკალი (ს. ოკამი); ხვთიშობლისკოშკი (ს. ქვემოჭალა); ხვთიშობლისმიწები (ს.საკორინთლო); ხვთიშობლისინიში, ხვთიშობლისქედი (ს. იგოეთი); ხვთიშობელი (ს. თელადგორი).

---

<sup>12</sup> შესაძლებელია ადგილი გვქონდეს ორი ე-ს შერწყმასთან.

მჟღერი **ღ** კბილისმიერი **ვ**-ს მეზობლობაში ყრუვდება და იძლევა **ხ**-ს, ხოლო უკანასკნელ მაგალითში (**ხტი**მოზბელი) ორ ყრუ თანხმოვანს შორის (**ხ-თ**) მოქცეული **ვ**-ც იკარგება: ღვთისმშობელი → ხვთისშობელი → ხთიშობელი.

გ) თანხმოვანთა კონტაქტური პროგრესული დამსგავსება დასტურდება როგორც **დ**-ს დაყრუების, ასევე **თ**-ს გამჟღერების შემთხვევები. მომდევნო მჟღერი **ღ** დაყრუვდა წინამავალი **ჩ** ფშინვიერის გავლენით და მოგვცა **თ**: პატარა**ჩ**თილი (კონტაქტურ დამსგავსებას ხელს უწყობს **რ**-აეს (დაკარგვაც) ← ჩრდილი.

საწინააღმდეგო შემთხვევაა ყრუ **თ**-ს გამჟღერება: **ღ** ← **თ**. მაგ., თელადგორი ← თელათგორი (= თელებისგორი, მკვიდრ მოსახლეთა გადმოცემით, მათ სოფელს სწორედ თელათგორი<sup>13</sup> რქმევია ძველად დღეს კი თელადგორად მოიხსენიება.

## § 2. განმსგავსება (დისიმილაცია)

თანხმოვანთა სრულ დისტანციურ განმსგავსებას სისტემატური ხასიათი არა აქვს, მაგრამ შეგვხვდა ერთი შემთხვევა: ვერგრძელი (ს. ერთაწმინდა) ← ველგრძელი **ლ**-მ (**გრძელი**) განიმსგავსა პირველი **ლ** (**ველი**).

## § 3. ბგერის დაკარგვა

ბგერის დაკარგვა ქართულშიც ისევე გავრცელებული მოვლენაა, როგორც კახურსა და ქართული ენის სხვა აღმოსავლურ კილოებში. იკარგება თანხმოვანიც და ხმოვანიც. მაგრამ ეს ფონეტიკური პროცესი ქართლის ყველა კუთხის მეტყველებაში ერთნაირად არ არის გავრცელებული.

**1. ხმოვნის დაკარგვა** ხმოვანთა შორის, როგორც მოსალოდნელია, ძირითადად იკარგება **ა** ხმოვანი: პატა**(ა)**რამთა (ს. ყარაღაჯი). შეიძლება **ა**-ს დაკარგვა მომდევნო ერთმარცვლიანი საზღვრულის ენკლიტიკისათვის მიგვეწერა: პატარა მთა → პატარამთა → პატრამთა (სს. გრაკალი, ზემორენე, იგოეთი, ქვემორენე, მაგრამ სხვა შემთხვევაში: პატრაგორაკა (ს. სასირეთი).

---

<sup>13</sup> სპეციალურ ლიტერატურაში -**ათ** სუფიქსის კრებითობის გაგება უცილობლად მიჩნიათ (მარი 1925, 361, მეგრელაძე 1938, 68)

მოულოდნელია ა-სა და ე-ს შენარჩუნება ტოპონიმში **ზვარე-ები** (ს. გრაკალი), თუმცა ყველა სხვა შემთხვევაში გვხვდება **ზვრები** (სს. აღიანი, გომი, თელადგორი, კავთისხევი, კასპის სატყეო, ლამისყანა).

## 2. თანხმოვნის დაკარგვა

თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევები უფრო ხშირია, ვიდრე ხმოვნისა. თანხმოვნები იკარგება სიტყვის თავშიც და შუაშიც, განურჩევლად იმისა, ხმოვნების მეზობლობაშია თუ თანხმოვნებისა, ყრუ თანხმოვნებისა თუ მჟღერებისა.

ა) თანხმოვანი იკარგება სიტყვის თავში: უმეტესწილად იკარგება მჟღერი თანხმოვნები (ხშირად მჟღერისავე მეზობლობაში):

**ლ:** წიფ(ლ)ნარი (<- წიფლნარი). კუნ(ლ)იანი (<- კუნლიანი).

სონორი იკარგება ყრუ თანხმოვნებს შორის:

**ვ:** ძეძ(ვ)იანი (სს. გორაკა, ზენადრისი, პანტიანი,); შდრ.: ძეძვიანი (სს. პანტიანი, საკორინთლო, სამთავისი, ქვემოჭალა...); ლავრევისხ(ვ)თიშობელი (ს. თვალადი); **ვ** იკარგება წინა რიგის საშუალო და მაღალი აწეულობის ხმოვნებს (**ე ი**) შორის: ზე(ვ)ითრუ (სს. დოესი, თვალადი), ქვე(ვ)ითრუ (სს. თვალადი, ოკამი). იკარგება აგრეთვე თანხმოვნებსა და ხმოვანს შორის: კ(ვ)ირაცხოველი (ს. ქვემოჭალა). უფრო ხშირია თავკიდური **მ**-ს დაკარგვის შემთხვევები. იკარგება როგორც მჟღერი, ისე ყრუ თანხმოვნების წინ: (**მ**)რგვალი ჭალა (სოფელი); (**მ**)გლისსოროები (ს. ნოსტე). შდრ.: მგლისსორო (ს. სამთავისი), მგლისხევი (ს. ზემოჩოჩეთი); (**მ**)ზვარე<sup>14</sup> (სს. ზემოხანდაკი, ლამისყანა, ქ. კასპი...), შდრ.: მზვარესტყე (ს. ხოვლე); (**მ**)ღვდლისეული (სს. კავთისხევი, ყარაღაჯი), (**მ**)ღვდლიაანთეული (ს. კოდისწყარო), შდრ.: მღვდლებისმიწა (ს. ნიგოზა), (**მ**)ღვდლიაანთხევი (ს. ზემოხანდაკი); (**მ**)შრალხევისმიწები (ს. თელათგორი), შდრ.: მშრალხევეთავი (ს. ერთაწმინდა); (**მ**)კვდრებისწყალი (ს. ქვემოჭალა); (**მ**)ყრალტბასთან (ს. ახალციხე).

**რ**აე, ჩვეულებრივ, იკარგება თანხმოვანთა შორის: გძელა (სს. ნიგოზა, კავთისხევი, ფაშიანი) გძელვაკე (ს. ოკამი), გძელეები (სს.

---

<sup>14</sup> შეიძლება სადავო იყოს ტოპონიმ **ზვარეში მ** დაკარგულია თუ **მზვარეში** განვითარებული.



ახალსოფელი, ახალქალაქი, გუდალეთი, საკორინთლო, სასირეთი...) გძელველი<sup>15</sup> (სს. ახალქალაქი, ერთაწმინდა...), პატარაჩითლა (ს. თელადგორი)...

**ს:** ყრუ მკვეთრი ს იკარგება კ-ს წინ. მაგ., **კუნლისმიწები** (კასპის სატყეო, სს. საკორინთლო, ქვემოხანდაკი), **კუნლისმიწა** (ს. ლამისყანა). შდრ.: **სკუნლიანი** (ს. ზენადრისი). მართალია, **სკუნელი** ამჟამად, ქართლურის გარდა, არც ერთ დიალექტში არ დასტურდება (მაყაშვილი 1961), მაგრამ ჯერ კიდევ საბას ლექსიკონში მხოლოდ ამ ფორმით გვხვდება (სულხან-საბა 1966) უნდა აღინიშნოს, რომ სალიტერატურო ქართულში დღეისათვის სწორედ **კუნელ** ფორმა გამოიყენება.

#### **§ 4. ბგერის დასუსტება (რედუქცია)**

ა) გვხვდება მომდევნო ხმოვნის გავლენით ლაბიალური **უ**-ს დასუსტების შემთხვევები, რის შედეგადაც ჩნდება მჟღერი **ვ**. თუმცა, ამას სისტემატური ხასიათი არა აქვს და გვხვდება ფაქტობრივ რთული შედგენილობის ტოპონიმის შუა კომპონენტში.

**უ** -> **ვ**: შგაველები (ს. წინარეხი), შგამინდორი (ს. ზემოხანდაკი), შგაქედი (ს. შგაქედი (ს. წინარეხი), შგარუდ (ს. ხოვლე). შდრ.: შუაწყარო (ს. წინარეხი), შუაველები (ს. წინარეხი) შუამთა (ს. მეტეხი)...

ბ) ცალკეულ შემთხვევაში დენტალური თნხმოვნის წინ ხდება **ს** თანხმოვნის იოტაცია: მაგ., ფოფტიგზა (ს. ყარალაჯი) (ფოსტის გზა).

#### **§ 5. ბგერის გაჩენა**

ბგერა, ჩვეულებრივ, თანხმოვანი, ჩნდება როგორც სიტყვის თავში, ასევე შუაშიც. **ს** თანხმოვნების წინ ჩნდება. მაგ.: **სხვითი**, შდრ. ხვითი.

**ვ**: შვინდიანი (სს. ახალციხე, ნიგოზა, ქვემოქალა), შვინდავაკე (სს. ბოჭამი, ლამისყანა, სამთავისი, ხვითი), შდრ. შინდავაკე (სს. ქვემოქალა, ხოვლე), შინდავაკეები (ს. გომი); დიდრუფი<sup>16</sup> (ს. ჩაჩუბეთი), შდრ.: წაბლარუ (ს. ერთაწმინდა), ზედარუ (ს. ოკამი)...

---

<sup>15</sup> საგულისხმოა, რომ სიტყვა **გრძელში რ** იკარგება 16 შემთხვევაში, ხოლო 27-ში – შენარჩუნებულია.

<sup>16</sup> ხვეის ტოპონიმიკაში **რუ** მხოლოდ და მხოლოდ გავრცობილი სახით (რუვი) იხმარება, არა აქვს მნიშვნელობა ის საზღვრულია თუ მსაზღვრელი.

## §6. ბგერის გადასმა (მეტათეზისი)

ბგერათა გადასმა გავრცელებულია ქართლის ყველა კუთხის მეტყველებაში. ბგერი მათგანი საზიაროა სხვა კილოებისათვისაც და დასტურდება ძველ ქართულ მწერლობაშიც, ისტორიულ საბუთებშიც (ძიძიშვილი 1960, 125-130).

გადასმა უმთავრესად მჟღერებს შორის ხდება. ჩვეულებრივია **ლ-სა** და **რ-ს** დისტანციური გადასმა. მაგ.: **ლურსხმული** (სს. ახალციხე, გომი, თელადგორი, ლავრისხევი), შდრ.: **რუსხმული** (სს. გომისჯვარი, თვალადი, ქვემოჭალა, წინარეხი); **ლუხურა** (სს. თოგოიანი, მრგვალი ჭალა, სამთავისი, ქვემოჭალა), შდრ.: **რეხულა**<sup>17</sup>, პარალები (კასპის სატყეო, სს. ზემოოჩქეთი, ქვემოხანდაკი), პარალებისმიწები (ს. ქვემოხანდაკი). შდრ.: **პალარები** (ს. ზემოოჩქეთი). **ლურსხმული** (სს. ახალციხე, გომი, თელადგორი, ლავრისხევი), შდრ.: **რუსხმული** (სს. გომისჯვარი, თვალადი, ქვემოჭალა, წინარეხი); **ლუხურა** (სს. თოგოიანი, მრგვალი ჭალა, სამთავისი, ქვემოჭალა), შდრ.: **რეხულა**, **პარალები** (კასპის სატყეო, სს. ზემოოჩქეთი, ქვემოხანდაკი), **პარალებისმიწები** (ს. ქვემოხანდაკი). შდრ.: **პალარები** (ს. ზემოოჩქეთი).

## §7. აფრიკატიზაცია

აფრიკატიზაცია ქართულში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა და ამ მხრივ კუთხეების მიხედვით დიდი სხვაობა არ შეიმჩნევა, და მაინც, ქართულურში ეს მოვლენა, როგორც შენიშნავენ, იმდენად ფართოდ გავრცელებული არ არის, რასაც სავსებით ადასტურებს საკვლევი რეგიონის ტოპონიმური მასალაც. გვხვდება სულ რამდენიმე მაგალითი: **გარაჯი** (ს. ლამისყანა), **გარაჯსუკან** (ს. ლამისყანა), **გარაჯისსაწყობი** (ს. ახალქალაქი). გარაჯი მიღებულია **ჟ-ს** აფრიკატიზაციით (**ჟ** → **ჯ**): **გარაჟი** → **გარაჯი**; (ნებივრიაანთ) **ბირჯა** (ს. ყარადაჯი) ← ბირჟა.

---

<sup>17</sup> ვახუშტი ბატონიშვილი – წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ლეხურას დაბა **რეხას** უკავშირებს (ვახუშტი 1941, 72), ხოლო ს. მაკალათია „ლუხურის ხეობა“-ში პირდაპირ მიუთითებს: **ლუხურის** ანუ **რეხულის** ხეობა მდებარეობს შიდა ქართლში (ს. მაკალათია 1964, 3).

ჰიდრონიმ ლუხურის შესახებ ვრცლად იხ. თავი III, 1.

სიტყვაწარმოებისას გვხვდება სახელობითისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნების დაკარგვის ან დასუსტების შემთხვევები.

### 1. სახელობითი ბრუნვა

კომპოზიციური შედგენილობის ტოპონიმებში სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი ეკარგება თანხმოვანფუძიან ატრიბუტულ მსაზღვრელს. მაგ., **ახალუბანი** (სს. ზემოხანდაკი, ქვემოჭალა...), **დიდთელა** (ს. ნოსტე), **მშრალხევი** (სს. ბოჟამი, ერთაწმინდა), **მრავალწყარო** (სს. გუდალეთი, კავთისხევი...), **გრძელველები** (ს. ხოვლე...), **შავტყე** (სს. ლამისყანა, სამთავისი), **წითელტყემლები** (ს. ხოვლე), **რბილმინდორი** (ს. ზადიანთკარი)... თუმცა, მათ საპირისპიროდ<sup>18</sup>, შედარებით იშვიათად გვხვდება ბრუნვის ნიშნის შენარჩუნების შემთხვევებიც. შდრ.: იმავე შემადგენლობის ტოპონიმები: **ახალი** უბანი (ს. ლამისყანა, ქ. კასპი), **დიდი** თელა (სს. თეზი, ოკამი), **მშრალი** ხევი (სს. თვაურები, ხვითი...), **შავი** ტყე (სს. ბოჟამი, იგოეთი...).

ზოგ შემთხვევაში ხმოვანფუძიანი ტოპონიმები სახელობით ბრუნვაში სრულ დაბოლოებას გვიჩვენებენ. მსგავსად ძველი ქართულისა და ზოგიერთი ქართული დიალექტისა, დაირთავენ **ი-ს**, რომელიც სუსტდება და **ა-ს** იძლევა. ამ ნიშნის გამოყენების თვალსაზრისით, ქართლური არ არის ერთფეროვანი. ჩრდილოურ ქართლურში (არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველებაში) ხმოვანფუძიან სახელებში ბრუნვის ნიშანი **ი** ისევე იკარგება, როგორც სალიტერატურო ქართლურში. იგი იშვიათია სამხრულ ქართლურშიც (ქვემოქართლურში). სამაგიეროდ, შემონახულია შიდაქართლურსა და დასავლურ ქართლურში (ლიახვისხეობის მოსახლეობის მეტყველების ჩათვლით) (იმნაიშვილი 1974, 192). კასპის რეგიონში ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი ბრუნვის ნიშანი, ჩვეულებრივ, სუსტდება და იძლევა **ა-ს**.

---

<sup>18</sup> დაპირისპირება თითქმის ყოველთვის ხდება ერთი მუნიციპალიტეტის ფარგლებში ან ერთი და იმავე სიტყვებით შედგენილი კომპოზიტებისა.

მაგ., მიხასწყარო (ს. ნოსტე), მალაქაჲ, მალაფერდაჲ (ს. წინარეხი), კვართირუჲ (ს. ხოვლე), ცხვილოდმიწაჲ (ს. ვაკე), თეთრი გზაჲ (ს. ნოსტე), ზვილეთისტყეჲ (ს. თვალადი), პატარაველაჲ (ს. ახალქალაქი).

## 2. ნათესაობითი ბრუნვა

მართული მსაზღვრელისა და საზღვრულისაგან შედგენილ ტოპონიმებს ნათესაობით ბუნვაში „მსაზღვრელური პრეპოზიციური კომპონენტი მორფოლოგიურად გაცვეთილი აქვთ (ე. ი. აკლიათ ბრუნვის ნიშანი ან მისი ნაწილი)“ (აფრიდონიძე 1983, 48).

ხმოვანზე ფუძეგათავებულ უკვეცელ მართულ მსაზღვრელებს ნათესაობითი ს დაერთვის, ასე რომ, ბრუნვის ნიშნის მოკვეცისას მასვე კარგავენ: აბრეულახევი (ს. საკორინთლო), შდრ.: აბრეულახხევი (ს. ახალშენა); ახოციხე (სს. ვაკე, ქვემოჭალა), ბაჩახევი (ს. პანტიანი), შდრ.: ბაჩახხევი (ს. ქვემოჭალა).

ხშირია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დასუსტების შემთხვევებიც. რედუქცია ამ დროს იოტიაციაში გამოიხატება: ს → ძ. მაგ.: შალიკაჲწყარო (ს. დოესი), ადუაჲნაწისქვილარი (ს. ახალციხე), ლამგანაჲკორომი (ს. პანტიანი), კოლაჲბაღები (ს. ზემოხანდაკი), ხევიბოლოჲწყარო (ს. ახალციხე), ნიკოჲმორევისგზა (ს. ლამისყანა), დიდრუჲპირები (ს. ოკამი), ცხვილოდმიწაჲ (ს. ვაკე).

იშვიათ შემთხვევაში იოტაცია ხდება ფუძეკვეცვად სახელშიც: ბაგიჲთავები (ს. ყარაღაჯი).

ფუძეთანხმოვნისაგან სახელებს კი ბრუნვის ნიშანი ეკვეცება სრულად ან ნაწილობრივ (თანხმოვნითი ელემენტი). ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი კვეცის ნიმუშებია: არყინიხევი (ს. კაპრიშიანი), შდრ.: არყინისხევი (ს. ერთაწმინდა); ბებრიწყაროები, შდრ.: ბებრისწყაროები (ს. დოესი); ვაშლიმიწები (ს. ჩაჩუბეთი), შდრ.: ვაშლისმიწები (ს. გუდალეთი); ზვრიბოლოები (ს. ნიაბი), შდრ.: ზვრისბოლოები (ს. გომი); ბოსლებიმიწები (ს. სამთავსი), შდრ.: ბოსლებისმუხა (ს. ფერმა); ბაღიბოლოზე (ს. ლამისყანა), ბაღებისხევი (ს. ქვემოჩოჩეთი); ბოჲმიგზა (ს. ქვემოჩოჩეთი); დიდრუჲპირები (ს. ოკამი). ბრუნვის ნიშნის მოკვეთის სრული მაგალითებია: მუნწყარო (ს. კავთისხევი), შდრ.: მუნისწყარო (ს. ქვემოჩოჩეთი, ქვემოხანდაკი); თელწყარო (ს. კავთისხევი);

შდრ.: თელიწყარო (ს. ქვემოჩოჩეთი) და თელისწყარო (ს. ფერმა). უფრო მოსალოდნელი იყო ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი, თანხმოვნითი ელემენტის მოკვეცა.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა-დასუსტება მეტად გავრცელებულია აღმოსავლურ კილოებში (ქართლურში, გარეკახურში, ქიზიყურში) (გიგინეიშვილი 1939, 202) და ამ დიალექტურ მოვლენას საანალიზო რეგიონის ტოპონიმიაც ადასტურებს.

## თ ა ვ ი II

### ტოპონიმთა სტრუქტურა

#### 1. უაფიქსო, მარტივი სახელები

გამოჰყოფენ ტოპონიმიკური წარმოების ორ გზას: ტოპონიმიკურ აფიქსაციას, ანუ ტოპონიმთა წარმოებას სართების მეშვეობით, და ტოპონიმიკურ კონვერსიას, ანუ საზოგადო სახელთა გადასვლას საკუთარ სახელთა კლასში (ცხადაია 1985, 22). ტოპონიმიკური წარმოების ეს მეორე გზა ფაქტობრივ გულისხმობს აპელატივთა გამოყენებას გეოგრაფიულ სახელთა ფუნქციით.

მაგრამ ტოპონიმად ყოველგვარი აპელატივი როდი გამოიყენება. ტოპონიმიკური კონვერსიის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს ლექსიკური შეზღუდვის ან არჩევითობის ფაქტორი. ჩვეულებრივ, მხოლოდ გარკვეული სემანტიკური წრის სიტყვები იღებს მონაწილეობას ტოპონიმიკურ კონვერსიაში, – ის სიტყვები, რომელთაც აქვთ ან შეიძლება ჰქონდეთ გეოგრაფიული ობიექტის აღნიშვნის ან, ზოგადად, ამა თუ იმ ადგილზე მინიშნების უნარი. ასეთ აპელატივებად გეოგრაფიული ტერმინები ივარაუდება, რომლებიც მიჩნეულია ტოპონიმის საყრდენად (ლიტვინი 1981, 71).

საკუთარ სახელებად გამოყენებული გეოგრაფიული ტერმინები თითქოს აძლიერებენ და ხაზს უსვამენ ტოპონიმთა აღწერით ფუნქციას, ქვეყნის, მხარის და მისთ. სურათს, მათ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით (ბელენკაია 1977, 193).

ბუნებრივია, საზოგადო სახელი ადვილად ახერხებს ტოპონიმის ფუნქციით აღჭურვას, თუ ამა თუ იმ ტერიტორიაზე აპელატივით აღნიშნული ობიექტი ერთადერთ მიმანიშნებელ საგანს წარმო-

ადგენს. ამიტომ სამართლიანი ჩანს ვ. ნიკონოვის შენიშვნა, რომ მთავარია არა ობიექტის სიდიდე<sup>19</sup>, არამედ მისი როლი, კერძოდ, სახელს იღებს მართო მდგომი ხეც კი, თუ ის ხდება ორიენტირი, რომლითაც გზას აგნებდნენ... (ნიკონოვი 1965, 17).

გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება მარტივ, ძირეულ ტოპონიმებად გაცილებით ნაკლებპროდუქტიული საშუალებაა ტოპონიმოკურ აფიქსაციასა და სიტყვათშეერთებასთან შედარებით და რეგიონების შეფარდებითი კვლევა, ამ თვალსაზრისით, ძნელად თუ მოგვეცემს რაიმე მეტ-ნაკლებად ხელშესახებ სხვაობას.

ბევრი გეოგრაფიული ტერმინი მეტაფორულია, გააზრების შედეგადაა მიღებული. როგორც ცნობილია, მეტაფორა ემყარება მსგავსებას და ხასიათდება ნიშან-თვისებათა მრავალფეროვნებით. მნიშვნელობის მეტაფორული გადატანა დაფუნებულია საგნის ფერის, ფორმის, მოძრაობის ხასიათის მსგავსებაზე.

უფრო კონკრეტული და ლეგალიზებული გეოგრაფიული ტერმინების შესაქმნელად გეოგრაფიული ობიექტების აღსანიშნავად ადამიანს იზიდავდა სხვა სიტყვები, რომლებიც ამ ობიექტების ფორმებს, ფერს და სხვა ნიშნებს აგონებდა. ასე შევიდა გეოგრაფიულ ნომენკლატურაში სიტყვა-მეტაფორები.

რეგიონული ტოპონიმისათვის უფრო ფასეულია ადგილობრივი, ლოკალური ტერმინების, როგორც რეგიონული ტოპონიმის (განსაკუთრებით, მიკროტოპონიმის) საყრდენი ლექსიკის შესწავლა, რამდენადაც მას შეუძლია საერთო ლექსიკურ მასალასთან ერთად და მის დონეზე გამოავლინოს, სახელდობრ, მოცემული რეგიონისათვის ნიშანდობლივი სპეციფიკური მასალა, მისი ხვედრითი წილი საერთო ლექსიკაში, როგორც არეალური, ისე ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ამიტომ, ერთი შეხედვით, მსგავსი მასალა მომიჯნა-

---

<sup>19</sup> შდრ. ა. სუპერანსკაიას დებულება (სუპერანსკაია 1968, 66; 1967 31-36), რომლის მიხედვითაც ობიექტის სიდიდე განაპირობებს ტოპონიმთა დაყოფას მაკროტოპონიმებად და მიკროტოპონიმებად.

ვე რეგიონებისა ამგვარი კვლევის შედეგად შეიძლება დიფერენცირებული გახდეს და ამის ფიქსაცია რეგიონული ტოპონიმიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

მარტივფუძიანი, ძირეული ტოპონიმები გეოგრაფიული ნომენკლატურის ერთ-ერთ უძველეს ფენას განეკუთვნება და მათი უმრავლესობა რელიეფის ამსახველია (ხევი, ქედი, მთა...).

ძირეული ტოპონიმი, საკვლევ რეგიონში მეტად მცირე რაოდენობით გვხვდება.<sup>20</sup> ეს ტოპონიმები ძირითადად მიკროტოპონიმებია (ყველაზე მრავლად ორონიმები). ისინი სრულიად გაუფორმებელია. მაგ., მთა, წყარო, ზვარ-ი, ქედ-ი, მორევ-ი, ჭანჭახ-ი, ხე-ვ-ი...

მარტივფუძიან სახელებს, სიხშირე-პროდუქტიულობის თვალსაზრისით, მკვეთრად უპირისპირდება რთული წარმოების გეოგრაფიული სახელები. აფიქსაცია ძლიერ გავრცელებული საშუალებაა საკვლევ რეგიონში. მარტივი ტოპონიმებისაგან ვღებულობთ როგორც ნაწარმოებ (წყაროები, ზვრები, ჭანჭახები...), ასევე თხზულ ტოპონიმებსაც (მშრალხევი, დამპალწყარო, შვინდავაკე...).

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ტოპონიმების უძველეს ფენას მარტივფუძიანი სახელები და დიდი მდინარეების სახელწოდებები ქმნის (ვ. გეორგიევი, ა. დულზონი, ვ. ნიკონოვი...). ქართულ-ქართველურ მასალაზე ამ დებულების სისწორის შემოწმებას და, მითუფრო, მტკიცებას რამდენადმე აძნელებს ის გარემოება, რომ ქართულ მარტივფუძიან სახელებს, ისევე როგორც აფიქსური წარმოების სახელებს, უეჭველია, სიძველით არ ჩამოუვარდება რთული ტოპონიმები... (ბედოშვილი 1981, 14).

გზა მარტივი გეოგრაფიული ტერმინებიდან საკუთარ სახელებამდე ზოგჯერ ძალიან გრძელია და ტოპონიმიზაციის პროცესი ჩვენს დროშიც და ჩვენს თვალწინაც გრძელდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში ტერმინები თანდათანობით განივ-

---

<sup>20</sup> პროცენტულად თუ ვიანგარიშებთ, მარტივი ტოპონიმები ბოლოსართებით ნაწარმოებ ტოპონიმებთან შედარებით უმნიშვნელოდ მცირე რაოდენობისაა (1% : 99%-თან).



რცობა და კონკრეტდება დამატებითი ცნებების აღმნიშვნელი სიტყვებით: ზედსართავებით, რიცხვითი სახელებით, ეთნონიმებით (მურზაევი 1973, 31) და აუცილებლად – მაწარმოებლებით (მაგ., **მრგვალი** ჭალა, **მლაშეხევი**, **გრძელველი**; **სამთელა**, **სამგორი**; **თუხარლიანთწყარო**, **ლევანიანთგორა**, **თამარისხიდი**, **ქედები**, **ბაღები**, **გმელა...**). ამ გზით მარტივი ტოპონიმები იქცევა კომპოზიტებად და განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს.

## 2. ნაწარმოები სახელები

ცნობილია, რომ ტოპონიმიკური ფორმანტების პროდუქტიულობას აქვს ქრონოლოგიური და სივრცობრივი საზღვრები.

ტოპონიმთა წარმოება თითქმის არ განსხვავდება საზოგადო სახელთა წარმოებისაგან. ტოპონიმიკა არ იგონებს საკუთარ საშუალებებს.

ა. შანიძე შენიშნავს, რომ ტოპონიმებში ყოველგვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება იქნეს გამოყენებული. „ზედმიწვენილობა რომ დავიცვათ, უნდა ვთქვათ: ყოველგვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელსამე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრებად“ (შანიძე 1953, 139).

მაგრამ მაწარმოებელთა სიუხვე და მრავალფეროვნება ნებისმიერობას როდი გულისხმობს. როგორც ტოპონიმიკურ ლიტერატურაშია აღნიშნული, მართალია, ტოპონიმები მრავალი საუკუნის განმავლობაში უმეტესწილად სტიქიურად იქმნებოდა, მაგრამ ნებისმიერი სიტყვა ან ბგერათა უსისტემო გროვა ტოპონიმად ვერ იქცევა. სახელწოდებათა არჩევანი, შინაარსისა და ფორმის მხრივ, მკაცრად განსაზღვრულია. გარკვეულ პერიოდში მთელს ტერიტორიაზე მოსახლეობის განსაზღვრული ერთობისას ლექსიკური მარაგის მხოლოდ უმნიშვნელო, მკაცრად შეზღუდული ნაწილი შეიძლება მოხმარდეს ტოპონიმთა წარმოებას. ტოპონიმიკა იყენებს ენაში არსებულ საშუალებათაგან მხოლოდ მათ უმნიშვნელო ნაწილს. ქართული ტოპონიმიის ძირითადი ნაწილი სიტყვაწარმოების პროდუქტია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტოპონიმთა საწარმოებლად გამოყენებული ფორმანტების პროდუქტიულობაც და ფუძეებთან შეხამების უნარიც

მკაცრად განსაზღვრულია (ნიკონოვი 1965, 22-23). კერძოდ, განსხვავებულია, ერთი მხრივ, სხვადასხვა რეგიონში ერთი და იმავე მაწარმოებლის შეფარდებითი გავრცელებულობა, ხოლო, მეორე მხრივ, ერთსა და იმავე რეგიონში სხვადასხვა მაწარმოებლის შეფარდებითი სიხშირე.

ტოპონიმთა<sup>21</sup> წარმოებას ემსახურება არა ყველა აფიქსი, არამედ აფიქსთა მკაცრად შერჩეული ჯგუფი. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ქართული ადგილთა სახელები უმთავრესად სუფიქსური წარმოებისაა.

კასპის რეგიონის ტოპონიმურ მასალაშიც სუფიქსაცია ტოპონიმთა წარმოების ყველაზე უფრო გავრცელებული საშუალებაა. სართების გამოყენებით იწარმოება როგორც მარტივი, ასევე თხზული ტოპონიმები.

### ა) ბოლოსართებით ნაწარმოები სახელები

-ობ(ა) ბოლოსართი

ენაში უკვე არსებულ ფუძეებზე გარკვეული სიტყვაწარმოებითი საშუალებების – სართების დართვით იწარმოება ახალი სიტყვები. ეს სიტყვები ამოსავალ ფუძეებთან შეფარდებით ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას და თვისებებს იძენს.

არსებითი თუ ზედსართავი სახელის ფუძეზე -ობ ბოლოსართის დართვა და ამ გზით ადგილის აღნიშვნა-მითითება ქმნის გარკვეულ ტოპონიმურ მოდელებს. -ობ ბოლოსართს ზოგჯერ ენაცვლება -იან და -ოვან მაწარმოებლები და ამ ფუნქციით (ადგილის ჩვენება) ისინი გვევლინება სინონიმურ სიტყვაწარმოებით აფიქსად (საბაშვილი 1978, 94).

საკვლევი რეგიონიდან არსებითი სახელებისაგან -ობ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებია: ტაფ-ობ-ი, ჭყანტ-ობ-ი, ჭვიროსფერდ-ობ-ი... ზედსართავებისაგან ნაწარმოები ტოპონიმები – თეთრ-

---

<sup>21</sup> დასახელებულ ტერმინ ტოპონიმში ნაგულისხმევია ობიექტის სახელი (ტოპონიმი თუ ჰიდრონიმი, ორონიმი თუ ოიკონიმი...), რომელსაც ტოპონიმის წესით ვაწვდით.

**ობ-ი**, წითლ-**ობ-ი**, კომპისმალ-**ობ-ი**, ქვენადრისისდაბლ-**ობ-ი**...

თ. ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოყენებულ -ობ//ობ-ა ბოლოსართს, რომელიც საერთოდ აბსტრუქტულ სახელებს აწარმოებს, ტოპონიმებში კრებითი, ქონების მნიშვნელობა აქვს (ზურაბიშვილი 1961, 151). ა. ჭინჭარაულის აზრით კი, -ობ//ოვ (-ობ-ა) სუფიქსი ზოგჯერ მრავლობითობასაც გამოხატავს (ჭინჭარაული 1960, 72).

საანალიზო რეგიონში -ობ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები: ღვთიშობლ-ობ-ა, კვირაცხოვლ-ობ-ა, ილმიტ-ობ-ა, კიკნა-ობ-ა... ისინი, მართალია, აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს, ამ შემთხვევაში რელიგიური დღესასწაულის სახელებს, მაგრამ თვით ამ ადგილსაც, სადაც ამა თუ იმ დღეობას იხდიან, კვლავ ამ სახელით იხსენიებენ, თუმცა, შესაძლოა, იქ აღარც საყდარი ან ნიში, ანდა სხვა რაიმე საკულტო ძეგლი აღარც იყოს.

მაშასადამე, სემანტიკურად -ობ და -ობ-ა სართებდართულ ამგვარ სახელებს მრავლობითობის გაგება არ გააჩნია.

### **-ა ბოლოსართი**

საკვლევ რეგიონში ტოპონიმთა ყველაზე პროდუქტიული ფორმანტია -ა. მაგ., ბილიკ-ა, გვერდ-ა, გორაკ-ა, გრძელ-ა, ვარცლ-ა, კოდ-ა, ლომის-ა, ნაზუქ-ა, ნამგალ-ა, ოხერ-ა, უნაგი-რ-ა, ფერდ-ა, ფიცარ-ა, ქედ-ა, ქოჩორ-ა, შიმშილ-ა, შურდულ-ა, ჩაჩქან-ა, ჩრდილ-ა, ჭინჭარ-ა...

ამ აფიქსის დანიშნულების შესახებ გამოთქმულია არაერთი მოსაზრება.

აკ. შანიძე -ა-ს კნინობითობის სუფიქსს უწოდებს და -აკ ბოლოსართის ნაშთად მიიჩნევს. გარკვეული ტიპის სახელებში კი -ა სუფიქსი ქონებისა და მსგავსების წარმოდგენას იძლევა (შანიძე 1930, 120-126).

თ. ზურაბიშვილის აზრით, ეს ნაწილაკი ტოპონიმებსა და ზოგ სხვა სახელებში, მართლაც, კნინობითობის ფუნქციით იხმარება, მაგრამ გეოგრაფიული სახელების მიმართ იმავეს თქმა გაჭირდებოდა,

რადგან აქ მას ქონების, მსგავსების<sup>22</sup>, თვისების მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს (ზურაბიშვილი 1961, 140).

მართლაც, რომ შევადაროთ უაფიქსო და -ა სუფიქსიანი წყვილი - გვერდ-ი და **გვერდ-ა** (სს. ლამისყანა, ხოვლე...), გრძელ-ი და **გრძელ-ა** (სს. ერთაწმინდა, სასირეთი) გორაკ-ი და **გორაკ-ა** (ქვემოჭალის მუნიცი.), ნიგოზ-ი და **ნიგოზ-ა** (კოდისწყაროს მუნიცი.), ფერდ-ი და **ფერდ-ა** (სს. გამდლისწყარო, სამთავისი, ქვემოჭალა...), ფიცარ-ი და **ფიცარ-ა** (სს. ნიგოზა, ყარაღაჯი, ჩობალაური), ჩრდილ-ი და **ჩრდილ-ა** (ს. საკორინთლო), - ცხადი გახდება, რომ მეორე გეოგრაფიული სახელია, ხოლო წყვილის პირველი ცალები კი, შეიძლება მოქმედებდეს როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებად ს.ჯანაშია -ა სუფიქს ტოპონიმების მასუბსტანტივებელ ხმოვნად თვლიდა (ჯანაშია 1959, 218).

ფ. მაკალათიას აზრით, -ა სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებში ზედსართავ სახელთა გაარსებითების გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. მაგ., \*მოკვეთილი მამული -> მოკვეთილა მამული -> მოკვეთილა (მაკალათია 1974, 34)<sup>23</sup>.

გ. ბედოშვილს ა სუფიქსისათვის მასუბსტანტივებელი ხმოვნის წოდება უძნელდება ისეთ ტოპონიმებში, რომლებშიც ზედსართავი მნიშვნელობა გამორიცხულია (**შუბლა, ველ-ა, გორ-ა...**) და ამ ტიპის სახელებში მას კნინობითობის ტოპონიმიკურ სადერივაციო აფიქსად მიიჩნევს; ხოლო ზოგ შემთხვევაში, სადაც გაურკვეველია ა-ს ფუნქცია, მას ანალოგიის შედეგად მიღებულად თვლის (ბედოშვილი 1980, 16-17).

---

<sup>22</sup> მსგავსებასთან დაკავშირებით აღ. მანჯგალაძე აზუსტებს ერთ პუნქტს: -ა სუფიქსი გამოიყენება მსგავსების აღსანიშნავად ფერის, მოყვანილობის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით (მანჯგალაძე 1954, 277).

<sup>23</sup> დაახლოებით ასეთივე მოსაზრება ეკუთვნის ი. კარპენკოს: „ტოპონიმიკურ მეტონიმებში ტოპონიმ-ზედსართავებზე არსებითის სუფიქსების დართვისას გვხვდება ზედსართავი სიტყვაწარმოებაც. ცვლილება ტოპონიმიკური შესიტყვების დაშლამდე უნდა მომხდარიყო, კერძოდ, ტოპონიმების სუბსტანტივაციამდე (კარპენკო 1966, 7). განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ რუსულ ტოპონიმიში, ამ კერძო შემთხვევაში, ზედსართავია ჩავარდნილი (город Бъжцкий Верхъ в Новгородской земле – На Бъжцы, Бъжичи; буювсий город Черновский Торгъ – на Черновцы...), ქართულში კი, ზედსართავი ჩანს და არსებითია დაკარგული.

მ. ჩიქოვანი ლექსუმური მასალების ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ -ა დაბოლოება კინოზოტობის ფორმითაა შესული ტოპონიმიკაში მსგავსების ან ქონების აღსანიშნავად. იგი ფუძესაა მიმაგრებული სახელი კი, ბოლოს თითქმის აღარ იკვეცს (ჩიქოვანი 1949, 232). მისივე დაკვირვებით, ეს ფორმანტი ნაკლებ იხმარება სოფლების სახელთა წარმოებისას. ლექსუმური ტოპონიმიკური მასალის ჩვენების საწინააღმდეგოდ, კასპის რეგიონის ტოპონიმიკაში არცთუ იშვიათია ა-ს საშუალებით ოიკონიმა წარმოება: ახალშენ-ა, ბორ-ტ-ა, გორაკ-ა, ვერხვეულ-ა, თეკნელ-ა, ნიგოზ-ა, ტყემლოვან-ა... და არც ამ ფორმანტის მოკვეცაა უჩვეულო: ახალშენ\*ისწყარო, ახალშენ\*ისქალები – შდრ.: ს. ახალშენა; ბორტ\*ისბაღი, ბორტ\*ისრუ, ბორტ\*ისმიწები – შდრ.: ს. ბორტა; გორაკ\*ისუბანი, გორაკ\*ისწყარო – შდრ.: ს. გორაკა...

ზემოთ ჩამოთვლილ ვარაუდებს ემატება ა. პაპიძის რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება: -ა სუფიქსის დართვისას „ერთი და იმავე დანიშნულების საგანთა სიმრავლიდან გამოიყოფა მხოლოდ ერთი საგანი და დანიშნულება მის საკუთარ განმსაზღვრელად იქცევა: ასაწევლა, საჭრელა, სახაპელა...“ (პაპიძე 1974, 28). კასპის რეგიონის ტოპონიმაგან, რომლებიც ნაწარმოებია მიმდებრიდან, აბსოლუტური უმრავლესობა -ა-ს დართვის შედეგადაა მიღებული. მაგ., სახეთქელ-ა, მოდრეკილ-ა, მოხვეულ-ა, გაპარულ-ა, სათვლელ-ა, გადასხვეპილ-ა, ჩაკირულ-ა, დაწყობილ-ა, დაკიდულა, ხარიწოლ-ა, კენჭიყარ-ა, ღვედიწყვეტ-ა<sup>24</sup>...

-ა ბოლოსართი დაერთვის როგორც მარტივფუძიან სახელებს, ისე ნაწარმოებსა და თხზულს.

ა) **მარტივფუძიანები:** ფიცარ-ა, კვართა-ა, ხიდ-ა, გვერდ-ა, ველ-ა, ხრიაკ-ა, ფერდ-ა, ნაზუქ-ა, ვარცლ-ა, გმელ-ა...

ბ) **ნაწარმოები სახელები:** კავთ-ურ-ა, ლეხ-ურ-ა, გუდალ-ურ-ა, კოწახ-ურ-ა, კაკალა-ურ-ა, ძენძე-ურ-ა, ნატრა-ულ-ა, ძეძვ-ნარ-ა, ფიჭვ-ნარ-ა, ნა-ცხვარ-ალ-ა...

---

<sup>24</sup> ცალკე კვლევის საგანია ცხვარიჭამ-ი-ა, ხარიჭამ-ი-ა, ქუდიტაც-ი-ა, ორმოხეთქ-ი-ა, თითიკვნეტ-ი-ა... ტიპის ერთეულები, სადაც გასარკვევია, თუ რას წარმოადგენს -ია ელემენტი: იშლება ნაწილებად თუ არა.

გ) **თხზული სახელები:** ახალშენ-ა, გველთახევე-ა, დიდფერ-დ-ა, ველგრძე-ლ-ა, ობოლფურცელ-ა, პირწითელ-ა, ქვაკაც-ა, ყანიყურ-ა, შავწყალ-ა, ხმელი ფერდ-ა, ხეხმელ-ა...

სემანტიკურად საანალიზო რეგიონის ყველა ტოპონიმი, რომლებიც ნაწარმოებია -ა სუფიქსით, თვისებისა და მსგავსების მიმანიშნებელია და მიემართება როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურ ობიექტთა აღმნიშვნელ სახელებს.

### **მრავლობითი რიცხვის სუფიქსები**

-თ(ა), -ევ, -ებ მორფემები საერთოდ მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელია ქართულში, თუმცა, ტოპონიმებში მრავლობითობის გაგება ამჟამად დაჩრდილულია. დასახელებულ ბოლოსართთა მეშვეობით ტოპონიმთა წარმოების სისტემა მყარი ტრადიციითაა შეპირობებული.

სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება ძველ, საშუალ და ახალ ქართულში ძირითადად ერთ სისტემას ექვემდებარება.

ტრადიციული შეხედულების მიხედვით, ქართულში გვაქვს სახელთა მრავლობითი რიცხვის სამი სუფიქსი: -ნ, -თ(ა), და -ებ (-ევ). ეს ფაქტი აღნიშნულია როგორც ადრინდელ, ისე თანამედროვე მეცნიერთა შრომებში.

ზოგიერთი მკვლევრის მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართულში გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოიყენება მრავლობითის აფიქსები -თა, -ებ და სიტყვაწარმოების ფორმანტები -იან, სა--ო, ნა--ო (კაჭარავა 1960, 216). მათ უმატებენ აგრეთვე -ეთ, -ათ სუფიქსებსაც.

ყველა ენისათვის დამახასიათებელია ტოპონიმის გაფორმება მრავლობითის ნიშნით, მიუხედავად იმისა, რომ თვით ეს ადგილი – აღსანიშნი ობიექტი ერთადერთია. „ტოპონიმი, როგორც ერთი გარკვეული ობიექტის საკუთარი სახელი, ერთგნებია“ (ნიკონოვი 1965, 66).

აკ. შანიძის სამართლიანი შენიშვნით, „ზოგიერთი სახელი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითის ფუნქცია აღარ აქვს. განსაკუთრებით ხშირია ასეთი ფორმები გეოგრაფიულ სახელებში“ (შანიძე 1953, 137).

ვინაიდან ტოპონიმი ცალკეული გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდებას წარმოადგენს, ბუნებრივია, მას შეუძლია მხოლოდ ერთი რიცხვის გაგება – მხოლოდობითის გაგება ჰქონდეს, იგი ერთცნებიანია, ამიტომ ტოპონიმები, ჩვეულებრივ, მხოლოდობით რიცხვში იხმარება, მრავლობითში – უფრო იშვიათად. მაგრამ ტოპონიმი მრავლობითი რიცხვის ფორმითაც მაინც ერთ ობიექტს აღნიშნავს, განსხვავებით აპელატივებისაგან, რომლებიც მრავლობითი რიცხვის ფორმაში მიუთითებს ერთგვარი საგნების განუსაზღვრელ რაოდენობაზე. მაშასადამე, მრავლობითი რიცხვის ფორმა არსებითად ამა თუ იმ აპელატივის ტოპონიმიზაციის საშუალებას წარმოადგენს.

ქართულ ტოპონიმთა საწარმოებლად, ზემოაღნიშნული სამივე სუფიქსი **-ნ**, **-თ/-თა**, **-ებ** გამოიყენება, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები სიხშირით. მაგრამ მათ გარდა გვხვდება მრავლობითობის სხვა მწარმოებლებიც, რომლებიც წარმოადგენს ტოპოფორმანტებს. ესენია: **-ევ**, **-ან**, **-ნარ...**

#### **-თ/-თა ბოლოსართი**

**თ** მრავლობითის მაჩვენებელი აფიქსია, რისამე ან ვისიმე მრავლად მყოფობის ადგილის აღმნიშვნელ სახელებს აწარმოებს (ლექსავა 1979, 181). რაც შეეხება თანმხლებ ხმოვნებს, ზოგი მკვლევრის აზრით, ხმოვანი არ არის ძირითადი ელემენტი: იგი ან ფუძის კუთვნილება ან ჩანართია (ს. ჯანაშია, აკ. შანიძე, ლ. ლექსავა). სხვათა აზრით კი, ხმოვანი აფიქსისეულია (ვ. თოფურია, ქ.ლომთათიძე).

გეოგრაფიულ სახელთა მწარმოებელი ექვსი აფიქსი (**-ათ**, **-ეთ**, **-ით**, **-ოთ**, **-უთ**, **-თა**) ს. ჯანაშიას ერთ **-თა/-თ** აფიქსამდე დაჰყავს. მაგრამ, ამასთანავე, გამოთქვამს ვარაუდს, რომ **-თა/-თ** მხოლოდ ქართული აფიქსი არ არის და პარალელს უძებნის ჭანურში, აფხაზურსა და ოსურში (ჯანაშია 1959, 152).

ს. კაკაბაძესაც **-თა** აფხაზურის შესატყვის კილოში ადგილის მწარმოებელ სუფიქსად მიაჩნდა (კაკაბაძე (1924, 255).

ქ. ლომთათიძის დასაბუთებით ქართული გეოგრაფიული სახელების **-თა** სუფიქსი და აფხაზურში არსებული გეოგრაფიული სახელების საწარმოებელი **-თა** სუფიქსი სრულიად განსხვავებული მნიშვნელობისაა და მათ ეტიმოლოგიაც განსხვავებული აქვს (ლომთათიძე 1956, 134).

ვ. გამრეკელი -**თა** ბოლოსართს ქისტურ თანდებულად თვლის და მას -**ზე** თანდებულის ექვივალენტად მიიჩნევს (გამრეკელი 1958, 60-61).

-**თა** სუფიქსის უცხოური წარმოშობის საპირისპირო მოსაზრება ეკუთვნის ვ. თოფურას. მისი აზრით, -**თა** ქართული აფიქსია. იგი წარმოშობით მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია (თოფურია 1956, 288).

ამ ფორმანტით გაფორმებულ სახელს თავიდან რაღაც საზღვრული უნდა ხლებოდა, რომელიც შემდგომ დაიკარგა და -**თა** სუფიქსმა თანდათან იკისრა ადგილის სახელთა სუფიქსის ფუნქციაც (თოფურია 1956, 289; შანიძე 1981, 115).

თუკი ყველა თანიანი აფიქსი ერთ -**თ(ა)** აფიქსამდე დაიყვანება, თანაბარ ვითარებაში მათ ცვლილებებიც ერთგვარი უნდა გვიჩვენონ და ამ აფიქსებით გაფორმებულ სახელთაგან ახალ სახელთა წარმოებისას სხვადასხვაგვარობა თითქოს არცა გვაქვს (ლუჟავა 19739, 184).

კასპის რეგიონში **თ-ს** შემცველი ბოლოსართებიდან ნაკლებ პროდუქტიულია:

-**ით**: ხვი-**ით-ი**, სხვ-**ით-ი** (ს. ხვითი);

-**უთ**: წყრ-**უთ-ი** (ს. თვალადი), გეგ-**უთ-ი** (ს. ხოვლე);

-**ოთ**: ქოლ-**ოთ-ი** (ს. ახალშენა), გოგ-**ოთ-ი** (ს. მეტეხი);

-**თა**: კავ-**თა** (ს. თვალადი), კვარ-**თა** (ს. ხოვლე), ფიცარ-**თა** (ს. ფერმა)...

ყველაზე ხშირად გავრცელებულია -**ეთ** ფორმანტი, რომელიც მიაჩნიათ -**თა** სუფიქსთან ფონეტიკურად ახლოს მდგომ და იმავე ფუნქციით აღჭურვილ ბოლოსართად. მისი ამოსავალი მნიშვნელობა უკავშირდება -**ედ** სუფიქსისას, კერძოდ, -**იან**, -**ოვან**, ანუ მქონეობის მიმანიშნებელ ფორმანტთა მნიშვნელობას (ჩიქობავა 1974, 70).

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ -**ეთ** სუფიქსი გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ჩვეულებრივ, მცენარეთა, ცხოველთა სახელებისა და საკუთარი სახელებისაგან აწარმოებს. არნ. ჩიქობავას აზრით, -**ეთ** წარმოება ძველია და ამჟამად ეს წარმოება ჩანს ყველაზე პროდუქტიული (ჩიქობავა 1974, 71).



შენიშნულია, რომ ენაში სპეციფიკური, მხოლოდ ტოპონიმთა მაწარმოებელი სართები, ანუ ტოპოფორმატები შედარებით იშვიათია, ზოგ ენაში კი, შეიძლება სულაც არ იყოს. ქართულში ასეთ ფორმანტებად **-ეთ** და **-ურა** ითვლება<sup>25</sup>. **-ეთ** სუფიქსი ეთნონიმისაგან აწარმოებს ქვეყნის სახელს და სხვა (აპელატივები) დანიშნულება თითქოს არ უჩანს (ცხადაია 1985, 25).

მიუხედავად იმისა, რომ ტოპონიმთა წარმომქმნელი **-ეთ** სუფიქსი ფუნქციურად დატვირთულია, ქართულ ჰიდრონიმებში იგი თითქმის არ გამოიყენება. **-ეთ**-აფიქსიანი ჰიდრონიმი არ დასტურდება არც საკვლევ რეგიონში. რაც შეეხება მთელი საქართველოს ჰიდრონიმიას, იქ მხოლოდ 15 მდინარის სახელია გაფორმებული

**-ეთ** დაბოლოებით (საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი). **-ეთ** დაბოლოებას ძველ სალიტერატურო ქართულში კრებითი მნიშვნელობაც აქვს. საერთოდ ქართულში იგი აწარმოებს ქვეყნების, როგორც განსხვავებული ეთნიკური სახელწოდების მოსახლეობის შემცველი კრებითი ცნებების სახელწოდებებს. მაგრამ **-ეთ**-იანი ტოპონიმების ყველა შემთხვევის მიმართ ეს არ ითქმის. კერძოდ, ს. ჯანაშია არ იზიარებს ნ. მარის მოსაზრებას, რომ **-ეთ** ფორმანტით დაბოლოებულ ყველა სახელში შეიძლება ეთნიკური შინაარსის ძიება და ამის ნეგატიურ საბუთად მოჰყავს **-ეთ** ფორმანტით დაბოლოებული მრავალრიცხოვანი სოფლისა და ადგილის სახელი (ჯანაშია 195, 146).

ასევე ძნელია ეთნიკური შინაარსი მიეწეროს კასპის რეგიონის შემდეგ ტოპონიმებს: ველ-**ეთ**-ი (ს. გამდლისწყარო) – ტყე; ზვილ-**ეთ**-ი (ს. ლამიყანა) – სახნავი, ძულ-**ეთ**-ი (ს. თვალადი) – ხეობა; მზვარ-**ეთ**-ი (ს. თვალადი) – ფერდობი; ძვილ-**ეთ**-ი, გუდალ-**ეთ**-ი, ავკ-**ეთ**-ი, ჩაჩუბ-**ეთ**-ი, იგო-**ეთ**-ი, ჩოჩ-**ეთ**-ი, ცხირ-**ეთ**-ი – ყველა ოიკონიმთა – დღეს არსებული ან ნასოფლარის სახელებია.

ქართულში გეოგრაფიულ სახელთა **-ეთ** დაბოლოებას ოდესღაც მოთხრობით, მიცემით და ნათესაობით ბრუნვათა ნარ-თანაინი

---

<sup>25</sup> იხ. შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, „ქართული ოიკონიმები“, „ტოპონიმიკა“, თსუ, 1980, ტ. 2, გვ.244-246, 251-252.

მრავლობითიდან მომდინარედ მიიჩნევენ. როგორც ცნობილია, დასახელებულ ბრუნვათა ფორმებიდან ქართულში გეოგრაფიულ სახელებად მხოლოდ საზღვრულდაკარგული ნათესაობითი ბრუნვის ფორმები გვევლინება. ამიტომ სავარაუდებელია, რომ **-ეთ** დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელებიც ანალოგიური წარმოშობისაა. მაშასადამე, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ვარაუდი, რომ **თ** ელემენტი მრავლობითის მაჩვენებელია.<sup>26</sup>

#### **-ევ ბოლოსართი**

საქართველოს ტოპონიმია ძალზე მდიდარია მრავლობითის ბოლოსართებით წარმოქმნილი ფორმებით, მათვე უნდა მიემატოს **-ევ** სუფიქსით ნაწარმოები სახელები. მისი გავრცელების არედი შეიძლება ჩაითვალოს ტერიტორია არაგვიდან რიონის შუა წელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც „მველადვე სამი ენის გავლენის ფარგალში იყო მოქცეული: ქართულის, ზანურისა და სვანურისა“ (შანიძე 1981, 443).

სოფლის სახელებს გარდა, რომლებშიც **-ევ** დაბოლოება საკმაოდ გავრცელებულია, იგი გვხვდება მთების სახელებში, და არა მარტო იქ: „ასეთი სახელების რიცხვი ძალზე დიდი იქნება, მაგრამ ბევრი სახელის დაბოლოება დღეს უეჭველია **-ებ**-ად არის გადაკეთებული“ (შანიძე 1981, 441).

ალბათ, სწორედ ამის შედეგია, რომ კასპის რეგიონშიც **-ევ** ფორმანტით გაფორმებული ტოპონიმები არ გვხვდება (თუ არ მივიღებთ მხედველობაში **ნა**- პრეფიქსთან შეხამების შემთხვევებს: (**ნა** – **-ევ**).

#### **-ებ ბოლოსართი**

სავარაუდებელია, **-ებ** ფორმანტმა საკვლევ რეგიონში თანდათან შეავიწროვა და ბოლოს განდევნა კიდეც **-ევ** ბოლოსართი. მისი

---

<sup>26</sup> ა. სვანიძის აზრით, საქართველოს ტოპონიმიაში განსაკუთრებით ხშირია **-ეთ** და **-ით**-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები. მკვლევარი მათ ამავე დაბოლოების მქონე, მცირე აზიაში ფართოდ გავრცელებული, გეოგრაფიული სახელების შესატყვისად მიიჩნევს, და გამოთქვამს ვარაუდს, რომ მცირე აზიის პირვანდელი მოსახლეობა ამიერკავკასიის პირვანდელ მოსახლეობას ენათესავება (სვანიძე 1936, 30).

ადგილი დაიკავა უფრო პროდუქტიულმა და სიცოცხლისუნარიანმა მაწარმოებელმა (-ებ).

-ებ და -ევ ფორმანტებს ზოგიერთი მეცნიერი პარალელურ ვარიანტებად მიიჩნევს (შანიძე 1981, 176).

-ებ წარმოება საერთოქართულია. მრავლობითის -ებ სართის შემცველი გეოგრაფიული სახელები საერთოდ მრავალრიცხოვანია, მაგრამ ამა თუ იმ რეგიონში გვხვდება მეტ-ნაკლები სიხშირით. მაგ., მაჭახელასხეობის ტოპონიმულ გეოგრაფიული სახელები ხშირად ნაწარმოებია მხოლოდ მრავლობითის სუფიქსით (მსხალაძე 1954, 22).

-ებ სუფიქსის გამოყენების მაქსიმალური სიხშირით იმერული ტოპონიმია გამოირჩევა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, ფშაურ-ხევსურულ მიკროტოპონიმიაში -ნ მატოპონიმებული ფუნქციით არის გავრცელებული (მაკალათია ფ. 1975, 118).

-ებ-ის გავრცელების მხრივ მსგავსი ვითარებაა ერწო-თიანეთის, აჭარისა და დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაშიც (იხ. შესაბამისად: ბედოშვილი 1980, 22; სიხარულიძე 1958, 36; კაჭარავა 1960, 217).

ისტორიულად ნარ-თანიანი გეოგრაფიული სახელები უფრო ძველია, ვიდრე -ებ სუფიქსიანები, რომლებიც ამჟამად ფართოდაა გავრცელებული. -ებ-იანი მრავლობითის ფორმები თავს იჩენს შედარებით გვიანდელი ხანის ტოპონიმიაში.<sup>27</sup> „ძველ ქართულს კი საერთოდ არ ახასიათებს ამ სახის წარმოება“ (ზურაბიშვილი 1961, 144).

სხვა სართებს შორის -ებ მრავლობითის სუფიქსი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ჩანს კასპის რეგიონის ტოპონიმიაშიც: მიწ-ებ-ი, ბაღ-ებ-ი, ვენახ-ებ-ი, კაკლ-ებ-ი, ჭაობ-ებ-ი, წყარო-ებ-ი, ფერდობ-ებ-ი, გრძელე-ებ-ი, ბორტე-ებ-ი, ზვრ-ებ-ი, ყან-ებ-ი, სერ-ებ-ი, გორაკ-ებ-ი...

-ებ სუფიქსი ხშირად გამოიყენება როგორც მარტივი შედგენილობის ტოპონიმებში: ფონ-ებ-ი, ზვრ-ებ-ი, ბაღ-ებ-ი, ყან-ებ-ი... ისე

---

<sup>27</sup> თუმცა, თეზისი -ებ სუფიქსის სიახლის შესახებ ზოგი მეცნიერისათვის სადავოა, რამდენადაც მიჩნეულია სალიტერატურო ენაში ამა თუ იმ დიალექტის შემონატანად (დლონტი 1981, 88).

რთულ სახელებში ანუ კომპოზიტებში: დიდი ყან-**ებ**-ი, დიდვაკე-**ებ**-ი, კომპიტან-**ებ**-ი, ზედაჯვრ-**ებ**-ი... და ნაწარმოებ ფუძეებთან: თეთრ-**ობ**-**ებ**-ი, ფერდ-**ობ**-**ებ**-ი, ნა-სერ-**ლ**-**ებ**-ი, სა-ყავრ-**ე**-**ებ**-ი...

-**ებ** ფორმანტიტ გაფორმებულია სრულიად სხვადასხვა სახის გეოგრაფიული სახელი – ბუნებრივი თუ ხელოვნური ობიექტების ადმინისტრაციული სახელები – წყაროები, საბანაო ადგილები, კლდეები, სახნავ-სათესები, ბაღები. მაგ.: ფონ-**ებ**-ი, არჩილწილ-**ებ**-ი, ფიქლიჭყანტე-**ებ**-ი, წითლიტყემლ-**ებ**-ი, ბედაურ-**ებ**-ი, ზვრ-**ებ**-ი, ნა-ხნავ-**ებ**-ი, გაღმიკალო-**ებ**-ი, ნაფუძრ-**ებ**-ი, კოდე-**ებ**-ი, ნამგალე-**ებ**-ი, ლიბე-**ებ**-ი, ტონი-**ებ**-ი, თელე-**ებ**-ი, ფერდე-**ებ**-ი...

აღსანიშნავია, რომ საკვლევ რეგიონში -**ებ** სუფიქსი მხოლოდ მიკროტოპონიმებს აწარმოებს, ერთადერთი შემთხვევა დასტურდება -**ებ** ფორმანტის მაკროტოპონიმთან, კერძოდ, ოიკონიმთან გამოყენებისა (ს. თვაურები).<sup>28</sup>

ტოპონიმებში, რომლებშიც აღსანიშნი ობიექტის რეალური მრავლობითობა არ ივარაუდება, -**ებ** და -**ნ** სუფიქსებს მატოპონიმებელი ფუნქცია უჩანს. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ტოპონიმთა ფუძეში გამოყენებულ მრავალრიცხოვან აფიქსთაგან, რომელიც ტოპონიმებს საზიარო აქვთ საზოგადო სახელებთან, მხოლოდ -**ნ** და -**ებ** სუფიქსებს უჭირავთ გამორჩეული მდგომარეობა.

#### -იან ბოლოსართი

-იან სუფიქსი ძალზე გავრცელებულია მცენარეთა სახელთაგან ტოპონიმთა საწარმოებლად.<sup>29</sup> -იან აწარმოებს სხვაგვარ ტოპონიმებსაც: ტალახ-იან-ი, კლანჭ-იან-ი, აშურ-იან-ი, ნატურ-იან-ი, მუქერ-იან-ი, ბარნაბ-იან-ი, კუჟუჟ-იან-ი, ლამ-იან-ი, ლოდო-იან-ი, თოგო-იან-ი, ტრაბიკ-იან-ი...

ამ ტოპონიმთაგან ზოგი თვისებას აღნიშნავს (კლანჭ-იან-ი), ზოგი საკუთრებას მინიშნებს (ბარნაბ-იან-ი)...

---

<sup>28</sup> ანალოგიურ ვითარებას ადასტურებენ აღმოსავლეთ სქართველოს სხვა რეგიონებშიც. რამდენადმე მეტია -**ებ** სუფიქსით ნაწარმოები ოიკონიმები თიანეთის რეგიონში (ბედლოშვილი 1980, 22).

<sup>29</sup> დაწვრილებით იხილეთ ქვეთავი: III. 2. „ფლორის აღმნიშვნელი სახელები“.

-იან (<ეან) სუფიქსი ქართულში თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ წარმოშობის, შთამომავლობის, მიმდევრობის აღსანიშნავად (-იან ფორმანტის ეს მნიშვნელობა დღემდე დაცულია გვარებში: დადიანი, დავითიანი...) შემდგომში -იან ბოლოსართს ფუნქცია გაუფართოვდა, და ამჟამად იგი იხმარება ყოლა-ქონების აღსანიშნავად. სწორედ ამ მნიშვნელობით არის იგი ნახმარი ისეთ გეოგრაფიულ სახელებში, როგორცაა: კაპრიშ-იან-ი, თოგო-იან-ი...

იგივე -იან სუფიქსი სხვა სემანტიკის ზოგ ფუმესთან შეხამებულია ადამიანთა წარმომავლობის სახელთა -ელ მაწარმოებელთან. ტოპონიმი ნაკოშკრ-იანი უბანი მიღებული უნდა იყოს ნაკოშკრ-იან-ი (მხ. რიცხვი) ან ნაკოშკრ-იან-თა (მრ. რიცხვი) ფორმებისაგან, ხოლო ნაქალაქ-იან-ი (მხ. რ.) ან ნაქალაქ-იან-თა (მრ. რ.). ეს იგივე ჩანს, რაც ნაკოშკრ-ელ-ი – ნაკოშკრ-ელ-ნი (ნაკოშკრ-ელ თა), ნაქალაქ-ელ-ი – ნაქალაქ-ელ-ნი (ნაქალაქ-ელ-თა).

აკ. შანიძის აზრით, -იან დაბოლოებას ზოგიერთ შემთხვევაში შემონახული აქვს ჩამომავლობისა და კუთვნილების ფუნქცია, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფორმა მრავლობითია. როდესაც ეს ბოლოსართი დაერთვის ა-ზე გათავებულ ბოლოუკვეცელ სიტყვას, მაშინ მაწარმოებლის პირველი ხმოვანი ი დასუსტდება, დაიკარგება და მიიღება -ან სუფიქსი.

ამავე აზრისაა ს. ჯანაშია, როდესაც -ან სუფიქსის უძველეს და პირვანდელ ფუნქციად კრებითობას თვლის (ჯანაშია 1959, 47). იგი მიჩნეულია ძირეულ ქართულ სუფიქსად, რომელიც გარკვეულ ეპოქაში იხმარებოდა, ქართული სატომო სახელების საერთო მაწარმოებლად. შდრ.: სვ-ან-ი, ჭ-ან-ი, ტიბერ-ან-ი ანუ ტაბარ-ან-ი... (ჯანაშია 1952, 11).

მართალია, ამ წარმოების ტოპონიმები დღეს სატომო სახელებს აღარ აღნიშნავს, მაგრამ მათი მიდრეკილება გვარების კრებითობა, ოჯახი, შტო და მისთ. მინიშნონ, ხოლო თვით გვარებიდან უბნის სახელები აწარმოონ, აშკარაა.

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, კავკასიის ალბანეთისა და დაღესტნის ტომთა სახელებში დაცული -ან და -ონ სუფიქსებიც, მათი

ფონეტიკური ვარიანტებითურთ, ანალოგიური წარმოშობისაა და მათაც თვისების მიმანიშნებელ სუფიქსად მიიჩნევა (ჯავახიშვილი 1950, 50).

მაშასადამე, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, **-იან** და **-ან** მაწარმოებელი ერთი წარმოშობისად არის მიჩნეული.

**-ან** დაბოლოებიანი სახელები განსაკუთრებით გავრცელებულია ქართლსა და კახეთში, მაგრამ ისე, რომ ეს დაბოლოება ქართლში გაგებულია როგორც **-ან-ნ-ი**, მის გამოც ნათესაობით ბრუნვაში გვაქვს **-ანთ...** (შანიძე 1981, 438). მაგ., ხატკაცი-**ანთ-ი**, დათუა-**ანთ-ი**, ჭიჭინა-**ანთ-ი**...

მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება მართულ მსაზღვრელთან საზღვრულის ჩავარდნა.<sup>30</sup>

**-ან** სუფიქსი წინამავალი ხმოვნითა და მისი ვარიანტებით, კუთვნილებაზე მიანიშნებს. მაგ., ნინიკა-**ან-ი**, ბარაბა-**ან-ი** (ტყე), კოკოლა-**ან-ი** (ვენახები, ბაღები), ქონდარა-**ან-ი** სოფელი), შაქარა-**ან-ი**, ხოკერა-**ან-ი**, ბიძინა-**ან-ი** (უბანი)... სემანტიკურად ამ ტოპონიმებში ამკარად იგრძნობა მრავლობითის გაგება.

საქართველოს დასახლებული პუნქტებისა და უბნების სახელთა შორის საყურადღებოა **-იან/-ან** დაბოლოებიანი სოფლების სახელები, როგორცაა, მაგ., ქიზიყსა და კახეთში **ლუკიანი**, **ოზიანი**, **მირიანი** (ჯავახიშვილი 1950, 51).

ამგვარ ტოპონიმებს ეხმაურება საკვლევი რეგიონის ანალოგიური წარმოების ერთეულები: წივილა-**ან-ი**, მოურა-**ან-ი**, ხაბარა-**ან-ი**, თოთოსა-**ან-ი**, თუთუა-**ან-ი**, ნაცვალა-**ან-ი**, გუგულა-**ან-ი**, ტურიკა-**ან-ი**, ქება-**ან-ი**, შაველა-**ან-ი**... ესენი წარმოადგენს შტოგვარისა ან ოჯახს შერქმეული მეტსახელისაგან წარმოქმნილი უბნებისა და სავარაუდო ფართობების (ბაღების, სათესების, სამოვრების...) სახელწოდებებს. ამდენადვე, ამკარაა, რომ ეს ფორმანტი საერთო საკუთრების აღმნიშვნელად გამოიყენება.

---

<sup>30</sup> დაწვრილებით იხ. ქვეთავი III. 3. ბ) მართულ-მსაზღვრელიანი ტოპონიმები.

აქვე შეიძლება ერთი შენიშვნის გაკეთება: **-ან**-ი მთლიანად მაწარმოებლად არ გამოიყოფა. ყველა აღნიშნულ სახელში პირველი **-ა** ფუძისეულია (უფრო სწორად, ფუძეს შეხორცებული კნინობითის **-ა**, მეორე კი – ფორმანტისეულია. მაგ., წივილა-**ან**-ი, გუგულა-**ან**-ი, თუთუა-**ან**-ი, ნაცვალა-**ან**-ი...

სოფლების ან უბნების აღსანიშნავად ამგვარად ნაწარმოებ მართულ გვარსახელებთან საზღვრულებად არსებითი სახელები **კარი** ან **უბანი** გამოიყენება (მაგ., ზადიანთ**კარი**, ბარნაბიაბთ**კარი**, მთიულთ**უბანი** – სოფლები; ხატკაციანთ**უბანი**, შაქარაანთ**უბანი** – უბნები)... მაგრამ ზოგჯერ საზღვრულის ჩავარდნის შედეგად ვიღებთ **-ან** სუფიქსით გაფორმებულ ნომინატიურ ფორმებს (მაგ., მონასელა-**ან**-ი, თავვია-**ან**-ი, მოდრეკილა-**ან**-ი).

ქართლში, როგორც ცნობილია, გვაროვნული სახელების აღსანიშნავად იხმარებოდა და ახლაც იხმარება სუფიქსები **-იან**-ი და **-ან**-ი. ასე ნაწარმოები გვაროვნული სახელებისაგან მიღებული გეოგრაფიული სახელები საკვლევ რეგიონში მრავლად მოგვეპოვება. მაგ., დვანაძი**ანი** – სახნავი, შდრ.; დვანაძე; კაპრიში**ანი** – სოფელი შდრ.; კაპრიშიძე; ბარნაბი**ანი** – სამოვარი, შდრ.; ბარნაბიშვილი; ბასილა**ანი** (ს. გრაკალი) – სამოვარი, შდრ.; ბასილაშვილი; გეჯა**ანი** – უბანი, შდრ.; გეჯაძე; თოიძი**ანი** – საყანე, შდრ.; თოიძე...

ვარაუდობენ, რომ ქართველურ ენებში ადამიანთა გვარებისაგან მიღებულ გეოგრაფიულ სახელთა წარმოქმნაში თავდაპირველად მონაწილეობდა მხოლოდ თავსართები, რომლებსაც მოგვიანებით ბოლოსართებიც დაემატა. მათ შორის მრავლობითობის სუფიქსების მეშვეობით ტოპონიმთა წარმოება შედარებით გვიანდელ მოვლენად არის მიჩნეული (კაჭარავა 1960, 221).

#### **-ის(ა)** ბოლოსართი

ქართულ ტოპონიმთა წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **-ის** ბოლოსართს, რომელიც გეოგრაფიულ სახელებში ისტორიულად ტოპოფორმანტების ფუნქციით არის დამკვიდრებული.

ამ სუფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმთაგან ზოგის დაბოლოებაა

-ის-ი, ზოგისა კი, -ის-ა, სადაც -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, -ი – სახელობითი ბრუნვისა, ხოლო -ა – მავრცობი ანუ ემფატიკური ხმოვანი. მთლიანად ტოპონიმი კი, წარმოადგენს ნაგენიტივარ (ნანათესავითარ) სახელს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ -ის ფორმანტს სიტყვაწარმოებითი დანიშნულება, გარკვეულწილად, საერთოქართველურ ფუძეებშიც უნდა ჰქონოდა.

კასპის რეგიონის ტოპონიმიაში -ის სუფიქსი დღესაც მეტად პროდუქტიულია. მაგ., ქსოვრ-ის-ი, ქსილ-ის-ი, ბოტ-ის-ი, ფუნგ-ის-ი, კად-ის-ი, სამთავ-ის-ი, ბრილ-ის-ი, ბენ-ის-ი, თავნ-ის-ი, საქარ-ის-ი, ქვენადრ-ის-ი, ზენადრ-ის-ი, საკურთხ-ის-ი, პარატ-ის-ი.

გარკვეულწილად ამ ტოპონიმთა სიძველით უნდა აიხსნებოდეს, რომ დროთა განმავლობაში ფორმანტის თავდაპირველი ფუნქცია შესუსტდა და მოითხოვა სხვა ტოპომარწარმოებით გაძლიერება. ამ შემთხვევაში იგულისხმება მრავლობითობის -ებ ფორმანტის დართვა. მაგ., ომ-ის-ებ-ი, ბრილ-ის-ებ-ი, ბენ-ის-ებ-ი, ფავნ-ის-ებ-ი, იკად-ის-ებ-ი, სამთავ-ის-ებ-ი....

ამგვარი ნაგენიტივარი ტოპონიმები ნაშთი უნდა იყოს შესიტყვების ფორმის მქონე გეოგრაფიული სახელებისა, რომელთაც საზღვრული კომპონენტი (დაბა, სოფელი, ციხე, ქალაქი და სხვ.) ჩავარდნით, რის გამოც მსაზღვრელს დაჰკარგვია პირვანდელი მნიშვნელობა და ახალი მიუღია: დაბაჲ რუ-ის-ი -> რუ-ის-ი, ციხეჲ ქუთათ-ის-ი -> ქუთათ-ის-ი (აქედან შემდეგ: ქუთათისი) და მისთ. (შანიძე, 1984, 115). უნდა ვივარაუდოთ, რომ შესიტყვების ეტაპზე (მაგ., ციხეჲ ქუთათისი) ტოპონიმიზაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა და, ამ თვალსაზრისით, საზღვრულის ჩავარდნა – ამ პროცესის ერთგვარ „კატალიზატორად“ უნდა ვიგულოთ.

ყოველივე ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ნაგენიტივარი ტოპონიმები მუდამ საზღვრულის ჩავარდნის შედეგია. უკვე შექმნილი მოდელი ანალოგიის ძალით აჩენს ახალ მსგავს ერთეულებს.

### **-ურ ბოლოსართი**

-ურ სუფიქსი სპეციალურ ლიტერატურაში წარმომავლობისა და თვისების აღმნიშვნელად ითვლება (შანიძე 1942, 129).



და, თუმცა, ეს აზრი ზოგადად გაზიარებულია, ზოგიერთი ნაწარმი, რომელიც ეძღვნება რეგიონული ტოპონიმის საკითხებს, მთიულეთისა და სამცხე-ჯავახეთის მასალაზე დაყრდნობით -ურ ბოლოსართის ფუნქცია მიჩნეულია მეორეულ, გვიან შექმნილ ფუნქციად, რომელსაც უსწრებდა კუთვნილების აღნიშვნა – ურ ფორმანტის უძველესი ფუნქცია (ხორანაული 1973, 135; ბერიძე 1978, 121). შემდეგ ეს ფუნქცია დაეკარგა და ასკვნის -ურ (-ულ) სუფიქსი აწარმოებს ორონიმებისაგან ახალ ტოპონიმებს, მიმართებით ტოპონიმებს (ბერიძე 1978, 121).

კასპის რეგიონში -ურ სუფიქსით ნაწარმოები სამივე ტოპონიმი აღნიშნული ფუნქციითაა დატვირთული (კუთვნილება, თვისება და წარმომავლობა-სადაურობა). მაგ., გავაზ-ურ-ი (მინდორი), შდრ.: ს. გავაზი; ავკ-ურ-ი (ბაღი), შდრ.: ს. ავკეთი; ახალსოფლ-ურ-ი მიწები (მინდორი), შდრ.: ს. ახალსოფელი...

გვხვდება დისიმილირებული ფორმებიც: ბარდ-ულ-ი (ნაკვეთი, ბაღი), ლაბირინთ-ულ-ი (ბაღი), ლავრ-ულ-ი (მდ.), რუსხმულ-ი (ს. ნაკვეთი)...

#### -ეულ ბოლოსართი

ყურადღებას იქცევს კუთვნილების -ეულსუფიქსიანი მოდელი. ეს სუფიქსი, ჩვეულებრივ, დაერთვის ნათესაობითში დასმულ საკუთარ სახელებს, რომელთა წარმართი მრავლობითის ფორმა მათი კრებითობის შინაარსს ავლენს. მაგ., ნიკა-ან-თ-ეულ-ი (ვენახები), ნონია-ან-თ-ეულ-ი ვენახები, თუხარლი-ან-თ-ეულ-ი ბაღი, ტახია-ან-თ-ეულ-ი ვენახი, ბეინა-ან-თ-ეულ-ი ვენახი...

გვხვდება მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში დართვის შემთხვევაშიც. მაგ., სიდა-ს-ეულ-ი მიწები, პლატონა-ს-ეულ-ი მამული, ერისთავ-ის-ეულ-ი შენობა, შქარა-ს-ეულ-იველი...

კასპის რეგიონში ხშირია საზღვრულწავარდნილი სახელები, რომელთა მსაზღვრელებს – მართულს, ორივე რიცხვში – დაერთვის -ეულ ფორმანტი. მაგ., ტოლბა-ს-ეულ-ი, ტატე-ს-ეულ-ი, გიორგა-ს-ეულ-ი, ყაყანა-ს-ეულ-ი, ბათილა-ს-ეულ-ი, ფიდუა-ს-ეულ-ი, ღვდლ-ის-ეულ-ი, ბარდამ-ის-ეულ-ი, გვი-ან-თ-ეულ-ი, ღვდლია-ან-თ-ეულ-ი, კონია-ან-თ-ეულ-ი, გელა-ან-თ-ეულ-ი, გოგო-ლა-ან-თ-ეულ-ი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (კერძოდ, ხევის) ტოპონიმიურ მასალაზე დაყრდნობით, -**ეულ**, ფორმანტის დართვისას ასხვავებენ კუთვნილების ორ სახეს: საკუთრების მემკვიდრეობით გადასვლას პირდაპირ და არაპირდაპირ შტოზე და ეს სხვაობა შემდეგნაირადაა ილუსტრირებული: „**ჯარანას** შთამომავლობა არ ჰყავდა და ჯარანას სახელის მატარებელი პატრონი არ შექმნილა. მემკვიდრეობა გადაეცა ძმისშვილ **სასებას**, ადგილის სახელწოდება უნდა ყოფილიყო არა **ჯარანთეულები** ან **ჯარანთეული**, არამედ **ჯარანასეულები** ან **ჯარანასეული**...“ (ითონიშვილი 1971, 96). მაშასადამე, მისი შვილის კუთვნილებას -**ნარ-თან**იან მრავლობითზე დართული -**ეულ**-ი გამოხატავდა, ხოლო ძმისშვილზე გადასულ საკუთრებას – მხოლოობითი რიცხვის ნათესაობითზე დართული -**ეულ** ფორმანტი.

კასპის რეგიონის ტოპონიმიურ მასალაში ამგვარი სხვაობა არ შეინიშნება.

#### **-ამ ბოლოსართი**

-**ამ** სუფიქსი არაერთი ქართული გეოგრაფიული სახელის მწარმოებელია (სურამი, თეძამი და სხვ.). ეს ელემენტი ამაჟამად ისე შეხორცება ფუძეებს, რომ მათი გამოყოფა ჭირს (ზურაბიშვილი 1961, 151). ასევე ძნელდება კასპის რეგიონის ტოპონიმთა დაშლაც: ოკ-**ამ**-ი, ბოჟ-**ამ**-ი, თემ-**ამ**-ი. აქედან პირველი ორი **კომონიმია**, მესამე – **ჰიდრონიმი**.

ეს სუფიქსი იმავე ოდენობისა უნდა იყოს, რაც -**ომ** და -**უმ** დაბოლოებები.

#### **ბ) თავსართით წარმოები სახელები**

კასპის რეგიონის ტოპონიმიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბოლოსართული წარმოების გეოგრაფიულ სახელებს. თავსართების გამოყენება კი, ნაკლებად გვხვდება. სახელთა ოდენთავსართული წარმოება გაცილებით იშვიათია. ზოგ რეგიონში (მაგ., აჭარაში) თავსართული წარმოების ადგილთა სახელები მინიმალურია. ქართულ გეოგრაფიულ სახელებს მხოლოდ წინა ვითარების **ნა-** და **სა-** პრეფიქსები აქვთ, თუმცა მათი საწარმოთქმო ძალა თითქმის ყველა რეგიონში საკმაოდ შეზღუდულია (იხ. მაგ., ზურაბიშვილი 1962, 14; ბედოშვილი 1980, 30; სიხარულიძე 1958, 36).

გამონაკლისს ამ მხრივ არც კასპის ტოპონიმია წარმოადგენს. შესწავლილ რეგიონში ამგვარი წარმოების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დასტურდება.

გეოგრაფიული სახელების ოდენთავსართული წარმოების სპეციფიკური ნიშანი ისაა, რომ **ნა-** და **სა-** თავსართები, როგორც წესი, მხოლოდ ვნებითი გვარის მიმღეობურ, აგრეთვე დანიშნულებისა და წინა ვითარების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებს წარმოქმნის. **ნა-** და **სა-** პრეფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები მეტწილად მიკროტოპონიმიაში გვხვდება.

### **ნა- თავსართი**

წინა ვითარების **ნა-** პრეფიქსი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ბოლოსართებთან ერთად აწარმოებს ტოპონიმებს. მასთან უმეტესად გვხვდება **-არ//ალ, -ურ//ულ, -ევ** ბოლოსართები.

სემანტიკური თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ **ნა-** თავსართით ნაწარმოები ტოპონიმები ე. წ. „სამეურნეო ტოპონიმის“ ძირითადი მასაზრდოვებელი წყაროა. ამიტომ ეს ნაწარმოებელი ტოპონიმებს უმეტესად მცენარეთა სახელებისაგან წარმოქმნის, ჩვეულებრივ, სუფიქსთან ერთად. ამიტომაცაა, რომ ისეთი სახელები, როგორიცაა **ქერი, პური, თივა, ღანძილი, ნიორი** და მისთ., დამოუკიდებელ ტოპონიმებად ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ივარაუდება. ტოპონიმობაჰციის უნარს ისინი შეიძენენ მხოლოდ აფიქსაციის დროს, ისიც არა ნებისმიერი სართებით წარმოებისას, არამედ, სწორედ აღნიშნული **ნა-** და **სა-** თავსართებით წარმოებისას (აფრიდონიძე, მაკალათია 1980, 282).

სხვაგვარი ვითარება გვაქვს ზმნური ფუძეებისაგან წარმოქმნილი მიმღეობური წარმოშობის სახელთა შემთხვევაში, რომლებიც ასევე მოქმედების ობიექტის წინავითარებას გვიჩვენებს: **ნა-ტეხ-ი, ნა-ჩეხ-ი...** აქ წინა ვითარების აღსანიშნავად მარტოოდენ **ნა-** პრეფიქსიც საკმარისი აღმოჩნდა.

საკვლევ რეგიონში **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებია: **ნა-ტეხ-ი** (ს. ქვემორენე), **ნა-ტეხ-ებ-ი** (სს. ქვემორენე, ხოვლე), **ნიკოს-ნა-ტეხ-ი** (ს. ბოჟამი), **შუილაანთ-ნა-ტეხ-ი** (ს. ლამისყანა), **ახალ-ნა-ტეხ-ი** (ს. გუდალეთი), **სოლომნისეული ნა-ტეხ-ი** (ს. ლამისყანა), **გიოსნა-ტეხ-ი** (ს. ლამისყანა).

**ნა-** ფორმანტი ნამყოფობას გვიჩვენებს და აღადგენს მოცემული სახელწოდებით აღნიშნული ადგილის წინაავითარებას (მდგომარეობას). ამიტომ ამ პრეფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი ისეთ ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ სახელწოდების წარმომავლობის შესახებ, რაც სხვა წყაროებიდან ყოველთვის მისაწვდომი შეიძლება არ იყოს.

### **სა- თავსართი**

**სა-** თავსართიანი მიკროტოპონიმები, **ნა-** თავსართიანების მსგავსად, ასევე, უპირატესად, სამეურნეო ხასიათის სახელებია. მათში სათანადოდაა ასახული საყოფაცხოვრებო-სამეურნეო რეალები, მოსახლეობის საქმიანობა და მისთ. მაგრამ **სა-** თავსართის საწარმოქმნო ფუნქცია ამჟამად საგრძნობლად შეზღუდულია და საანალიზო რეგიონში მხოლოდ ამ თავსართით ნაწარმოები ტოპონიმები თითო-ოროლაა: **სა-ყარ-ი** – საქონლის შესაყარი, შესაკრები, თავმოსაყრელი ადგილი (სს. აღაიანი, ახალქალაქი, გამდლისწყარო, გარიყულა, გრაკალი, ერთაწმინდა...), **სა-ცურ-ი** (სს. ერთაწმინდა, თელათგორი), **სა-ცურ-იგზა** – (ხე-ტყის მოსაცურებელი, დასაცურებელი ადგილი (ს. წინარები).

### **გ) თავსართ-ბოლოსართებით ნაწარმოები სახელები**

როგორც წინა ქვეთავში იყო ნაჩვენები, ოდენთავსართული წარმოება უკიდურესად არაპროდუქტიული აღმოჩნდა ტოპონიმიზაციის თვალსაზრისით, გეოგრაფიულ სახელთა წარმოქმნის მთელი სიმძიმე ბოლოსართზეა გადატანილი, უფრო ზუსტად, თავსართებისა და ბოლოსართების კომბინაციაზე.

**ნა-** და **სა-** პრეფიქსები ზოგ შემთხვევაში ერთსა და იმავე სუფიქსს შეესაბამება, ზოგჯერ კი – სხვადასხვას. ამასთან, საერთო სუფიქსთან შეხამებისას თითოეული თავსართი შეიძლება სხვადასხვა კომბინატორული უნარით ხასიათდებოდეს.

### **ნა- -არ**

კასპის რეგიონში **ნა-** თავსართით და **-არ// -ალ** ბოლოსართით ნაწარმოები მრავალი სახელი გვხვდება. მაგ., **ნა-ბოსლ-არ-ი**, **ღვთი-შობლის-ნა-ქოშ-არ-ი**, **ნა-ბაგ-არ-ი**, **ნა-ბაკ-არ-ი**, **ნა-ბალ-არ-ი**, **ნა-დუქნ-არ-ი**, **ნა-ვენახ-არ-ი**, **ნა-იონჯ-არ-ი**, **ნა-ნესტ-არ-ი** (ყოფილი ნესტიანი, ტენიანი ადგილი), **ნა-კარტოფილ-არ-ი...**

დისიმილირებული ვარიანტია **ნა-ბორნ-ალ-ი**.

ეს სართები შეიძლება გართულდეს მატოპონიმებელი -ა სუ-ფიქსით: **ნა-ხაფანგ-არ-ა, ნა-ცხვარ-ალ-ა, ნა-ომ-არ-ა...**

ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით, **ნა- -არ, ნა- -ალ** აფიქსით წარმოქმნილი სახელები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

1) ტოპონიმით მინიშნებულია ადგილი, სადაც ადრე მოჰყავდათ ტოპონიმის ფუძით აღნიშნული კულტურა: **ნა-კარტოფილ-არ-ი, ნა-ვენახ-არ-ი, ნა-ბაკვ-არ-ი...**

2) ტოპონიმით მითითებულია ადგილი, სადაც ადრე ტოპონიმის ფუძით აღნიშნული საყოფაცხოვრებო თუ სხვა დანიშნულების ობიექტი იყო: **ნა-დუენ-არ-ი, ნა-ბოსლ-არ-ი, ნა-კომკ-არ-ი, ნა-წის-ქვილ-არ-ი, ნა-ბორნ-ალ-ი...**

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ნა- -არ, ნა- -ევ** წინა ვითარებას მხოლოდ **ნა-** გამოხატავს, ბოლოსართები კი, ერთი ფუნქციისანია და შეიძლება მონაცვლეობდეს (გაბეჩავა 1971, 39).

### **ნა- -ევ**

**ნა- -ევ** სართები ტოპონიმებს ძირითადად არსებით სახელთაგან აწარმოებენ: **ნა-ქალაქ-ევ-ი, ნა-ზვრ-ევ-ი, ნა-მარნ-ევ-ი, ნა-დარ-ბაზ-ევ-ისწყალი, ნა-მცხვრ-ევ-ი** (ნამცხვრევი – ადგილი, სადაც წინათ ცხვარი იდგა (კაიშაური 1967, 34) .<sup>31</sup>

თუმცა, წინავითარების სახელთა დიდი უმრავლესობა **-ევ** ბოლოსართითაა ნაწარმოები, ზოგჯერ ხდება ბოლოსართა მონაცვლეობა და **-ევ-ის** ნაცვლად **-ებ** ბოლოსართი იჩენს თავს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ბოლოსართები ფუნქციურად სიმრავლეს აღნიშნავს **ნა-** თავსართთან ერთად.

საანალიზო რეგიონის ტოპონიმიაში ხშირია **-ევ** ბოლოსართის **-ებ-**ით შენაცვლება და ამგვარად ნაწარმოებ სახელებს თითქოს მართლაც დაჰკრავს სიმრავლის ელფერი. მაგ., **ნა-ლუდუშაურ-ებ-ი, ნა-**

---

<sup>31</sup> ადგილობრივი ხალხური ეტიმოლოგია ამ ტოპონიმს ნამცხვარს უკავშირებს (ნამცხვარივით მიწაა).

დარბაზ-ებ-ი, ნა-ვენახ-ებ-ი, ნა-ზვრ-ებ-ი, ნა-სახლ-ებ-ი, ნა-ტეხ-ებ-ი, ნა-ქალაქ-ებ-ი.

ჩვეულებრივ, ნა- დაერთვის საზოგადო სახელს, მაგრამ არა ყოველგვარს და არა ყოველთვის, სახელდობრ, აპელატივი უპირატესად სოციალურ-პოლიტიკური ან სამეურნეო დანიშნულების ობიექტს აღნიშნავს, უფრო ზუსტად, იმ ობიექტს, რომლებიც აღბეჭდილია ადამიანის მოღვაწეობის (ან ნამოღვაწარის) მიზნით. მაგ., ნა-ფარეხ-ლებ-ი, ნა-დუდუშაურ-ებ-ი, ნა-ბინა-ვ-რ-ებ-ი...

ზოგი მაწარმოებელი კიდევ მოითხოვს ახალი სუფიქსის და-რთვას და ვიღებთ სამ და ოთხ სართს ერთი ტოპონიმის წარმოსაქმნელად. მაგალითად:

ნა-ევ-არ- ნა-კალ-ვ-არ-ი (<- ნა-კალო-ევ-არ-ი), ნა-ფუზ-ვ-არ-ი (<- ნა-ფუზ-ევ-არ-ი), ნა-ტყე-ვ-არ-ი (<- ნა-ტყე-ევ-არ-ი), ნა-გზ-ევ-არ-ი (<- ნა-გზა-ევ-არ-ი)...

ნა-ევ-ებ- ნა-ზვრ-ევ-ებ-ი, ნა-ტყე-ვ-ებ-ი...

ნა- არ-ებ-/ნა- ალ-ებ- ნა-ფუზ-რ-ებ-ი, ნა-სოფლ-არ-ებ-ი, ნა-ბამბ-რ-ებ-ი, ნა-ბაღ-რ-ებ-ი, ნა-ბოსლ-არ-ებ-ი, ნა-გუბ-რ-ებ-ი, ნა-მუხ-რ-ებ-ი, ნა-თეთრ-ალ-ებ-ი, ნა-ბოგირ-ალ-ებ-ი, ნა-თათრ-ალ-ებ-ი...

ნა-ევ-არ-ებ- ნა-ბინა-ვ-რ-ებ-ი, ნა-ბაკ-ვ-რ-ებ-ი, ნა-ფუძ-ვ-რ-ებ-ი...

ნა- არ-ევ-ებ-ი; ნა-ბამბ-რ-ევ-ებ-ი.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ბოლოსართის დართვისას, გარდა ბოლო სართებისა, ყველა ან ნაწილი მაინც იკუმშება – ხმოვანს კარგავს. მაგ., ნა-ფუზ-(ე)ვ-არ-ი, ნა-ბამბ-(ა)რ-ებ-ი, ნა-ბაკ-(ე)ვ-(ა)რ-ებ-ი... გამონაკლისია ნარნარა ბგერები, რომელთა შორის სართში ხმოვანი არ იკუმშება: ნა-სოფლ-არ-ებ-ი, ნა-თეთრ-ალ-ებ-ი, ნა-ბოგირ-ალ-ებ-ი... მაგრამ ფუძის ბოლოკიდური ა და ბოლოსართის და-მწყები იდენტური ხმოვანი ორივე იკუმშება: ნა-მუხ(ა)-(ა)რ-ებ-ი.

სა- -ე თავსართ-ბოლოსართი

თავსართ-ბოლოსართი სა- -ე საკმაოდ პროდუქტიული მაწარმოებელია. მისგან მიიღება შემდეგი სახის ტოპონიმები: ხელოვნურ ნაგებობათა სახელები, სამეურნეო ტოპონიმია, ბუნებრივი წიაღისეულისა თუ საწარმოო ადგილის აღმნიშვნელი სახელები. მაგ., სა-ქათმ-ე, სა-კუპრ-ე, სა-კრამიტ-ე, სა-კეც-ე, სა-ნახშირ-ე...

სა- ე აწარმოებს აგრეთვე დანიშნულების სახელებს: სა-დროშ-ე-ქედი, სა-ნალო-ე.

სა- ე აფიქსებით ნაწარმოებმა ტოპონიმებმა შეიძლება დაირ-თონ დამატებითი მატოპონიმებელი აფიქსები- სა-ლორ-ე-ებ-ი, სა-თიხ-ე-ებ-ი, სა-ყავრ-ე-ებ-ი, სა-კირკიტ-ე-ებ-ისტყე, სა-კარტოფილ-ე-ებ-ი, სა-გაჯ-ე-ებ-ი, სა-კურდღლ-ე-ებ-ი, სა-მძივ-ე-ებ-ი... და მისთ. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ეს აფიქსები დანიშნულების სახე-ლებს აწარმოებს.

არნ. ჩიქობავას აზრით, სა- ეთ წარმოება ადგილის სახელებში არ უნდა იყოს არც ახალი, და არც შემთხვევითი – სხვა ტიპების აღ-რევით (კონტამინაციით) მიღებული, და მას ძველ წარმოებად მიიჩ-ნევს, ხოლო -ეთ სუფიქსს – მისი გამარტივებით მიღებულად: სა- თავ-სართმა დაკარგა ფუნქცია და ჩამოშორდა ამ ტიპის სახელებსო. „ნიე-თის კატეგორია მოიშალა, სათანადო ფორმანტიც (სა-) წაიშალა, რო-გორც უფუნქციო და აქა-იქ შემოგვრჩა ადგილის საკუთარ სახელებ-ში, ამ სახელთა დეეტიმოლოგიზაციის შედეგად“ (ჩიქობავა 1974, 74). კასპის რეგიონის მასალებში ამგვარი წარმოების ერთადერთი ტოპო-ნიმი დასტურდება – ეს არის კომონიმი სა-სირ-ეთ-ი (სოფელი, შედის ყარაღაჯის მუნიციპალიტეტში).

#### სა- ო თავსართ-ბოლოსართი

საზოგადო სახელებში ეს თავსართ-ბოლოსართი უფრო პრო-დუქტიულია, ვიდრე სა- ე. სა- ო სართები სა- ე-ს მსგავსად, ხშირად აწარმოებს აპელატივებს. ორივე ეს აფიქსი მნიშვნელობით იდენტუ-რია, ოღონდ განსხვავება მათ შორის ისაა, რომ სა- ო სართს მეტი სა-სიცოცხლო ძალა აქვს.

ამ ორ მაწარმოებელს შორის გ. ახვლედიანი გარკვეულ განსხვა-ვებას ხედავს: „ერთიცა და მეორეც წარმოშობით ზედსართავის ფორ-მებია, მაგრამ ერთს, მათგან („სა-ე“) სუბსტანტივობის ფუნქცია დაუ-ჩემებია, ხოლო მეორეს („სა-ო“) – ადიექტობისა“ (ახვლედიანი 1923, 57).

ამგვარი განსხვავება ჩვენს ხელთ არსებული ტოპონიმიკური მასალის მიხედვითაც დასტურდება. სა- ე ფორმანტით ნაწარმოები სახელი ყოველთვის დამოუკიდებლად გვხვდება, სა- ე კი, ხან არსე-ბითი სახელის მაწარმოებლად გვევლინება (სა-გომურ-ო, სა-ნახშირ-

ო...), ხან კი – ზედსართავისად (სა-ყარაულ-ო-გორა, სა-ფონდ-ო-ვენახები...).

ქართულ ტოპონიმიკურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ სა-ო აფიქსები ტოპონიმებში დანიშნულებას გამოხატავს და თავისუფლად აწარმოებს მაკროტოპონიმებს – მხარეებს, ქვეყნებს, აგრეთვე ოიკონიმებს. „სა-ო აფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები კი, მხარეკუთხეების აღმნიშვნელი, უპირატესად ეთნონიმური და ანთროპონიმული წარმოშობის სახელებია: საქართველო, სამეგრელო... საგარეჯო (ბედომვილი 1980, 32-33). ჩვენს საკვლევ რეგიონში ამგვარი წარმოების სამი კომონიმი გვხვდება: სა-თუხარლ-ო, სა-კორინთლ-ო, სა-ქადაგიან-ო; მაგრამ ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათია.

ძირითადად კი სა-ო მიკროტოპონიმებს აწარმოებს. ამ ტოპონიმების სემანტიკური დაჯგუფება შემდეგნაირად შეიძლება:

ა) ადამიანის ადრინდელი სამყოფელის აღმნიშვნელი: სა-მოლოზნ-ო, სა-ჯავახ-ო... ან საკუთრების მიმანიშნებელი: სა-ოთარ-ო, სა-ქარსიძ-ო, სა-მუხრან-ო, სა-ოდის-ო, სა-ამილახვრ-ო, სა-ზალიან-ო, სა-ლამისყან-ო, სა-წინარეხ-ო, სა-სამთავის-ო... ამ უკანასკნელებში გამოყენებულია სახელი, გვარი ან ოიკონიმი.

ბ) ნიშან-თვისებისა: სა-მანქან-ო, სა-მარხილ-ო-გზა, და მიმართულების აღმნიშვნელი: სა-მთ-ო-გზა, სა-თეზ-ო-გზა, სა-მთი-ულ-ო-გზა...

გ) დანიშნულების საზოგადო სახელები: სა-ნახშირ-ო, სა-ბანა-ო, სა-ბანაკ-ო, სა-ბაჟ-ო, სა-გომურ-ო, სა-იჯარ-ო, საკურდღლა-ო, სა-ლხინ-ო, სა-ყარაულ-ო-გორა, სა-ჯილდა-ო-ქვა...

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურებაც. ტოპონიმთა წარმოებისას ზოგ შემთხვევაში სა-ო აფიქსი იხმარება სა-ე-ს მაგივრად. მაგ., სა-ტივ-ო//სა-ტი-ო, სა-მტრედ-ო, სა-გომურ-ო, სა-ნახშირ-ო-ებ-ი... მაშინ, როცა ამავე აპელატივთა ფუძეებს სა-ე მაწარმოებელი ეხამება: სა-ტივ-ე, სა-მტრედ-ე და მისთ. თუმცა ჩვენს საკვლევ რეგიონში ანალოგიურ შემთხვევებში ჭარბობს სა-ე წარმოება: სა-ჩიტ-ე, სა-ქათმ-ე, სა-ფუტკრ-ე, სა-ნერგ-ე, სა-ნახშირ-ე-ს-ხევი, სა-ღორ-ე-ები, სა-ყავრ-ე-ები.



შესაძლებელია, **სა-ო** თავსართ-ბოლოსართი ცდილობს **სა-ე** სართებით ნაწარმოები საზოგადო სახელები განასხვავოს გეოგრაფიულ სახელთაგან (თბილისშიც არის ადგილი რიყეზე, რომელსაც **სა-ტი-ო** ეწოდება და არა მოსალოდნელი **სა-ტი-ე-ე**), სახელდობრ, სატი-ვე, საყავრე, სანახშირე – აღნიშნავს მასალას, ხოლო სატი(ვ)ო, სამტრედო, სანახშიროები – მხოლოდ ტერიტორიას, ადგილს, ობიექტს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ **სა-ო** აფიქსები პირთა სახელებთან, გვარებთან ან ოიკონიმებთან შეხამებაში ყოველთვის წინა ვითარების ამსახველია: **სა-ოთარ-ო**, **სა-მუხრან-ო**, **სა-ამილახვრ-ო**, **სა-ომის-ო** – ყველა შემთხვევაში ობიექტები ადრინდელ მფლობელთა, მეპატრონეთა სახელს ატარებს და ამ თვალსაზრისით **სა-ო** სართები თითქოს **ნა-არ**, **ნა-ეე**//**-ურ** თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოებ სახელებს უთანაბრდება.

### 3. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები

სხვადასხვა აგებულების ტოპონიმთა შორის გამოიყოფა რთული შემადგენლობის ტოპონიმები, რომლებიც, ჩვეულებრივ, წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულისაგან შედგენილ სინტაგმებს. მრავალი ქვეყნის ტოპონიმიაში რთულ გეოგრაფიულ სახელებს რაოდენობის მხრივ გაბატონებული ადგილი უკავია (იაცენკო 1964, 78; კონკოშპაევი 1963, 75). გამონაკლისს არც საქართველოს და, კერძოდ, მისი ერთ-ერთი რეგიონის, კასპის, ტოპონიმია ქმნის. ორი (ან მეტი) ლექსემისაგან შედგენილი ტოპონიმები აშკარად სჭარბობს მარტივ და ნაწარმოებ ტოპონიმებს ერთად აღებულს.

რთული შედგენილობის გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოქმნა გამოწვეულია რეალური აუცილებლობით – განასხვავოს, დააზუსტოს, ერთგვარი ობიექტების რიგიდან გამოჰყოს ერთი ან მეორე. ეს დიფერენციაცია ხდება მსაზღვრელის დამატების საშუალებით.

მსაზღვრელ-საზღვრულისაგან შედგენილ ტოპონიმში მსაზღვრელად გამოყენებულია რომელიმე სახელი – როგორც არსებითი და ზედსართავი, ისე ზედსართავის ფუნქციით აღჭურვილი ზმნისართები, რიცხვითი სახელები... მეორე კომპონენტს კი, ძირითადად ტოპონიმი ან აპელატივი წარმოადგენს. შედგენილი ტოპონიმების

კომპონენტურ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თეორიული (სტრუქტურული და ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისათვის), ისე პრაქტიკული თვალსაზრისით (კერძოდ, მართლწერისათვის – კომპონენტთა ცალკე თუ ერთად წერის წესების გამოსამუშავებლად, იხ. I. 3. ვ).

### **მსაზღვრელ-საზღვრულის სემანტიკა**

გეოგრაფიულ სახელწოდებათა ზოგადი ტიპები უნივერსალურია (სუპერანსკაია 1968, 43) და ეს უნივერსალობა გარკვეულწილად რთული შედგენილობის ტოპონიმებსაც ახასიათებთ. უნივერსალურია, კერძოდ, მსაზღვრელთა ტიპები და საზღვრულთა სემანტიკური ჯგუფები.<sup>32</sup>

სხვაობას ამა თუ იმ ტიპისა და მოდელის სიხშირე-პროდუქტიულობა ქმნის, აგრეთვე, კომპონენტთა სინტაქსური შეკავშირების წესები და ხასიათი.

მსაზღვრელები არის ატრიბუტული და მართული, ხოლო საზღვრული იყოფა საზოგადო და საკუთარ სახელებად.

ტოპონიმები შეესაბამება ობიექტის ხასიათს, იმ ობიექტისას, რომელსაც ისინი აღნიშნავენ. ტოპონიმები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

ა) ბუნებრივი წარმოშობის სახელწოდებები და

ბ) ადამიანის მიერ შედგენილი ობიექტების სახელწოდებები.

პირველის მაგალითები: დიდთელა, წინფერდა, რგვალჭალა... ხოლო მეორისა: თეთრი კოშკი, დაქცეულსაყდარი, ზეითუბანი.

ვინაიდან განხილვის საგანია საზღვრულთა სემანტიკა, ამჯერად ყურადღება არ ექცევა ტოპონიმთა ფორმას – კომპოზიტებიც და შესიტყვებებიც ერთად განიხილება.

რთული, შედგენილი ტოპონიმები მსგავს ობიექტთაგან მოცემული ობიექტის დამატებითი დიფერენცირების აუცილებლობამ

---

<sup>32</sup> იხ. ვ. მაღრაძე, „მსაზღვრელი კომპონენტები რთული შედგენილობის ტოპონიმებში“, „მაცნე“ (ელს), N4, 1984, გვ. 102-104, თბ.

წარმოქმნა. როგორც წესი, ასეთი ტოპონიმები შედგება ორი სიტყვი-საგან, სადაც პირველი კომპონენტი უმეტესად ზედსართავი ან მართული არსებითი სახელია.

შედგენილ ტოპონიმებში პირველი კომპონენტი განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს და იგი, ჩვეულებრივ, უჩვენებს ერთი რომელიმე ნიშნის სიჭარბე-უპირატესობას.

შედგენილი ტოპონიმები შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად:

1. გეოგრაფიული სახელწოდებანი მსაზღვრელებით, რომელთა პირველი კომპონენტი ზედსართავი სახელია და ობიექტის განსაზღვრულ ნიშანს გახაზავს: **რგვალი** ჭალა, **მლაშეწყალი**, **დამპალი** წყარო...

2. ბინარული ოპოზიციის განმსაზღვრელია: **ქვემოხანდაკი**, **ზემოხანდაკი**, **დიდი** მთა, **პატარამთა**...

3. რიცხვითი სახელია: **მეორესაქადაგიანო**, **მეოთხეთარგი**...

4. კუთვნილებითი მნიშვნელობის გამომხატველია: **ებრალიძეებისქედი**, **საკაკიძისკოშკები**, **ამილახვრიანთმიწები**...

#### ა) ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები

შედგენილი ტოპონიმები წარმოადგენს სიტყვათშეხამებას, რომლის პირველი კომპონენტი შეიძლება იყოს ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, მიმღეობა, ზმნისწინი, მეორე კი – არსებითი სახელი – გეოგრაფიული ტერმინი ან ფუნქციურად მასთან ახლოს მდგომი სახელი. გეოგრაფიული ტერმინი, რომელიც იზოლირებული სახით ფუნქციონირებს მხოლოდ როგორც აპელატივი, იქცევა საკუთარ სახელად – ტოპონიმად. შდრ. მაგ., **წყალი** და **ორწყალი** (ფშავი), **წყარო** და **თეთრი წყარო** (ქვემოქართლი) და მისთ.

მსაზღვრელთა შორის სიხშირით გამოირჩევა ზედსართავი სახელი. მაგ., **მლაშეწყალი**, **წითელი გორა**, **შავი ტყე**, **გრძელი მიწები**, **მოკლეველი**, **რგვალი მიწები**, **ძველი სასაფლაო**, **პატარამთა**, **წითელი საყდარი**, **თაფლიანი კლდე**.

ზედსართავის შემდეგ პროდუქტიულობით გამოირჩევა მიმღეობა. მაგ., **დამწვარი ველი**, **დამპალწყალი**, **დახვრეტილი** კლდეები,

**დამშრალი ხევი, გალაჯული მიწები, გაშლილი დეღე, გაჭრილი გორა, დანგრეული საყდარი, მოსაცური ქედი, დაჭრილი ნაკვეთი, სარწყავი რუ...**

ასევე ხშირია ატრიბუტულ მსაზღვრელად გაზედსართავებულის ზმნისართი. მაგ., **მალაქედი, უკანჭალა, იქითუბანი, გაღმაბადი, დაბლაურწყავები...**

შედარებით იშვიათია მსაზღვრელად რიცხვითი სახელები. მაგ., **ორხევი, სამთელა, ორთელები, პირველი** საქადაგანო, **პირველი** აუზი, **ორი** პანტა, **მესამეთრგი, მეოთხეთარგი...**

კიდევ უფრო ნაკლებია მსაზღვრელად საზოგადო არსებითი სახელი. მაგ., **ვაკეგზა, ვაკემიწა...**

ატრიბუტულ მსაზღვრელებად გამოიყენება როგორც ვითარებითი, ისე მიმართებითი ზედსართავი სახელები.

ვითარებითი ზედსართავებით გამოხატული მსაზღვრელი უმეტესწილად ბუნებრივი ობიექტების აღნიშვნელ საზღვრულებს შესაბამება (მაგ., **შავწყალა, თეთრი წყარო, თეთრი კლდეები...**), ხოლო მიმართებითი ზედსართავები შესიტყვებაში უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ აპელატივებს (მაგ., **თვალეზიანი კლდე, თაფლიანი კლდე, გოგირდოვანი წყალი.**

ვითარებითი ზედსართავი სემანტიკურად რამდენიმე ქვეჯგუფად იყოფა: ზომისა და ფორმის, ფერის, თვისების, სემანტიკური მიმართების მიხედვით.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტოპონიმთა წარმოქმნაში ფერების აღმნიშვნელ ზედსართავებს. სხვადასხვა მხარის ტოპონიმში ყველაზე გავრცელებულად ითვლება **თეთრი, შავი და წითელი** ფერის აღმნიშვნელი ზედსართავები. შეიძლება ითქვას, რომ სიხშირის მხრივ ეს ფერები უნივერსალურია ტოპონიმოკურ, ფოლკლორულ და ფრაზეოლოგიურ მასალაში.

ობიექტის სახელწოდება მიუთითებს თანამედროვე ან იმ ეპოქის თავისებურებებზე – ნიადაგის ფერზე – როცა იქმნებოდა ეს სახელწოდება.

საკვლევ რეგიონის ტოპონიმიაში მსაზღვრელ კომპონენტად შედარებით ხშირად გვხვდება **შავი** და **თეთრი**.<sup>33</sup> **შავწყალა**, **შავტყე**, **შავი წყარო**, **შავი ტყე**; **თეთრი წყარო**, **თეთრაწყარო**, **თეთრი გორა**, **თეთრი გზა**, **თეთრი მიწები**. ეს ზედსართავები ყოველგვარი გართულების გარეშე იხმარება ბუნებრივი ობიექტების აღმნიშვნელ აპლათივებთან (წყალი, წყარო, ტყე, გზა...). შედარებით იშვიათია და შემთხვევითი ხასიათი აქვთ მათ (ზედსართავებს) ხელოვნური ობიექტების აღმნიშვნელ საზღვრულებთან (მაგ., **თეთრი კომპები**...).

უფრო იშვიათია სხვა ფერების გამომხატველი ზედსართავები: **წითელი** ჭალები, **წითელტყემლები**; **ყვითელი** მიწები, **ყვითელი** საყდარი; **მწვანე**ქედი...

მაგრამ, როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ფერთა აღმნიშვნელი ზედსართავები ყოველთვის არ არიან დაკავშირებული წმინდა ფიზიკურ ფერებთან.<sup>34</sup> კერძოდ, შენიშნულია ქვეყნის მხარეთა სათანადო სიმბოლური ფერების გამოხატვის გარკვეული ტრადიცია (სუპერანსკაია 1968, 51, აფრიდონიძე 1977, 86): იქმნება ახალი ოპოზიცია: **წითელი** სამხრეთის სიმბოლური გამომხატველის, **თეთრი** – ჩრდილოეთისა.

საკვლევ რეგიონის მასალაში ფერთა სიმბოლური ასახვის ამგვარი შემთხვევები ძნელი გამოსაყოფია. შესაბამისობა აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის უფრო „სწორხაზოვანია“. კერძოდ, ისეთი სახელწოდებები, როგორცაა **წითელი თიხნარი**, **თეთრი წყარო** და სხვ. მიანიშნებენ შესაბამისად ნიადაგის, წყლის სათანადო თვისებებზე.

გეოგრაფიული ობიექტის ზომისა და ფორმის მიხედვით აღწერითი ხასიათი აქვს აგრეთვე შემდეგ ტოპონიმებს: გრძელვლები, მოკლეველი, დიდი ზვარი, რგვალი მიწები... – ხოლო ვარცლამიწა,

---

<sup>33</sup> ა. სუპერანსკაიას თქმით, „თუ გავითვალისწინებთ მდინარეების, მთებისა და ქედების სახელწოდებებს, შეიძლება განსაკუთრებით ხშირად შეგვხვდეს ყველაზე გავრცელებული ზედსართავები **შავი** და **თეთრი**“ (ა. სუპერანსკაია 1968, 39-40).

<sup>34</sup> ვ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმის მიმოხილვისას ასკვნის, რომ ხევის სოფლების მიკროტოპონიმიაში წითელი ფერი სწორედ ნიადაგის შეფერილობის მიხედვითაა ასახული ტოპონიმებში (ვ. ითონიშვილი 1971, 63).

ნამგალახევი, უნაგირამთა... მსგავსების საფუძველზე მეტაფორული გააზრების შედეგია.

ამა თუ იმ ტოპონიმიკურ სისტემასა თუ მის ქვესისტემაში ხშირად პოულობს გამოხატულებას ადგილმდებარეობის რელიეფის განსაზღვრა. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები დიდ როლს ასრულებს ობიექტის გეოგრაფიულ ტერმინ-სახელწოდებათა არჩევაში (ბონდარუკი, 1966, 167).

ზომის აღმნიშვნელ ზედსართავებში ჭარბობს **დიდი** და **გრძელი**. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ზედსართავი **დიდი** მეტ-ნაკლებად „ინდეფერენტულია“ საზღვრულის სემანტიკისადმი ზედსართავ **გრძელ**-ის შეხამებითი უნარი ენაში, ამ მხრივ, საგრძნობლად შეზღუდულია. იგი არ იხმარება ჰიდრონიმებში, ე. ი. არ შეეხამება ისეთ ობიექტთა აღმნიშვნელ სახელებს, რომელთათვისაც სიგრძე თავისთავად ნაგულისხმევი თვისებაა, რისი აღვნიშნაც ამიტომ ზედმეტი ხდება. მაგ., არა გვაქვს არც ერთი ასეთი შემთხვევა: #გრძელღელე, #გრძელი წყალი, #გრძელი რუ..., მაგრამ არის გრძელი ველი...

ასევე მსაზღვრელები ძველი და ახალი არ შეიძლება შეგვხვდეს ბუნებრივი ობიექტების აღმნიშვნელ აპელატივებთან **გორა**, **მთა**, **ქედი**..., მაშინ როცა ხელოვნური ობიექტების აღმნიშვნელ სახელებთან ისინი ბუნებრივია. კასპის რეგიონში ამგვარი შეხამების მაგალითებია: **ახალი** ბაღები, **ახალი** სასაფლაო, **ახალი** უბანი, **ახალი** დასახლება: **ძველი** ბაღი, **ძველი** სასაფლაო, **ძველი** აბანო, **ძველი** ვენახები...

ობიექტის სხვადასხვა თვისებაზე მიანიშნებს მსაზღვრელებიანი ტოპონიმებიც. მაგ., **წმინდაწყარო**, **მდორეწყალი**, **რბილმინდორი**, **ქაჩალი** გორა, **ღრმახევი**, **ხმელი** ფერდა, **ზედოვლათი** მიწები, **მლაშეწყარო**. მათ ანტონიმები ამავე რეგიონის მასალაში არ უჩანთ.

როგორც უკვე ითქვა, ზედსართავი სახელების შემდეგ პროდუქტიულობით გამოირჩევა მიმღეობები. მაგ., **გალაჯული** მიწები, **მოკაკული** რუ, **გაჭრილი** გორა, **გაშლილი** ღელე, **დანგრეული** საყდარი, **დახვრეტილი** კლდეები...

ხშირია სივრცობრივი მიმართების აღსანიშნავად ზედსართავის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართებით ტოპონიმების შედგენა: **ზეითუბანი**, **ქვეითუბანი**, **იქითუბანი**, **წინფერდა**, **უკანჭალა**, **დაბლაურწყავები**, **მაღლაურწყავები**, **გაღმაუბანი**, **გამოდმაუბანი**...

გეოგრაფიული ტერმინებისა და **დიდი, ახალი, ქვედა** და მისთ. ზედსართავების (ან ზედსართავის ფუნქციით აღჭურვილი ზმნისართების) შეხამება ყველაზე გავრცელებული კომბინაციაა რთული შედგენილობის ტოპონიმებში.

ტოპონიმთა შექმნაში დიდი როლი უთამაშია მნიშვნელობით დაპირისპირებულ წყვილებს, როგორცაა, კერძოდ: **დიდი და პატარა, ახალი და ძველი, გრძელი და მოკლე, ზემო და ქვემო..**

ამასთანავე განსაზღვრება მოგვეპოვება ბინარული ოპოზიციების დროს, როგორცაა მაგ., **ზემორენე – ქვემორენე, ზემოჩოჩეთი – ქვემოჩოჩეთი, ზემოხანდაკი – ქვემოხანდაკი** – ამ ტოპონიმებში მსაზღვრელები შეხმებულთა ოპოზიციებთან; ხოლო ტოპონიმებში: **ზემოუბანი – ქვემოუბანი, ზედაბილიკი – ქვედაბილიკი, ზედარუ – ქვედარუ, დიდითა – პატარათა** – მსაზღვრელები შეხამებულია აპელატივებთან ანუ საზოგადო სახელებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ კომონიმთა (სოფლების სახელწოდებათა) გამიჯვნის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ხერხს სწორედ ამგვარი მსაზღვრელების დართვა წარმოადგენს, რამდენადაც მსაზღვრელი, როგორც პირველი კომპონენტი, აღწერით და იმავდროულად შემზღუდველ ფუნქციებს ასრულებს. ატრიბუტული მსაზღვრელის საშუალებით ნაწარმოები 12 კომონიმიდან ხუთში გარკვეული თვისებაა მითითებული (მაგ., ახალქალაქი, რგვალი ჭალა...), ხოლო დანარჩენ შვიდში – სივრცის მიმართებაა მინიშნებული (ზემოჩოჩეთი, ქვემოხანდაკი...).

მაგრამ ჩამოთვლილ მსაზღვრელთა განაწილება თანაბრად როდი ხდება, ყველას არ მოეპოვება შესაბამისი ანტონიმი იმავე საზღვრულთან.

**ზედა – ქვედა, ზემო – ქვემო, ზევით – ქვევით, მაღლა – დაბლა** ანტონიმურ წყვილებში უფრო აქტიურია **ზევით, ზედა, ზემო, მაღლა**. ზედსართავები **დიდი** და **გრძელი** ბევრად სჭარბობს ანტონიმურ ცალეებს – **პატარა, მოკლე**, რომლებიც რაოდენობრივად საგრძნობლად შეზღუდულია და ვერ შეეთანადება თავიანთ ანტონიმურ მეწყვილებს.

საკვლევ რეგიონში ანტონიმური წყვილები შემდეგნაირად ნაწილდება: **დიდი** ყველაზე მეტად გავრცელებულ მსაზღვრელს წარმოადგენს. იგი გვხვდება 101-ჯერ, ხოლო მისი ანტონიმი **პატარა** – 38-ჯერ, **ახალი** – 59-ჯერ, ხოლო **ძველი** – 18-ჯერ და ა. შ.

### ანტონიმური წყვილები

N	მსაზღვრელი	რაოდ.	მსაზღვრელი	რაოდ.
1	დიდი-ი	101	პატარა	38
2	ახალი-ი	59	ძველი-ი	18
3	ზემო	30	ქვემო	28
4	ზედა	24	ქვედა	5
5	შავ-ი	24	თეთრი-ი	21
6	ქვეით	22	ზეით	10
7	გრძელი-ი	14	მოკლე	2
8	გაღმა	11	გამოდმა	6
9	მაღალი-ი//მაღლა	7	დაბალი-ი//დაბლა	5
10	წინ	6	უკან	3
11	იქით	2	აქეთ	1

ანტონიმურ მსაზღვრელთა ამ არათანაბარი შეფარდებების თვალსაჩინოებისათვის ცხრილის სახით წარმოვადგინეთ (როგორც შევეულ, ისე თარაზულ რიგში მსაზღვრელები დალაგებულია კლება-დი სიხშირის მიხედვით).

როგორც აღინიშნა, მსაზღვრელები გვხვდება საზღვრულ აპელატივებთანაც და ტოპონიმებთანაც. **ქვემოჭალა, რგვალი ჭალა** – ოიკონიმებია და მათ მსაზღვრელებს სათანადო ანტონიმები არ მოეპოვებათ. პირველ შემთხვევაში (ქვემოჭალა) აპრიორულად მოსალოდნელი იყო ზემო ჭალის ან მხოლოდ საზღვრულის – **ჭალის** არსებობა, **მრგვალი** – ზედსართავის შედგენილ ტოპონიმიკურ ერთეულებში კი (**რგვალი** ჭალა, **მრგვალი** ტყე და **მრგვალი** გორა) ანალოგიური ოპოზიცია, არც ივარაუდება.



ტოპონიმებში – დიდი ყანები, დიდი ხევი, დიდი ორღობე, დიდთელა, დიდველა, დიდჭაობი, დიდფერდა; ახალი ნატეხები, ახალუბანი; ბოლოუბანი... ერთსა და იმავე საზღვრულთან შეხამებული საპირისპირო მსაზღვრელები არა გვაქვს, მაგრამ უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ ანტონიმების მაგივრობას ნულოვანსა-ზღვრულიანი დამოუკიდებელი ტოპონიმები ეწევა: ყანები, ხევი, ფერდა, ნატეხები... ამიტომ დაპირისპირება მაინც ხდება და ანტონიმური წყვილები მაინც მიიღება. შდრ.: დიდჭაობი – ჭაობი, დიდხევი – ხევი, ახალი სასაფლაო – სასაფლაო, ახალი ბაღები – ბაღები...

ცალკე აღნიშვნის ღირსია ზედსართავი გრძელი, რომელსაც მსაზღვრელად გამოყენებისას თითქმის ყოველთვის ანტონიმური მეწყვილე აკლია (გვაქვს გრძელი მიწები, გრძელვაკე, გრძელებისბოლო, გრძელველები, გრძელველებისტყე... ანტონიმურმსაზღვრელიან ტოპონიმებთაგან კი გვხვდება მხოლოდ მოკლეველი და მოკლეველისტყე).

მიმართებითი ზედსართავები ვითარებითთან შედარებით ნაკლები პროდუქტიულობით გამოირჩევა. ამ ჯგუფის მსაზღვრელთა აბსოლუტური უმრავლესობა მქონებლობის სართებით -იან (იშვიათად, -ოვან) ბოლოსართით ნაწარმოები მარტივი სახელებია: (თხილიან-ი ვაკე, ბარდ-იან-ი ტყე, თაფლ-იან-ი კლდე, რიყ-იან-ი ტყე, ნაძვ-იან-ი ფერდა, ნამყენ-იან-ი ბაღები, გოგირდ-ოვან-ი წყალი...). ზოგ შემთხვევაში ასეთი სახელები მსგავსებაზე მიანიშნებენ (კუზ-იან-ი ნაკვეთი-ი, თვალებ-იან-ი კლდე...).

საგულისხმოა, რომ მიმართებითი ზედსართავები შესიტყვებაში უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ აპელატივებს, უმეტესად, ბუნებრივი ობიექტების აღმნიშვნელ სახელებს. შეხამების ეს სპეციფიკა იმითაა შეპირობებული, რომ მიმართებითი ზედსართავები ვერ ქმნის ისეთსავე ოპოზიციას, რასაც ვითარებითი ზედსართავები.

მსაზღვრელ-საზღვრულის შეხამების სრულად დასახასიათებლად უნდა შევეხოთ კომპონენტთა სინტაქსსაც, კერძოდ, სიტყვათა წყობას.

ვითარებითი ზედსართავებით გამოხატული მსაზღვრელები ძირითადად წარმოდგენილია პრეპოზიციური წყობით (შავი ტყე, მლაშეწყალი, თეთრი კლდეები, დიდი ზვარი...) პოსტპოზიციური

წყობა შედარებით იშვიათია (ხევხმელა, რუსხმული, ჯვარიპატიოსანი, ჯვარდაბალი...), მიმართებითი ზედსართავები მხოლოდ პრეპოზიციული წყობით გამოიყენება (ნამწვიანფერდა...).

მიმღობით შედგენილ მსაზღვრელ-საზღვრულიან სახელებში წყობა მხოლოდ პრეპოზიციურია (დამწვარი ველი, დახვრეტილი კლდეები, დამპალწყლი, გალაჯული ნაკვეთები...), ერთი გამონაკლისის გარდა (გზაგაწყვეტილები).

დიდი სიხშირით ხასაითდება ატრიბუტულ მსაზღვრელებად გაზერდსართავებული ზმნისართი (დაბლაკავთა, ზეითუბანი, მალლაქედი, აქეთუბანი, უკანჭალა...) ამ შემთხვევაშიც წყობა მხოლოდ და მხოლოდ პრეპოზიციურია.

შედარებით იშვიათია მსაზღვრელებად რიცხვითი სახელები (მაგრამ, სადაც გვხვდება, მხოლოდ პრეპოზიციამი დასტურდება: ორთელები, პირველი საქადაგიანო...).

ახლა ვნახოთ საანალიზო რეგიონში ტოპონიმებში გავრცელებული სახელების განაწილების ცხრილი:

**კასპის რეგიონის ტოპონიმიაში გავრცელებული ზედსართავი და ზედსართავის ფუნქციით გამოყენებული სახელები**

N	სახელი	მსაზღვრ. ატრიბუტ.	მსაზღვრ. მართული	სულ
1	დიდ//დიდი	101	–	101
2	ახალ//ახალი	59	–	59
3	პატარა	38	–	38
4	შუა(//შვა)	35	–	35
5	ზემო	30	–	30
6	ქვემო	28	–	28
7	ზედა	24	–	24
8	შავი	24	–	24
9	ქვეით	22	–	22
10	თეთრი	21	–	21
11	მლაშე	19	1	20
12	წითელი	19	–	19
13	ძველი	18	–	18

14	გრძელი (//გძელი)	14	–	14
15	გაღმა	11	–	11
16	მშრალი	11	–	11
17	ზეით	10	–	10
18	ფერდა	–	10	10
19	(მ)რგვალი	9	–	9
20	გვერდა	–	8	8
21	მაღალი//მაღლა	7	–	7
22	გამოღმა	6	–	6
23	წინ	6	–	6
24	ნამგალა	4	2	6
25	ჩრდილი	–	6	6
26	დაბალი//დბლა	5	–	5
27	ქვედა	5	–	5
28	უკან	3	–	3
29	გ(რ)ძელა	2	1	3
30	ურწყავი	–	3	0

ატრიბუტულმსაზღვრელიან სინტაგმაში ზოგჯერ არსებითი სახელი ზედსართავის ფუნქციითაა აღჭურვილი. მაგ.. ვაკეგზა (შდრ.: სწორი გზა, ვაკემიწა... მაგრამ არ შეინიშნება საპირისპირო შემთხვევა: სინტაგმაში ზედსართავის დატვირთვა არსებითის ფუნქციით. ეს მოვლენა თავს იჩენს მხოლოდ სინტაგმის გამარტივების ხარჯზე. გრძელა, ჩრდილა, ოხერა... ესენია გასუბსტანტივებული ზედსართავები, რომლებიც ნაწარმოებია მატოპონიმებელ-მასუბსტანტივებელი -ა სუფიქსით და რომლებიც გეოგრაფიულ სახელწოდებათა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ რთულ ტოპონიმებში მსაზღვრელთა სუბსტანტივაციას წინ უსწრებს შეკუმშვის, ელიფსის პროცესი. საზღვრულჩავარდნილ მსაზღვრელებს ემატება საზღვრულის (არსებითის) სუფიქსები, რის შედეგადაც სუსტდება ზედსართავი სიტყვაწარმოება. სი-

ტყვაწარმოებითი ცვლილება უნდა მომხდარიყო ტოპონიმიკური სიტყვათშეხამების დაშლამდე, ტოპონიმის სუბსტანტივაციამდე.<sup>35</sup> უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრულის დაკარგვის ასანაზღაურებლად ზედსართავს და ზედსართავის ფუნქციით დატვირთულ მიმღეობებს თითქმის ყოველთვის სიტყვაწარმოებითი აფიქსები უჩნდება: დაკიდულ-ა, დაჭრილ-ებ-ი...

რთული შედგენილობის ტოპონიმთა გამარტივებისას, ერთი შეხედვით, თითქოს მოსალოდნელი იყო, დაკარგულიყო სინტაგმის გრამატიკულად დამოკიდებული წევრი – მსაზღვრელი. მაგრამ სინამდვილეში იკარგება სწორედ საზღვრული – გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი სახელი, რადგან სინტაგმაში ლოგიკური მახვილი მას არ მოუდის.

ძირითადი სემანტიკური დატვირთვა (გეოგრაფიული ობიექტის ტერიტორიული კუთვნილების, ვისობა-მფლობელობის, წარმომავლობის და სხვ. აღნიშვნა) მსაზღვრელს აქვს, რაც განაპირობებს კიდევ მის შენარჩუნებას და ტოპონიმის ღერძად ქცევას.

ამრიგად, კომპონენტთა გამარტივებისას (საზღვრულის დაკარგვის გზით) ანგარიში ეწევა მსაზღვრელთა სემანტიკურ მახვილს. მაგრამ, გარდა საზღვრულის ჩავარდნისა, როგორც ზემოთ ითქვა, სათანდო ყალიბის შექმნა შესაძლებელია საზღვრულის დაკარგვის გარეშეც – ანალოგიის გზით. ზოგ შემთხვევაში ტოპონიმები – ერთადერთ ვარიანტს გვიჩვენებენ (მაგ., **გაპარულა, გადასხვეპილა, დაქცეულეები, გეთაანთეული, გაბრიაანთეული...**). მიღების გზა ორივენაირი შეიძლება ყოფილიყო – საზღვრულის ჩავარდნითაც და ანალოგიის ძალით მზა მოდელის სესხებითაც.

აღსანიშნავია, რომ საზღვრული უნდა ხლებოდათ გენტივის ფორმით წარმოდგენილ ტოპონიმებს (შინდისი, მოწამეთა...). ამას ადასტურებს პარალელურ ფორმათა არსებობა (გორისა, შდრ.: გორის უბანი (მაკალათია 174, 15).

---

<sup>35</sup> აღმოსავლურ ტოპონიმიაში ამ მოვლენის შესახებ იხ. ი. კარპენკოს ნაშრომი (1966, 7).

გეოგრაფიული სახელწოდებების მნიშვნელოვან ნაწილს რუსულ ტოპონიმიაშიც გასუბსტანტივებული ზედსართავები შეადგენენ (გ. ბონდარუკი 1975, 49).

## ბ) მართულსაზღვრულიანი სახელები

ქართულ-ქართველურ ტოპონიმიაში სიტყვაწარმოებით ნაწარმოებ ტოპონიმებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მართულ-მსაზღვრელიან სინტაგმებს. მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ყველაზე პროდუქტიულია.

მიკროტოპონიმთა ძირითადი ფონდი მართულმსაზღვრელიანია და ეს მთელი საქართველოს მიკროტოპონიმურ მასალას ეხება.<sup>36</sup>

ამ მხრივ გამოწვევის არ წარმოადგენს საანალიზო რეგიონიც – ნათესაობით ბრუნვაში დასმული მართული მსაზღვრელი უცვლელად უკავშირდება საზღვრულს. შეიძლება შეგვხვდეს როგორც მხოლოდობით ბრუნვაში, ისე მრავლობითში, და დაუკავშირდეს ორსავე რიცხვში მდგომ საზღვრულს. მაგ.,

1. **მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მხოლოდობითშია:** ავაზას ნაქურდალი, ღვთიმობლისნიში, სამებისგორა, ალიზისამოსადები, ნადარბაზევისხევი, ჭირისწყარო, ამოსაწვეისხევი, ბაკლიასმორევი.

2. **მსაზღვრელი მხოლოდობითშია, საზღვრული – მრავლობითში:** ამილახვისაბანოები, თელისმიწები, ამკიდესმიწები, ბურღისმიწები, ფშატასმიწები, ალექსასათიბები, ქათმისყვერები...

3. **მსაზღვრელი მრავლობითშია, საზღვრული -- მხოლოდობითში:** ეშმაკებისხევი, ერისთავებისსასახლე, ებრალიძეებისქედი, გრძელველებისტყე, ბერბიჭაშვილებისუბანი, ქვაკაცებისხევი, ქვაყრილებისკუნელა, გიგილაანთეკლესია, ჯავახაანთუბანი, ჯიქურაანთხევი...

4. **მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მრავლობით რიცხვშია:** ჯავახებისმიწები, ხევთათებისმიდამოები, ჯანდიერაანთმიწები, ჯანგლარაანთხრამები, დანდურაანთვენახები, ჯავახიანთწილები, ხრიკულიაანთველები, წვერიაანთმიწები, კარიჭაანთბაღები...

---

<sup>36</sup> მთიან სამეგრელოში, მაგალითად, თვალში საცემია მართულ-მსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახელწოდებათა სიმრავლე: ტოპონიმთა თითქმის ნახევარი კომპოზიტებია, რომელთა პირველი წევრი ნათესაობითშია დასმული (ვ. ცხადაია 1985, 123).

ანტ. კიზირია სამართლიანად შენიშნავს, რომ რამდენადაც რიცხვის მიხედვით დამოკიდებულება განსაზღვრებასა და საზღვრულს შორის გამორიცხულია, ამიტომ მხოლოობითში დასმული განსაზღვრება შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოობითში ან მრავლობითში საზღვრულს (კიზირია 1982, 224, ) და ამ ვითარებას სავსებით ადასტურებს კასპის რეგიონის სათანადო სათანადო ტოპონიმიური მასალაც (იხ. ზემოთ).

მართულ მსაზღვრელებად მიკროტოპონიმიში გამოიყენება როგორც აპელატივები, ისე საკუთარი სახელები,<sup>37</sup> საზღვრულებად კი, ჩვეულებრივ, – აპელატივები, იშვიათად – ნაზმნარი სახელები (მიმღეობები). მაგ., **ამოსაწევისხევი**, **ამკიდესმიწები**, **დამპალისწყალი**... ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მრავლობითში დასმული აპელატივები საზღვრულის როლში, თავიანთი ფუნქციით უახლოვდებიან ტოპონიმებს (მაგ., ამკიდესმიწები, გადმოსაყარისმთები...) ეს ის შემთხვევაა, როცა მრავლობითი რიცხვის სუფიქსს მატოპონიმბელი ფუნქცია ეკისრება.

საკვლევი რეგიონის მიკროტოპონიმიში მართულ მსაზღვრელთა შორის სიხშირის მიხედვით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანთროპონიმულ მსაზღვრელებს. გარკვეულ ადგილს გვარებისა და მეტსახელებისაგან მომდინარე ტოპონიმები იჭერს.

ამ ტიპის ტოპონიმები, ჩვეულებრივ, მსაზღვრელის როლში ყოველთვის ადამიანის სახელი ან გვარია, საზღვრულად კი – აპელატივები.

მართულ მსაზღვრელებად გვხვდება:

ა) პირთა სახელები: **ბათოსჭალა**, **ანიკოსნიში**, **ალიოშასჭა**, **ანტონისსაყდარი**, **ასანასწყარო**, **არსენასკლდე**, **ბათლომესხევი**, **ალექსასსათიბები**, **არსენასგამოქვაბული**...

---

<sup>37</sup> საკუთარ სახელთა მეშვეობით წარმოქმნილი ადგილის სახელწოდებები დადასტურებული აქვს ჯერ კიდევ ვახუშტის: ამირანის გორა, დავითის ციხე, ომანის ხევი (ვახუშტი 1973, 671, 358, 267).

ბ) მართულ მსაზღვრელებად გამოყენებული გვარები გვხვდება ორსავე რიცხვში. შდრ.: აბაზადისტყე, სააკადისმოედანი, აფციაურისსალოცავი, სააკადისკოშკები, ოქროპირიდისწისქვილი, ალაპიშვილისაბანოები, გრუზინსკისწისქვილი... და ებრალიძეებისქედი, ბაზლიძეებისნაკვეთი, ბერბიჭაშვილებისუბანი, აბუაშვილებისსაყდარი.<sup>38</sup>

სიტყვაწარმოების შედეგად ნათესაობით ბრუნვაში დასმული გვარები მხოლოდ თან-იან მრავლობითში დგას (ამილახვრიან-თ-მიწები, ნაბახტევილიან-თ-მიწები, ნუსხელაან-თ-ველ-ები...).

შეინიშნება, მხოლოდობით რიცხვში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მართულ მსაზღვრელებად ფეოდალური გვარები (სააკაძე, გურამიშვილი, აბაზაძე...), რაც ტოპონიმთა სოციალური დანიშნულების ირიბ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ.

მრავლობითში დასმულ გვარებს ეს შეზღუდვა არ ახლავს. მაგრამ ძირითადად ისინი სოფლის უბნების გასამიჯნავადაა მოწოდებული.<sup>39</sup> მაგ., შეშაბერიაანთუბანი, ონოფრიაანთუბანი, სიდამონიძიანთუბანი, ოდიშაანთუბანი, ოთარაანთუბანი, პარკაძიანთუბანი, კაციაშვილებისუბანი, ბერბიჭაშვილებისუბანი, ხოკერაშვილებისუბანი... ამასთანავე აღსანიშნავია, რომ -ებ სუფიქსით ნაწარმოები მსაზღვრელური კომპონენტები შედარებით იშვიათია. უმრავლესობა გვარის შემოკლებულ ფორმაზე (ფუძე+ან) -ან მაწარმოებელსა და მრავლობითის თ ნიშანს დაირთავს და ფუნქცია იდენტურია. მაგ., ფარადა-ან-თ-ღელე, ფარსადა-ან-თ-უბანი, ქასრა-ან-თ-გორა, შატბერა-ან-თ-მამულები, ქავთარა-ან-თ-წყარო, ყუთულა-ან-თ-საყდარი, ღვინია-ან-თ-წყარო, შარიქა-ან-თ-უბანი, ყველაძი-ან-თ-ნაბოსლარი...

---

<sup>38</sup> გ. კაჭარავას კლასიფიკაციით გამოიყოფა სამი ჯგუფი: ა) უცვლელი სახით შესული გვარები, ბ) ბოლოსართიანი გვარები და გ) თავსართ-ბოლოსართიანი გვარები (კაჭარავა 1960, 216).

<sup>39</sup> საქართველოს მრავალ კუთხეში უბნები, პირველ ყოვლისა, სწორედ გვართა მიხედვითაა გარჩეული. ზოგან მრავალრიცხოვანი გვარი ცალკე შტოებადაა დაყოფილი წინაპართა სახელების ან მეტსახელების მიხედვით. ამგვარად შექმნილია არაოფიციალური ე. წ. საუბნო გვარები, რომლებიც სოფლის შიგნით კარგადაა ცნობილი და ორიენტაციაც ამის მიხედვით ხდება.

ეს წარმოება ქრონოლოგიურად უნდა უსწრებდეს -ებ-იანი მრავლობითის ფორმით წარმოდგენილ მსაზღვრელის შემცველ ტოპონიმებს – არა მარტო -ნ-თ-იანი და -ებ ნიშნების ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, არამედ თვით გვარის თავდაპირველი, სათანადოდ გაუფორმებელი და, მეორე მხრივ, გვიანდელი ჩამოყალიბებული ფორმების ურთიერთმიმართებაზე დაყრდნობით (შდრ.: შატბერაანთ და შატბერაშვილების, ქასრაანთ და ქასრაშვილების და მისთ).

აღსანიშნავია, რომ -ან დაბოლოება აუცილებლად თხოულობს მრავლობითის -თ ნიშანს, თუ მსაზღვრელს ერთვის ისინი. ზოგჯერ პირდაპირ ქვავდებიან გეოგრაფიულ სახელებად. ასეთებია აღმოსავლეთის მთაში (და ბარშიც) ფართოდ გავრცელებული სოფლის სახელები, რომელთა ერთ კომპონენტს (საზღვრულს) „კარი“, „სოფელი“, „უბანი“ და მსგავსი სიტყვები შეადგენს, მეორე (მსაზღვრელი) კი -- გვარის სახელებია (ჯანაშია 1959, 45-46).

კასპის რეგიონში ამგვარი ტოპონიმების მაგალითებია: ბარნაბიანთკარი, თოგოიანთკარი, ზალიანთკარი (სოფლები), სალამანთკარი, კუდუხხანთკარი, ხატკაციანთუბანი, ხიზაზავრიანთუბანი (უბნები). ზოგჯერ ასეთ სახელებში საზღვრული სიტყვა იკარგება, დარჩება მხოლოდ მსაზღვრელი: ქება-ან-ი, შაველა-ან-ი, თუთუა-ან-ი, ტურიკა-ან-ი, ნაცვალა-ან-ი, თამაზა-ან-ი, თავგია-ან-ი, ბარდა-ან-ი, ზავრადა-ან-ი, ნავროზა-ან-ი...

საერთოდ ადამიანთა საკუთარი სახელებისა და გვარების ტოპონიმიზაცია საზოგადო მოვლენაა და ის რელიეფურადაა ასახული ჩვენი რეგიონის ტოპონიმიაშიც.

ტოპონიმთა წარმოქმნაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მეტსახელებისაგან წარმოქმნილ ტოპონიმებს.

მეტსახელები, როგორც ცნობილია, იქმნებოდა იმპროვიზებულად. მათ შეთხზვაში გონებამახვილობას, ხალხურ იუმორსა და სატირას, ხშირად – ირონიასაც, განუსაზღვრელი ასპარეზი ჰქონდა. ამ მიზნით უფრო უწყინარ, მსუბუქი იუმორით შეფერილ გამოთქმებს არჩევდნენ ხოლმე: პაწიანთმიწა, პატარკოლასწყარო, პაჭუათმიწა, კრეჭიანთბალები... მაგრამ არაიშვიათად საკვიმატო, გამოსაჯავრებე-



ლი, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი გამოთქმებიც კი უხმარიათ: **პეწენი-კასნაკავი, ნებივრიაანთბადები, პრიწიასწყალი, ლიყიანისმორევი, რიქასეული** ნაკვეთი. მეტსახელის შერქმევის ტრადიცია ქართველურ ტომებში ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული და, როგორც ირკვევა, გვარ-სახელთა ძირითადი ნაწილის პირველწყაროც ადამიანთა სახელებთან ერთად, მეტსახელებიცაა. მათი მონაწილეობით შედგენილი ტოპონიმები აღნიშნავენ არა მარტო ობიექტის განკუთვნილებას ნათესაობითში დასმული სახელით აღნიშნული პირისადმი, არამედ მიუთითებენ ობიექტის აგება-მოწყობაში ამ პირის აქტიურ მონაწილეობაზე და სხვ. ამგვარ მართულ მსაზღვრელებში დასახელებულია, მაგალითად, ციხის, კოშკის ამშენებელი, წყაროს მიმღნები ან გამოწყვანი ან მომწყობი, ყამირის გამტეხი: მითითებულია აგრეთვე ობიექტის საიხლოვე ამა თუ იმ პირის საცხოვრებელ ადგილთან და მისთ. ადამიანთა საკუთარ სახელებს, გვარებს და მეტსახელებს უკავშირდება სავარგულების – სახნავ-სათეს და საბოსტნე ნაკვეთთა, ვენახების, წყაროების, ტყეების და სხვა სახელწოდებები.

ამიტომ თავიანთი აღწერითი დანიშნულების გამო მსგავსი სტრუქტურის ტოპონიმები დიდ სიძველეს ვერ დაიჩემებენ (ბელენკაია 1977, 55)<sup>40</sup>, თუმცა კი, მიკროტოპონიმების წარმოების ბუნებრივ ტრადიციას თვალნათლივ ასახავენ.

კასპის რეგიონში ანთროპონიმული, პატრონიმული და ეთნონიმური წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდებები მრავლადაა და ტოპონიმების მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის. მაგ., **აბუაშვილების** საფლაო, **თარხნიშვილების** მამულები, **გოლასხევი**, **ვახტანგის** წყარო...

მსაზღვრელთა ერთი ნაწილი ნაწარმოებია ცხოველთა სახელწოდებებიდან: **მგლის** წყარო, **დათვთხილიანი**, **გველთამიწა**, **მელეების** სახტომელა, **კურდღლის** ოლე, **მტრედების** ხევი, **კუსთავი**, **მორიელების** მიწა...

ცნობილია, რომ გეოგრაფიული ტერმინები, ე. ი. გეოგრაფიული მნიშვნელობის აპელატივები განსაკუთრებულად ხშირად გამო-

---

<sup>40</sup> როგორც მიუთითებენ, ამგვარ სახელწოდებათა დიდი რაოდენობა წარმოიქმნა ფეოდალურ ხანაში.

იყენება რთული შედგენილობის ტოპონიმთა საზღვრულებად და ეს აპელატივები ასევე საკმაოდ ხშირად იხმარება მართულ მსაზღვრელებადაც და სინტაგმის სემანტიკური მახვილის მატარებლად გვევლინება, რამდენადაც მოცემულ სინტაგმაში ძირითადი მათორიენტირებელი ფუნქცია სწორედ მას აკისრია. მაგ., **აბანოსხევი**, **ახოებისტყე**, **ბადისწყარო**, **ბზისხევი**, **ბოგირისმიწები**, **გალავნისმიწები**, **გამოქვაბულებისხევი**, **გვირგვინისქედი**, **ბილიკისწყარო...**

ძალზე ხშირად, როცა მსაზღვრელად ტოპონიმი გამოიყენება, საზღვრულად აპელატივი გვხვდება – **ტყე**, **მთა**, **წყარო**, **გზა...** და ყველა შემთხვევაში ტოპონიმით მინიშნებულია განკუთვნილება ან მიმართულება. მაგ., **ერთაწმინდისტყე**, **იკვისწყარო**, **მეტეხისრუ**, **აღაიანისზვრები**, **გრაკლისასაფლაო**, **აგვეთისმინდორი**, **საკორინთლოსგზა**, **ახალშენასადმართი...**

რაც შეეხება მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსს, უნდა ითქვას, რომ გენეტიური მსაზღვრელები საკვლევ რეგიონში მხოლოდ პრეპოზიციური წყობით არ დასტურდება და არც არის მოსალოდნელი. რადგან ქართულში არსებით სახელთა შემდეგ სინტაგმებში მართული მსაზღვრელი სახელი, წესისამებრ, პრეპოზიციურია. ასეთი წყობისაა მართული მსაზღვრელი ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში.<sup>41</sup> ეს იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთ-ერთი არსებითი ხასიათის თავისებურებაა (ინდოევროპულ ენებში მართული მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, პოსტპოზიციურია) (როგავა 1984, 20).

იბერიულ-კავკასიური ენებიდან ამ მხრივ გამონაკლისია ძველი ქართული სალიტერატურო ენა, რომელშიც მართული მსაზღვრელი პოსტპოზიციაცაა. გ. როგავა ასკვნის: „იგი უნდა იყოს წიგნური გზით მიღებული (თარგმნის პროცესში კალკირებით) (როგავა 1984, 20).

---

<sup>41</sup> დადგენილია, რომ ქართველურ ენებს, ზოგი დადესტნური ენის მსგავსად, ისტორიულად ახასიათებდა კლასოვანი ბრუნება. შესაძლებელია, რომ პრეპოზიციური მართული მსაზღვრელის შემცველი სინტაგმის არსებობა იბერიულ-კავკასიური კლასოვანი ნათესაობითი ბრუნვის აგებულებით იყოს შეპირობებული ამ ოჯახის ენებში.

### გ) საზღვრული ინდიკატორები

ამ ქვეჯგუფში განხილულია კასპის რეგიონის მიკროტოპონი-  
მიში დადასტურებული განმეორებადი ლექსემები – ე. წ. ინდიკატო-  
რები და მათი შემცველი ძირითადი მოდელები<sup>42</sup>.

ჩვეულებრივ, „ინდიკატორი წამოადგენს გეოგრაფიულ ტერ-  
მინს, რომელიც მიუთითებს, თუ რომელ ტოპონიმიკურ ტიპს მიე-  
კუთვნება ტოპონიმი“ (პოდოლსკაია 1978, 133). „ერთი შეხედვით გე-  
ოგრაფიული მიზეზი სინამდვილეში წმინდა ისტორიული აღმო-  
ჩნდება და ყველა სახელწოდება ასეთია. ობიექტში არცერთი არ არის  
თავისთავად ჩადებული“ (პოდოლსკაია 1978, 133).

აკ. შანიძეს მიაჩნია, რომ ერთი და იგივე სახელი შეიძლება თა-  
ვისთავად, დამოუკიდებლადაც ვიხმართ და მსაზღვრელადაც. მაგ-  
რამ ამგვარი თავისუფლება უპირატესად არსებით სახელებს ახასია-  
თებს.

ინდიკატორი გვხვდება როგორც დამოუკიდებლად (მარტივი,  
ნაწარმოები ტოპონიმები), ისე სიტყვაწარმოებაში (რთული შედგენი-  
ლობის ტოპონიმები).

მარტივ ინდიკატორებად გვხვდება: **ხევი, ზვარი, ქედი, მორე-  
ვი, მთა, წყარო...**

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა უაფიქსო – მარტივი ტოპონიმე-  
ბი კასპის რეგიონში სხვა სახის ფორმატა შორის ყველაზე მცირე რა-  
ოდენობით გვხვდება. შედარებით ხშირია:

ა. იმავე ფუძის შემცველი აფიქსური წარმოების გეოგრაფიული  
სახელები, როგორიცაა, მაგ., -ა, სუფიქსით ნაწარმოები სახელები (ქე-  
დ-ა, ხრიოკ-ა...); აგრეთვე, მრავლობითის ფორმით წარმოდგენილი  
მარტივი ტოპონიმები (მლაშე-ებ-ი, ვაკეებ-ი...);

ბ. რთული სახელები ანუ კომპოზიტები (გრძელვლები, დუქ-  
ნიმიწები...) და შესიტყვებები.

---

<sup>42</sup> იხ. ვ. მაღრაძე, „ინდიკატორები კასპის რაიონის ტოპონიმიაში“, „მაცნე“  
(ელს), 4,1983, გვ. 111-118, თბ.

ქვემოთ განვიხილავთ რთული შედგენილობის – კომპოზიტი-  
სა და შესიტყვების ფორმის მქონე ტოპონიმებში გამოყენებულ ინდი-  
კატორებს.

რთული შედგენილობის ტოპონიმებში ინდიკატორები, ჩვეუ-  
ლებრივ, მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმის სახითაა წარმოდგე-  
ნილი. ასევე მართული პროდუქტიულობით მეორე გაცილებით  
სჭარბობს პირველს.

მართული მსაზღვრელის ნიმუშებია: **აბაზასწყარო, ამოსაწე-  
ვისმიწები, ბალისწყარო, ბარდულისწყალი, ახოებისტყე, ახმადისტყე,  
აშურიანისმთები, აბანოსხევი, აბრეულასხევი, აგკეთისმიწები, ალი-  
ზისბოგირი, ახალშენასწისქვილი, ავაზნისგზა...**

ამგვარ შეხამებაში ძირითადი მოდელები ასეთია: ანთროპონი-  
მი+ინდიკატორი, ტოპონიმი+ინდიკატორი, მიმღეობა+ ინდიკატორი.

ზოგიერთი ინდიკატორი დიდი მოქნილობით გამოირჩევა.  
გვხვდება, როგორც საზღვრულად, ისე მსაზღვრულად.

**ინდიკატორი საზღვრულია:**

**პანტიხევი, სამგლეხევი, ქვათახევი, დათიახევი, გაგნიახევი,  
ლაჯიახევი, ნამგალახევი, აგარახევი...**

**სასამღვთოვექედი, კოკოლაქედი, შუაქედი, უზნაქედი, გაყინა-  
ქედი, გადმოსახედი ქედი, ელიასქედი, გვერდისქედი, არსენიანთქე-  
დი, კოკოლაანთქედი...**

**შვინდავაკე, სოსიასვაკე, მთიულთუბნისვაკე...**

**დიდფერდა, კორომიფერდა, ცხავერისფერდა, ბრილისისფერ-  
და...**

**შუაგზა, საცური გზა, ჭალიგზა, ლომიანთგზა...**

**წმინდაწყარო, მლაშეწყარო, მუხათწყარო...**

**ინდიკატორი მსაზღვრელია:**

**ხევისბოლო, ხევისპირი, ხევისწყალი, ხევისწყარო...**

**ქედისბაღი, ქედისუბანი...**

**ვაკისგზა, ვაკისწყალი, ვაკისხევი...**

ინდიკატორი თანაბარი სიხშირით არ გვხვდება სიტყვათშეხა-  
მების ორივე კომპონენტად (მსაზღვრულად და საზღვრულად). ჭარ-  
ბობს საზღვრული ინდიკატორი. ამასთანავე, ინდიკატორი ეხამება

როგორც ანთროპონიმს, ისე აპელატივს (საზოგადო სახელს) ორივე შემთხვევაში როგორც მართულ მსაზღვრელს, ისე საზღვრულს.

აღსანიშნავია, რომ საზღვრული ინდიკატორები მიუთითებს ბუნებრივ ობიექტებსაც და ხელოვნურსაც (ადამიანის ნამოქმედარს).

ინდიკატორი ბუნებრივ ობიექტს აღნიშნავს: ახოსწყარო, ბოს-ლებიტყე, დიდი თელა, გაყინაქედი, აშურიანისმთა, მრგვალი გორა, აბრეულასხევი, ნამწვიანფერდა, არსენასკლდე, ბათოსჭალა, ალექსანდრესჭაობი, გრძელველა...

ინდიკატორი ხელოვნურ ობიექტს აღნიშნავს: თეთრი კოშკი, კვირაცხოვლისეკლესია, ხვთიმობლისნიში, დაქცეულსაყდარი, ივანენათლისმცემლისსასაფლაო, ქვემოარხი, ზეითვენახები, ბეგიანთეული ახო...

**კასპის რეგიონის ტოპონიმიაში გაგრძელებული ინდიკატორები (დალაგებულია კლებადი სიხშირის მიხედვით)**

№	გეოგრაფიული ტერმინ-ინდიკატორი	დამოუკიდებელი	სიტყვათმეერთებაში			სულ
			საზღვრ.	მსაზღვრელი		
				ატრიბუტული	მართული	
1	წყარო	8	488	—	17	513
2	ხევ-ი	10	438	—	—	473
3	უბან-ი	—	411	—	—	412
4	გზა	—	326	—	—	334
5	გორა	2	123	—	—	131
6	ქედ-ი	8	110	—	—	126
7	წისქვილ-ი	—	107	—	—	125
8	სასაფლაო	5	94	1	1	106
9	ეკლესია	—	75	—	—	81
10	გვერდ-ი	—	67	—	—	71
11	მთა	1	65	—	—	68

12	ვენახებ-ი	1	62	1	1	66
13	კლდე	—	40	—	—	50
14	კოშკ-ი	6	24	—	—	50
15	ფერდა	7	32	1	1	45
16	ციხე	3	24	3	3	45
17	ვაკე	3	29	4	4	44
18	ჭალა	9	31	—	—	43
19	ბაღებ-ი	5	35	—	—	41
20	საყდარ-ი	2	24	—	—	39
21	ხიდ-ი	2	31	—	—	38
22	თელა	1	9	1	15	26
23	ორღობე	1	22	—	1	24
24	ხოდაბუნებ-ი	17	4	—	2	23
25	კაკალ-ი	—	12	—	7	19
26	ბილიკ-ი	2	14	—	2	18
27	ჭაობებ-ი	10	1	—	6	17
28	ქედებ-ი	2	12	—	2	16
29	ტბა	3	8	—	5	16
30	ფერდობ-ი	—	14	—	1	15
31	ხოდაბუნ-ი	7	5	—	3	15
32	მუხა	2	10	1	1	14
33	ზვარ-ი	7	3	—	3	13
34	ხრიოკ-ი	8	4	—	1	13
35	კალოებ-ი	9	2	—	1	12
36	რუ	1	5	1	5	12
37	წისქვილებ-ი	2	7	—	3	12
38	ბოსლებ-ი	5	4	—	2	11
39	ვარცლა	4	1	4	2	11
40	კალო	1	7	—	3	11

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, ინდიკატორთა დამოუკიდებლად გამოყენების ერთეული შემთხვევები გვაქვს. აბსოლუტური უმრავლესობა რთული შედგენილობის ტოპონიმებზე მოდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ატრიბუტულ და მართულ მსაზ-

ღვრელთაგან ინდიკატორები, უპირატესად, მართულ მსაზღვრელ-ებს ეხამება (**ხევისწყარო**, **ლომიაანთგზა**...). თუ კი გეოგრაფიულ ტერ-მინს მართული მსაზღვრელი ახლავს, უმეტეს შემთხვევაში, ეს პირის სახელი ან გვარია (**თუთუაანთმიწები**, **ოხერასხევი** – ტიპისა...).

ტოპონიმებში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა ორიოდ შე-მთხვევის გარდა პრეპოზიციურია.

არეალური კვლევის ერთ-ერთი ნიშანი ამა თუ იმ რეგიონში შე-დარებით გავრცელებული და პროდუქტიული ინდიკატორების გამო-ვლენაა.

ქვემოთ განხილულ მასალაში სამივეგან დასტურდება მხოლ-ოდ გორ-ი/გორა და წყარო, ხოლო არ მეორდება თავი, მამულები, ძი-რი (ერწო-თიანეთი); ვაკე, მეედანი, ტბა, ყორული, მუჯა, ყურე (ფშა-ვი); გზა, მიწა, ქედ-ი/ქედა (კასპი). საგულისხმოა, რომ ქედი პირველი ორი რეგიონის თხუთმეტ ყველაზე გავრცელებულ ტოპონიმში საერ-თოდ არ ჩანს. (ამ სიების შედარებისას, მართალია, გასათვალისწინე-ბელია ჩამწერთა განსხვავებული თვალსაზრისები და მიდგომა ჩასა-წერი მასალისადმი, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ფაქტორები ზოგად სუ-რათს მაინც არ ცვლის).

წარმოდგენილ ცხრილში<sup>43</sup> მოხვედრილი პროდუქტიული ინ-დიკატორების შედარება გვიჩვენებს, რომ თითქმის ყოველ ორ რეგი-ონში მეორდება ესა თუ ის ინდიკატორი, თუმცა, მათი თანმიმდევ-რობა სიხშირის შკალაზე ერთგვარი არ არის: სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ადგილი უჭირავს. მაგ., ერწო-თიანეთისა და არაგვის ხე-ობის ფშავის ტოპონიმიაში **გორ-ი/გორა** ყველაზე მრავალრიცხოვა-ნია, მაშინ, როცა კასპის რეგიონში **წყარო** სჭარბობს ყველა დანარჩენს.

---

<sup>43</sup> შავი შრიფტით აღნიშნულია სამივე რეგიონის საერთო ინდიკატორები, მუქი ხაზით – პირველი და მეორისა, კლაკნილი ხაზით – პირველი და მესამისა, ორი ხაზით მეორე და მესამე რეგიონში დადასტურებული ინდიკატორები.

**ერწო-თიანეთის, არაგვის ხეობის ფშავისა და კასპის ინდიკატორთა შეპირისპირებითი ცხრილი**

N	კასპი	არაგვის ხეობის ტოპონიმი	ერწო-თიანეთი
1	<u>წყარო</u> 513	<u>გორ-ი</u> 148	<u>გორ-ი/ა</u> 226
2	<u>მიწები</u> 475	<u>ქალა</u> 44	<u>წყარო</u> 207
3	<u>ხევ-ი(ა)ის</u> 473	<u>ახო</u> 39	<u>ახო</u> 198
4	<u>უბანი</u> 411	<u>მთა</u> 30	<u>ხევ-ი/ა</u> 131
5	<u>გზა</u> 335	<u>ვაკე</u> 29	<u>ველი</u> 105
6	<u>ტყე</u> 168	<u>ტაფი</u> 19	<u>თავი</u> 59
7	<u>წყალ-ი/ა/ის</u> 166	<u>მეედანი</u> 18	<u>მამულეები</u> 58
8	<u>მიწა</u> 40	<u>წყარო</u> 18	<u>უბანი</u> 54
9	<u>გორ-ი/ა</u> 131	<u>ღელე</u> 17	<u>წყალ-ი/ა</u> 37
10	<u>ქედ/-ი/ა/ის</u> 126	<u>ველი</u> 14	<u>ტაფი/ე</u> 36
11	<u>წისქვილ-ი/ის</u> 125	<u>ტბა</u> 11	<u>მიწები</u> 33
12	<u>სასაფლავოს</u> 106	<u>ყორული</u> 8	<u>ქალა</u> 33
13	<u>ეკლესია</u> 75	<u>ციხე</u> 8	<u>ტყე</u> 23
14	<u>ციხე</u> 73	<u>მუჯა</u> 7	<u>ღელე</u> 16
15	<u>მთა</u> 68	<u>ყურე</u> 7	<u>ძირი</u> 16

ამგვარი მონაცემები ფასეულია არა მარტო ტოპონიმებში ინდიკატორთა სივრცობრივი დინამიკის შესწავლისა და მოცემულ მიკრორეგიონში (ჩვენს შემთხვევაში, ქართლში) საერთოსა და განსხვავებულის გამოყოფის თვალსაზრისით, არამედ, დიალექტურ ლექსიკაში ადგილობრივი გეოგრაფიული ტერმინების როლის შესწავლის თვალსაზრისითაც.

**დ) სამსიტყვიანი რთული ტოპონიმები**

„მეორეული ტოპონიმები თავისებურ სურათს ქმნის როგორც მსაზღვრელების, ისე მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთმომართების თვალსაზრისითაც. მეორეულ ტოპონიმთა მრავალსიტყვი-



ანობა იქმნება პირველად ტოპონიმთა საფუძველზე. მრავალსიტყვიანია ხან მსაზღვრელი (ახალციხის შარა, ზემოუბნის საყდარი...), ხან კი, საზღვრული (ბატონისეული ჭალისმიწა...)“ (ფ.მაკალათია 1974, 15).

კასპის რეგიონში ხშირად გვხვდება სამსიტყვიანი ტოპონიმები. მრავალსიტყვიანი მსაზღვრელის მაგალითებია: **თამარმეფისკოშკი, კაკლიანიხევისკოშკი, თამარდედოფლისწყალი, ამირანთქეთუ-ასნასახლარი, წმინდაესტატესეკლესია, თემისხევისკოშკი, ახმაჯის-ჭაობისმხარე, ლობიოხევისმზვარე, წაგლეჯილწერგისწყარო...**

საზღვრული გავრცობილია შემდეგ ტოპონიმებში: **აშურია-ნისმადლაქედი, ხევისბოლობადი, წყაროსდაბლაბოსტნები, ხევის-მიღმაუბანი, პატარაწმინდაგიორგი, თემისგადმავენახები...**

თუ რთული ტოპონიმები, ჩვეულებრივ, ორი ელემენტისაგან შედგება – მსაზღვრელისა და საზღვრულისაგან, იმ შემთხვევაში, როცა სათანადო კომპონენტების მადიფერენცირებელი ფუნქცია არასაკმარისი აღმოჩნდება, შეიძლება გაჩნდეს მესამე ელემენტი, რომელიც კიდევ უფრო აზუსტებს ტოპონიმის „სამისამართო“ მნიშვნელობას. ერთმანეთთან ახლოს მდებარე ერთგვარი ობიექტების განსასხვავებლად გამოიყენება ორკომპონენტისანი მოდელი, რომელიც მოიცავს გეოგრაფიულ ტერმინებს და პრეპოზიციურ ატრიბუტს. „ორკომპონენტისანი სახელწოდებათა დამატებით მარკირებას მივყავართ სამკომპონენტისანი წარმონაქმნთან“ (შულუნოვა 1964, 56).

მრავალსიტყვიანი ტოპონიმი ხშირ შემთხვევაში არის არა კომპოზიტად გაგებული შედგენილი საკუთარი სახელი, არამედ შესიტყვება, რაც უპირატესად მიკროტოპონიმიაშია მოსალოდნელი (მაგ., ცხენის საჭერი მინდორი) (ფ.მაკალათია 1974, 13).

ტოპონიმები გამარტივების ტენდენციას ავლენს და მოსალოდნელია მათი ერთგვარი შეკუმშვაც, თუ რომელი ტოპონიმია ყოფილი სამკომპონენტისანი და რომელი – თავდაპირველი ორკომპონენტისანი.

ბუნებრივია, რომ ოთხკომპონენტისანი მსაზღვრელ-საზღვრული შედარებით ნაკლები რაოდენობით გვხვდება. მაგ., თამარმეფისკოშკიშველები, კვირაცხოვლისახალისასაფლაო, თელადგორისასაოფლოგზა, თავკავთისწმინდაგიორგი... ამ შემთხვევაში ერთ-ერთი კომპონენტი (ჩვეულებრივ, მართული მსაზღვრელი) კომპოზიტის

ფორმისაა (კვირაცხოველი, თავკავთა, თელადგორი) ან კომპოზიტ-თან გათანაბრებული შესიტყვება (თამარ მეფე).

მართულშესიტყვებიანი ტოპონიმი როგორც კომპონენტი, თავის მხრივ, შეიცავს ატრიბუტულ მსაზღვრელს (შუაჯირკისსასაფლაო, წითელიქვაბისძირი, სწორიალიზისმიწები...) ან გენტივის (აზანოსხევისწყალი, იდლეთისქედისსასაფლაო, ზოგირისხევისწყალი, თხილებისრუსმდინარე...).

მრავალსიტყვიან კომპონენტებში პოსტპოზიციური წყობა არ შეინიშნება.

#### ე) „სინონიმური“ რთული ტოპონიმები<sup>44</sup>

„სინონიმურს“ პირობითად ვუწოდებთ იმ რთულ ტოპონიმებს, რომლებიც პარალელურად იხმარება ერთისა და იმავე გეოგრაფიული ობიექტის აღსანიშნავად, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, რომელთაც საერთო აღსანიშნი აქვთ.<sup>45</sup>

კასპის რეგიონის ტოპონიმიაში, მართალია, არა სისტემურად, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირად გვხვდება ორი ან მეტი სახელწოდების გამოყენება ერთი გეოგრაფიული ობიექტის აღსანიშნავად. ამ შემთხვევაში საუბარი ეხამება არა ორენოვან ტოპონიმებს, არამედ ერთი აღსანიშნისათვის გამოყენებული ორი ან მეტი ერთენოვანი, ამ შემთხვევაში – ქართულივე სახელწოდების არსებობას. ამგვარ ტოპონიმებში შეიძლება ორი ძირითადი ჯგუფის გამოყოფა: 1) ტოპონიმები, რომლებშიც მსაზღვრელები გამეორებულია იმავე ფორმით, საზღვრულად კი სხვადასხვა (ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი დებულებას არ არღვევს) სახელი (მათ შორის სინონიმი) გამოიყენება.

---

<sup>44</sup> იხ. ვ. მადრაძე, „სინონიმური რთული ტოპონიმები კასპის რეგიონის ტოპონიმების მიხედვით“, კრებ. იკე, XXXIV, გვ. 163-165, 2000, თბ.

<sup>45</sup> ერთი და იმავე გეოგრაფიული ობიექტისათვის რამდენიმე სახელწოდების თანაარსებობა სამეცნიერო ლიტერატურაში ბუნებრივ მოვლენად არის მიჩნეული.

მრავალსახელიანობის ხშირი ფაქტები ამერიკულ ტოპონიმიაში აიხსნება ტოპონიმიკური სისტემების ნაკლები სტაბილურობით და ფასდება „ტოპონიმიკური სისტემის სიახლედ“ (ლეონოვიჩი 1981, 37).

იხ. ვ. მადრაძე, „სინონიმური რთული ტოპონიმები კასპის რეგიონის ტოპონიმების მიხედვით“, კრებ. იკე, XXXIV, თბ., 2000, გვ. 163-165

მაგ., კიკოანთუბანი//კიკოანთქედი (ს. ლამისყანა), მუხაურისწყარო//მუხაურისწყალი (ს. ახალციხე), გზებშუაბალი//გზებშუაწყარო (ს.ახალციხე), გივიაანთწყალი//გივიაანთწყარო (ს.დოესი), ვაკისწყარო//ვაკისწყალი (ს.ვაკე), იკვისწყალი//იკვისწყარო (ს.იკვი).

ყველაზე ხშირად მონაცვლეობს აპელატივები წყარო და წყალი რაც სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ არა მარტო მათი აღსანიშნების სიახლოვეს, არამედ აღმნიშვნელთა ფონეტიკურ მსგავსებას.

2) მეორდება საზღვრული, მსაზღვრელი კი, სხვადასხვა სახელითაა წარმოდგენილი. მაგ., ღვთიშობლისნაქოშარი // თამარისნაქოშარი (ს.ახალციხე), ღვთიშობლისწყარო//გურამიშვილისწყარო (ს. ლამისყანა), ქასრიანთუბანი//ზემოუბანი (ს.ზენადრისი), ალექსანთაღმართი//დონისოსაღმართი (ს.ქვემო ჭალა), ქვედაუბანი//ბოლოუბანი (ს.მირიანი), სწორი გზა//ვაკეგზა (ს.ყარაღაჯი).

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში იგულისხმება, რომ პარალელურ ვარიანტებს სოციალური სანქცია მიღებული აქვს, რამდენადაც საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს. მაშასადამე, აღსანიშნის მისამართი ცნობილია და მიხვედრა-გაგებინება არ ჭირს, მაგრამ ამ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაცაა.

პირველ შემთხვევაში, როცა სინონიმურ ვარიანტებს საერთო მართული მსაზღვრელი აქვს, აღმნიშვნელი ობიექტის იდენტიფიკაცია ადვილი ხდება, ვინაიდან სინტაგმის მახვილი, ჩვეულებრივ, სწორედ ამ მსაზღვრელს მოუდის, მსაზღვრელს ეკისრება მსგავსი ობიექტების მადიფერენცირებელი ფუნქცია, საზღვრულ აპელატივებს, ეს დატვირთვა არა აქვთ.

მეორე შემთხვევაში კი, როცა ვარიანტებში საზღვრულია გამეორებული, იდენტიფიკაციის პროცესი რთულდება, რამდენადაც ამისათვის ჯერ პირველი კომპონენტების – მსაზღვრელთა იდენტიფიკაცია უნდა მოხდეს, მსაზღვრელები კი, მსაზღვრელ აპელატივებთან შედარებით, სემანტიკურად გამორჩეული, ხაზგასმული კომპონენტებია და მათი გაიგივება რთული პროცესია. და მაინც, ეს პროცესი მიმდინარეობს. ჩვეულებრივ, ასეთ დროს ერთმანეთს ენაცვლება ესა თუ ის გვარი (მრავლობით რიცხვში) და ამ გვარის მატარებელი კონ-

კრეტული პირის სახელი, რითიმე გამორჩეული (იშვიათობით, განსაკუთრებული ფორმით და სხვ.):<sup>46</sup> მაგ., **ალექსანტადმართი // დონი-სოსადმართი** (ს. ქვემოქალა), **ქასრაანთხევი // გოლასხევი** (ს. კავთისხევი), **ადამანთწისქვილი // მაჩალკასწისქვილი** (ს. ყარაფილა).

საერთოდ, სინონიმური ტოპონიმების შესწავლა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ კომპონენტთა მონაცვლეობის გზით ზუსტდება ამა თუ იმ გეოგრაფიული ტერმინის ლოკალური მნიშვნელობა. მაგ., **წყარო // წყალი** უფრო მოსალოდნელი მონაცვლეობაა (ვაკისწყარო // ვაკისწყალი, იკვისწყალი) და მას შეიძლება უნივერსალური ხასიათი ჰქონდეს, უფრო შეზღუდული მონაცვლეობაა სავარაუდებელი **ბაღი // მიწის** შემთხვევაში (გზებშუა ბაღი // გზებშუამიწა), სადაც მიწა ნეიტრალური მნიშვნელობით კი არაა ნახმარი, არამედ – სავარგულისა, **ბაღის** მნიშვნელობა კი, არამარტო ხეხილის ნაკვეთს გულისხმობს. მაშასადამე, ერთი სემანტიკის გაფართოება ხდება მეორის დავიწროების ხარჯზე. ასევე, სიტყვა **ქედის** ჩანაცვლება **უბან** სიტყვით (კოკოანთუბანი // კიკოანთქედი) იმაზე მიუთითებს, რომ ქედს შესუსტებული აქვს თავისი ორონიმული მნიშვნელობა.

რთულ ტოპონიმებში კომპონენტთა ჩანაცვლება აძლიერებს ტოპონიმთა აღწერით მხარეს, რაც, უპირატესად, მიკროტოპონიმებისათვის არის დამახასიათებელი. ისიც უნდა აღინიშნოს, ამ რიგის მიკროტოპონიმები ნაკლები გამძლეობით ხასიათდება და ამიტომ მოსალოდნელია ერთ-ერთი მათგანის დაკარგვა, მაგრამ არის შემთხვევებიც, როდესაც სინონიმური ტოპონიმები სხვადასხვა აგებულებისაა და არც ტოპონიმი და არც მისი კომპონენტი არ მეორდება. მაგ., **აკვანი // კვირაცხოველი, ნაბაგარი // ნაკაფი ბაღი** (ს. ლამისყანა), **ყარაფილასბოლო // გოგიჯანასწყლის მიწები** (ს. კოდისწყარო), **შეჭრილი მიწა // ტყისპირი** (ს. ახალციხე), **ოკამისნაკვეთი // ცხრიანი** (ს. ჩანგილარი)...

---

<sup>46</sup> სხვა შემთხვევაში თვითონ გვარი გამოდის ზოგადად მინიშნებული დამაკონკრეტებლის როლში, შდრ.: ზემოუბანი // ქერდოაყანთუბანი...

გარდა სინონიმისა, შეინიშნება პოლისემიის მოვლენაც: როცა ერთი სახელწოდება იხმარება ერთზე მეტი სხვადასხვა ობიექტის აღსანიშნავად მნიშვნელობის გადატანის გზით. მაგ., **ფარისციხე** (ს. გომი) – აღნიშნავს როგორც ციხეს, ასევე მის გარშემო მდებარე სამოვარსაც; **ფარტყე** (ს. ერთაწმინდა) – ტყე, ფერდობი; **ფერდისწყარო** (ს. ეზატ) – წყარო, ბაღი; **ქარგლები** (ახალქალაქის სატყეო) – მინდორი, ტყე; **ქარქუცასგორა** (ს. ეზატ) – სასაფლაო, გორა; **ქასრანთგორა** (ს. კავთისხევი) – გორა, სამოვარი; **ქვამოჭრილი** (ს. ერთაწმინდა) – კლდე, ტყე; **ღვთიშობლისნიში** (ს. იგოეთი) – ნიში, გორა; **ცოფიანგზები** (ს. იგოეთი) – გზა, ტყე; **ცეცუბანი** (ს. ერთაწმინდა) – მინდორი, ტამარი, ნიში; **ხრიოკისფერდა** (ახალქალაქის სატყეო) – ველი, ტყე...

### ვ) რთულ ტოპონიმთა მართლწერისათვის <sup>47</sup>

მსაზღვრელ-საზღვრულის სტრუქტურის მქონე ტოპონიმებთან დაკავშირებით დგება პრაქტიკული საკითხიც მათი დაწერილობისა. სხვადასხვა ტოპონიმკურ ლექსიკონსა და გამოკვლევებში, როგორც ცნობილია, ამ სახის გეოგრაფიული სახელების სხვადასხვანაირი ორთოგრაფიაა წარმოდგენილი: კომპოზიტები იწერება ერთად ან ცალ-ცალკე ანდა დეფისითაა შეერთებული. სახელმძღვანელო პრინციპები ქართული ენის ორთოგრაფიულ (1968)<sup>48</sup> და საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიულ (1987, 2009) ლექსიკონებშია ჩამოყალიბებული. მაგრამ მათში არსებითად მაკროტოპონიმური მასალაა გათვალისწინებული, თუმცა, ერთგვარობა სისტე-

---

<sup>47</sup> იხ. ვ. მადრაძე, ქართულ რთულ ტოპონიმთა მართლწერისათვის, ჟურნ. „განათლება“, N 3, 2020, სტუ. გვ. 124-129, თბ.

<sup>48</sup> ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968.

საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1986, 2009

მებრ დაცული არც აქაა. მიკროტოპონიმია კი, ზოგ შემთხვევაში დამატებით საკითხებს აჩენს.

ქართულ რთულ ტოპონიმთა მართლწერისას ერთგვარობის დასამყარებლად და გამარტივებისათვის სასურველია, პრაქტიკულად გაირკვეს ეს საკითხი. როგორც ლიტერატურაშია მითითებული, საბოლოოდ მოგვარებულად უნდა ჩაითვლოს იმ ტოპონიმთა საკითხი, რომელთა მსაზღვრელური პრეპოზიციური კომპონენტი მორფოლოგიურად გაცვეთილია, ე. ი. აკლია ბრუნვის ნიშანი ან მისი ნაწილი, ან საერთოდ გაქვევებულია. ეს შეეხება – ატრიბუტული მსაზღვრელის შემთხვევაში – სახელობით ბრუნვას, მართული მსაზღვრელის შემთხვევაში კი – ნათესაობითს (შ. აფრიდონიძე 1983, 48).<sup>49</sup>

თანხმოვანფუძიანი რედუქციერებული ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც ფუძის სახით არის წარმოდგენილი, საზღვრულთან ერთად, გაუთიშავად იწერება. მაგ.: **ახალქალაქი, ახალციხე, ახალუბანი, დიდთელა, გრძელველა, რბილმინდორი, შავტყე, წითელტყემლები, ორხევი, სამთელა, ნამწვიანფერდა, დაქცეულსაყდარი...**

აქვე დავუმატებდით, პროფ გ. გოგოლაშვილის ვრცელ და ლოგიკურ მსჯელობას სამხრეთ კავკასია თუ სამხრეთი კავკასია, სამხრეთ საქართველო თუ სამხრეთი საქართველო, დასავლეთ საქართველო თუ დასავლეთი საქართველო... და მიდის დასკვნამდე, რომ მსაზღვრელი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. ოღონდ არ შედის პოლემიკაში დაიწეროს ერთად თუ დეფისით (გოგოლაშვილი 2008, 3-11).

მართალია, დასავლეთ ევროპა ქართული ტოპონიმი არაა, მაგრამ პოზიციის გასამყარებლად დავიმოწმებთ პროფ. მ. ჩუხუას ნაშრომს (ჩუხუა 2007, 92-94), სადაც თანმიმდევრული დასაბუთების საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ მსაზღვრელი წარმოდგენილი უნდა იყოს გაცვეთილი სახით ე. ი. ბრუნვის ნიშნის გარეშე და მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ დასავლეთსაქართველოს ტიპის ფორმები ერთად უნდა დაიწეროს. რის მიზანშეწონილობასაც ჩვენ მიერ წარმოდგენილი უხვი მასალაც ადასტურებს.

---

<sup>49</sup> შ. აფრიდონიძე, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. მე-5, გვ. 48-58, თბ., 1983

საზღვრულთან შერწყმულად დაიწერება აგრეთვე პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრული, რომლის საზღვრული ფუძის სახით, ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი. მაგ.: **ივანდიდი** (ხონის მუნიციპ-ში),<sup>50</sup> **მიწაწითელი** (ს. წყალტუბოს მუნიციპ-ში), **ტაბახმელა** (სს. გარდაბნისა და ხულოს მუნიციპ-ში), **ქვათეთრი** (ს. ქარელის მუნიციპ-ში), **ჯვარდაბალი**, **ხეხმელა**, **ველგრძელა**...

მართული მსაზღვრელის რედუქცია გულისხმობს ხმოვანფუძიან სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მოკვეცას მხოლოდობით რიცხვში. მაგ.: **აბრეულახევი** (შდრ.: „აბრეულას ხევი“); **ახოციხე** (შდრ.: „ახოს ციხე“); **ბაჩახევი** (შდრ.: „ბაჩას ხევი“)... მსგავსი ფორმების გამოყენება სისტემურ ხასიათს არ ატარებს, მაგრამ ხშირად გვხვდება.

თანხმოვანფუძიან სახელებში ხშირია ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი, თანხმოვნითი ელემენტის (ს) მოკვეცის მაგალითები: **ბებრიწყაროები**, **ზვრიბოლოები**, **ბოსლებიტყე**, **ვაშლიმიწები**, **ფიჭვებიხევი**...

ორივე შემთხვევაში, სრული და ნაწილობრივი მოკვეცისას, მსაზღვრელ-საზღვრული კომპოზიტი და ერთად იწერება.

ასევე ერთად იწერება თან-იან მრავლობითში დასმული მართული მსაზღვრელ-საზღვრული, მსაზღვრელებს, ჩვეულებრივ, ემფატიკური ა არ ახლავს. მაგ.: **ფშატაანთბოგირი**, **კიკოაანთქედი**, **თუთუაანთმიწები**, **თოიძიანთუბანი**, **მღებრიაანთწყარო**, **პაიჭაანთწყალი**, **ჩიტაანთწყალი**...

თუ მსაზღვრელი კომპონენტი საზოგადო სახელია და იგი ერთმარცვლიანი (მაგ., ტყე, მთა, გზა), იმის მიხედვით, პოსტპოზიციურია თუ პრეპოზიციური, „ენკლიტიკის ძალით ერწყმიან წინამავალ ან მომდევნო სიტყვებს. ამდენად, მიზანშეწონილია ამ ტენდენციის გრაფიკული გაფორმებაც“ (შ. აფრიდონიძე 1983, 57).<sup>51</sup> იგივე შეიძლება ითქვას ერთმარცვლიანი მსაზღვრელების შესახებ. ენკლიტიკის

---

<sup>50</sup> აქაც და შემდგომაც, სადაც მითითებულია ტოპონიმი და მუნიციპალიტეტი, ყველა ობიექტი დამოწმებულია საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონიდან, 2009, თბ.

<sup>51</sup> შ. აფრიდონიძე, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. მე-5, გვ. 57, 1983, თბ.

მაგალითებია – წითელმთა (ს. ოზურგეთის მუნიციპ-ში), **ჭალატყე** (ს. ზესტაფონის მუნიციპ-ში), წვერიგზა, ვაკე-გზა...

პროკლიტიკისა – შუაგორა, შუამთა, შუაფხო, შუაღლე, შუაჭა-  
ლა, შუაქედი, შვამინდორი...

სავსებით მისაღებია მოსაზრება, დასახლებული პუნქტის სა-  
ხელწოდება, რომლის პირველი ნაწილი ნათესაობით ბრუნვაში და-  
სმული არსებითი სახელია (უპირატესად მხოლოობითი რიცხვისა),  
ხოლო მეორე ნაწილია: თავი, ძირი, ციხე, წყარო, უბანი, კარი, ხევი,  
პირი, ღელე, ყანა, წყალი, ჯვარი და სხვა, ერთად იწერება. მაგ., **ხი-  
დისთავი, ციხისძირი, გამდლისწყარო, უფლისციხე, მთიულთუბანი,  
ტაშისკარი, წინამძღვრიანთკარი, კავთისხევი, რუისპირი, ციხისჯვარ-  
რი, ლამისყანა, ციხისფერდი, მთისკალთა, ლალისყური, აჭარისაღ-  
მართი, ტინისხიდი (ყველა ოიკონიმია).**<sup>52</sup> ასევე იწერება მდინარეე-  
ბის, ქედების, მთების, მწვერვალებისა და სხვათა სახელები: **ცხენის-  
წყალი (მდ.), უბისთავი (ქედი, მთა), მეფისწყარო, ხერხემლისმაღალი  
(მთები), საქორისწვერი, არდოტისწვერი, მამლისთავი, მამლისმთა,  
ფასისმთა, დიკლოსმთა (მწვერვალები), საჯიხვისღელე, სახრისღელე  
(უღელტეხილები).**

მაგრამ სადავოდ მიგვაჩნია მოსაზრება, რომ „შედგენილ ტოპო-  
ნიმთა ფორმას შეაპირობებს მსაზღვრელ-საზღვრულის რაგვარობა.  
კერძოდ, მორფოლოგიურად გაუცვთელი თანხმოვანფუძიანი, ასევე  
ხმოვანფუძიანი, ატირბუტული მსაზღვრელი და მისი საზღვრული  
ცალ-ცალკე იწერება“ (აფრიდონიძე 1983, 85-88).<sup>53</sup> თუ ერთ შემთხვე-  
ვაში დასაშვებია ერთად წერა, მიუღებლად მიგვაჩნია, მეორე შე-  
მთხვევაში – ცალ-ცალკე გაფორმება. ამდენად, ამავე რიგში უნდა ჩა-  
ვაყენოთ, მსგავსი შედგენილობის რთული სახელები, რადგან „ტო-  
პონიმი, როგორც ერთი გარკვეული ობიექტის საკუთარი სახელი, ერ-  
თცნებიანია“,<sup>54</sup> ერთი კონკრეტული ობიექტის აღმნიშვნელია. მაგა-  
ლითად, ოიკონიმები – სოფლის სახელწოდებები: **აჭარისაღმართი** (ს.

---

<sup>52</sup> საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1977

<sup>53</sup> შ. აფრიდონიძე, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. მე-5, გვ. 57, 1983, თბ.

<sup>54</sup> ვ. ნიკონოვი, В. А. Никонов, Введение в топонимику, გვ. 5, 1965, М.



ხელვაჩაურის მუნიციპ-ში), **დედოფლისწყარო** (ქალაქი), **თხინაშკარი** (ს. გალის მუნიციპ-ში), **ქვაბისხევი** (ს. ბორჯომის მუნიციპ-ში), **აბა-შისპირიო** (ს. აბაშის მუნიციპ-ში), **წყაროსთავი** (ს. საგარეჯოს მუნიციპ-ში), **ჯიხასკარი** (ს. ზუგდიდის მუნიციპ-ში), **მთისკალთა** (ს. გულრიფშის მუნიციპ-ში), **ვარდისუბანი** (სს. დმანისის, თელავის, ლაგოდეხის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპ-ში), **ქედისუბანი** (ს. ამბროლაურის მუნიციპ-ში), **მთისკალთა** (ს. სოხუმის მუნიციპ-ში), **ამამლოსწყალი**, **წყაროსთავი** (მდ. დუშეთის მუნიციპ-ში), **ყორნისკლდე** (მთა დუშეთის მუნიციპ-ში), **დიკლოსმთა** (მწ. ახმეტის მუნიციპ-ში), **მთისკალთა** (მღვიმე სოხუმის მუნიციპ-ში)... დამკვიდრებული ტრადიციით ერთად იწერება. ეს კი იწვევს გაუგებრობას, გაურკვევლობასა და შემდეგ წერაში არაერთგვაროვნებას ანუ აღრევას, მართლწერის სხვადასხვაობას.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქედებისა და მთების სახელები, რომელთა პირველი ნაწილი საკუთარი სახელია, მეორე კი – საზოგადო (ქედი, მთა, გორა), იწერება ორ სიტყვად: **თრიალეთის ქედი**, **ლიხის ქედი**, **ლომისის მთა**, **საგურამოს მთა**, **ამირანის გორა**, **სათიბის გორა**; მაგრამ თუ „ქედი“, „გორა“ გვხვდება სოფლის სახელის შემადგენლობაში, ასეთი სახელწოდებები კომპოზიტებს წარმოადგენს: **ბროლისქედი**, **ვანისქედი**, **იფნისგორა**. ასევე მიიჩნევენ, რომ თუ გაუცვეთელი მართული მსაზღვრელი კომპონენტები საკუთარი სახელითაა გამოხატული (ტოპონიმით, ანთროპონიმით, ეთნონიმით), კომპონენტები ყოველთვის ცალკე დაიწერება. მაშინ, თუკი ოიკონიმები კიმოთესუბანი, **ალექსანდრესწყარო**, **ტიმოთესუბანი**, **სავანისუბანი**, **ყვიბისისწყალი**...<sup>55</sup> ერთად იწერება, **ლავერენტის წყარო**, **ლომისის ნიში**, **მეტეხის რუ**, **აბრეულას ხევი**, **აშურიანის მთა**, **არსენას გამოქვაბული**, **გურამიშვილის წყარო**, **აბაზას ხევი**... ცალ-ცალკე რატომ უნდა იწერებოდეს? აღნიშნული მსაზღვრელ-საზღვრულები შესიტყვებას წარმოადგენენ. მითუმეტეს, ამ რიგის ტოპონიმები, უკეთ,

---

<sup>55</sup> საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1986, თბ.

მსაზღვრელო კომპონენტები, ბრუნებისას არ იცვლება. არის აშკარა ტენდენცია, რომ ტოპონიმი, როგორც ერთიანი, ერთგვარად ერთეული, მიისწრაფვის ერთად წერისაკენ.

ამდენად, საკუთარი სახელი არ უნდა იყოს განმსაზღვრელი და გადამწყვეტი, თუ რა რიგის კომპონენტს დაერთვის. აუცილებელია, მართლწერის გამარტივებისათვის ერთგვარობა იყოს დაცული. რაც დიდად შეუწყობს ხელს მართებული ფორმების დამკვიდრებას, უნიფიკაციას და შეცდომების დაშვებისგანაც დაგვაზღვევს.

მართებულად მიგვაჩნია ფ. მაკალათიას მოსაზრება, რომ „ცალკე იწერება სახელობითი ბრუნვისნიშნისანი ატრიბუტული მსაზღვრელი, რადგან ასეთი მსაზღვრელი ტოპონიმის ბრუნებისას იცვლება მაღალმა მთამ...“<sup>56</sup> მაგალითებს დავუმატებდით: **შავი** კლდე (მთა ახმეტის, ბორჯომის მუნიციპ-ში), **შავი** ტყე (ონისა და ხულოს მუნიციპ-ში), **თეთრი** წყარო (ქალაქი), **მშრალი** ხევი, (მდ. გორის მუნიციპ-ში), **მყრალი** ოლე (მდ. გურჯაანის მუნიციპ-ში), **მყრალი** წყალი, **თეთრი** კლდეები, **შავი** ტყე, **დამპალი** წყალი, **ძველი** ვენახები... თუმცა, ერთგვარობა აქაც დარღვეულია: **ცივიწყარო** (მთა ხულოს მუნიციპ-ში)...

სხვადასხვაგვარი მიდგომა შემდეგ შემთხვევებშიც: **მლაშე ტბა** (ტბა **ნინოწმინდის** მუნიციპ-ში) და **მლაშეწყალი** (მდ. **დედოფლისწყაროს** მუნიციპ-ში); **მწვანე** კონცხი (კონცხი და ს. ხელვაჩაურის მუნიციპ-ში), **მწვანე** მთა (მთა **ნინოწმინდის** მუნიციპ-ში) და **მწვანემშენი** (ს. **მცხეთის** მუნიციპ-ში)...

დავუმატებდით, რომ ერთად უნდა იწერებოდეს ის ტოპონიმებიც, რომელთა პრეპოზიციური კომპონენტები შემდეგი ატრიბუტული მსაზღვრელებია: **პატარა**, **ქვემო**, **ქვედა**, **ზემო**, **ზედა**, **გალმა**, **გამოდმა**, **მწვანე**, **მლაშე** (ანუ ხმოვანზე დაბოლოებული მსაზღვრელები, რომლებიც გაქვავებულია და არ იბრუნება)...

ჩვენი აზრით, ფ. მაკალათიას დასაბუთება სავსებით მართებული და მისაღებია, თუ ეს ეხება მხოლოდ სახელობითში დასმულ თან-

---

<sup>56</sup> ფ. მაკალათია, „ტოპონიმთა აგებულებისა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, N 3, 1974, გვ. 3, თბ.

ხმოვანფუძიან მსაზღვრელებს და არ უნდა ვრცელდებოდეს ხმოვან-  
ფუძიან მსაზღვრელებზე. თუკი ერთად იწერება **შუახევი (მუნიციპ-  
ის ცენტრი), ცხრამუხა** (ს. ხაშურის მუნიციპ-ში), **ცხრაწყარო** (უღელ-  
ტეხილი **ბორჯომის** მუნიციპ-ში, ს. ზესტაფონის მუნიციპ-ში), **ჩხო-  
როწყუ** (მეგრ. „ცხრა წყარო“ ქალაქი), **ჭითაწყარი** (მეგრ. „წითელი წყა-  
ლი“ მდ. და ს. ზუგდიდის მუნიციპ-ში) **ჭითაუშქური** (მეგრ. „წითე-  
ლი ვაშლი“ ს. ხობის მუნიციპ-ში), **მლაშეწყალი** (მდ. დედოფლისწყა-  
როს მუნიციპ-ში), **შუაგორა** (მთა ახმეტისა და ს. ვანის მუნიციპ-ში),  
**ცხრაწყარო** (უღელტეხილი **ბორჯომის** მუნიციპ-ში), **კოკოლაქედი**,  
**ქვემოჭალა, შუაუბანი...**

ამ პრინციპს ექვემდებარება შემდეგი ტოპონიმები: **მწვანემშენი**  
**(ს. მცხეთის მუნიციპ-ში), კოკოლაქედი, ქვემოჭალა, შუაუბანი...** ამ-  
გვარი გეოგრაფიული სახელების დაწერილობა და მათი გამიჯვნა –  
სხვადასხვაგვარად წერა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუღებლად მი-  
გვაჩნია.

საანალიზო რეგიონში ხშირია პრეპოზიციური კომპონენტები  
შემდეგი ატრიბუტული მსაზღვრელებით: **დიდი, პატარა, ქვემო, ქვე-  
და, ზემო, ზედა, შუა, გაღმა, გამოღმა...** ჩვეულებრივ, ეს მსაზღვრელე-  
ბი ქმნიან ანტონიმურ წყვილებს. ასეთი წყვილები მრავლად გვხვდე-  
ბა: **ზემორენე – ქვემორენე; ახალი ბალები – ძველი ბალები; დიდი მთა**  
**– პატარამთა...** (მათ შესახებ იხ. აგრეთვე ქვეთავი ატრიბუტულმსა-  
ზღვრელიანი სახელები). გარდა ამგვარი ანტონიმური მსაზღვრელე-  
ბისა, მრავლად გვხვდება საპირისპირო მეწყვილეების უქონელი  
(კერძოდ, ამ შემთხვევაში) ტოპონიმები, რომლებიც ანალოგიურად  
ცალ-ცალკე დაიწერება: **რგვალი ჭალა, ახალი უბანი...** მაგრამ ხმოვან-  
ფუძიანი მსაზღვრელების შემცველი ტოპონიმები, რომლებიც ხმო-  
ვანზე ბოლოვდება, ერთად დაიწერება: **კოკოლაქედი, ქვემოჭალა,**  
**შუაუბანი...**

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, სამსიტყვიანი ტოპო-  
ნიმები, მეორადი ტოპონიმების წარმოებისას პირველადი ტოპონიმე-  
ბი მართულ მსაზღვრელებად იქცევა და, სტრუქტურის სირთულის  
მიუხედავად, გაუთიშავად დაიწერება, ხოლო ახალი, საზღვრული  
კომპონენტი ცალკე დაიწერება. ვთქვათ, ასე: **წითელისაყდრის ხევი**

(შდრ.: წითელი საყდარი), **წითელიქალების მინდორი** (შდრ.: წითელი ქალები), **იდლეთისქედის სასაფლაო** (შდრ.: იდლეთის ქედი), **კოკოლაქედის წყალი**, **კოკოლაქედის წყარო** (შდრ.: კოკოლა ქედი)...

მსჯელობა სავსებით თანმიმდევრული და ლოგიკურია, მაგრამ მაშინ რა პრინციპს ეყრდნობა შემდეგი გეოგრაფიული სახელები – **ლასტისციხისხევი** (ს. მცხეთის მუნიციპ-ში), **კოდავარდისუბანი** (ს. ქარელის მუნიციპ-ში), **ქვითვირისწყალი** (ს. დუშეთის მუნიციპ-ში), **ჩელეთისთავისწვერი** (მთა ყვარლის მუნიციპ-ში), **შირიმისწყაროსქედი** (მდ. ახმეტის მუნიციპ-ში), **შუახორხისხევი** (მდ. დუშეთის მუნიციპ-ში), **მაღალიხევისღელე** (მდ. ქობულეთის მუნიციპ-ში), **მინაწყაროსღელე** (მდ. ცაგერის მუნიციპ-ში), **გიორგიწმინდისწყალი** (მდ. დუშეთის მუნიციპ-ში), **ნაცარგორისღელე** (მდ. ხაშურის მუნიციპ-ში), **ქვათახევისთავი**, **ქვახიდისწყალი** (მდ-ები ახმეტის მუნიციპ-ში), **შუამთისხევი** (მდ. ბორჯომის მუნიციპ-ში)...

როგორც ეს მაგალითები მიგვანიშნებს, ერთცნებიანი ტოპონიმების ერთად წერის ტენდენცია აშკარად იგრძნობა. ამდენად, მართებულად და სასურველად მიგვაჩნია, ეს გეოგრაფიული სახელებიც ერთად დაიწეროს.

დეფისით დაიწერება ტოლადშერწყმული კომპონენტები, ვინაიდან ისინი რამდენიმე გეოგრაფიულ ობიექტს აღნიშნავს. მაგ.: **თეზი-ფერმისგზა**, **თბილის-იგოეთისგზა**, **თვალად-გუდალეთისგზა**, **კაბერ-ჭავჭავისტყე**, **ფერმა-ჩანგილარისარხი**...

რაც შეეხება უცხო წარმოშობის ტოპონიმთა მართლწერას, აქ მდგომარეობა შედარებით მარტივია. ვინაიდან ოსური და აზერბაიჯანული რთული შედგენილობის ტოპონიმები ძირითადად – ქართველი მოსახლეობისათვის გაუმჭვირვალეა და ერთ ერთეულად, მთლიანობაში აღიქმება, ამდენად, მათი ერთად დაწერა ბუნებრივია.

ოსური წარმოშობის რთული ტოპონიმებია: **უაგმახთა**, **თელიმახთა**, **ზვარხუმი**, **ილოთექუეროდ**, **მარღისყედი**, **მარღითზანგი**, **მეტეხივასტერჯი**, **თასარფანდაგი**, **კლდემაღალავიჩემაფანდაგი**...

აზერბაიჯანული ტოპონიმებია: **იათაღინდარასე**, **ნამაზენდარასე**, **აჩხალენდარასე**, **იაგორინქილისასი**, **მირზაანონქურახანასი**, **ასკარინგუიუსუ**, **ბაირამაღინინგუისუნი**...

ჩამოთვლილი ტოპონიმები ერთად უნდა დაიწეროს, თუმცა, ამის საჭიროება არც არის. როგორც უკვე აღინიშნა უცნობი სემანტიკის ტოპონიმებთან დაკავშირებით ქართული და არაქართული პარალელური ვარიანტების დასახელებისას უპირატესობა, ძირითადად, ქართულ სახელებს ეძლევა არათუ წერისას, წარმოთქმისასაც კი.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონიდან ზემოთ მოხმობილი არაერთი მაგალითი გვამღვს საშუალებას, გამოვთქვათ მოსაზრება, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ: რადგან ტოპონიმი ერთი გარკვეული ობიექტის საკუთარი სახელია, ერთი კონკრეტული ადგილის მისათითებელი სიტყვაა და, რაც მთავარია, იგი ერთგვებიანია. ამდენად, ქართულ რთულ ტოპონიმთა მართლწერისას ერთგვარობის დასამყარებლად და წერის გამარტივებისათვის, სასურველი და გათვალისწინებულია შემდეგი წესები:

1. ერთად უნდა დაიწეროს:

ა) რთული ტოპონიმები, რომელთა მსაზღვრელო პრეპოზიციური კომპონენტი მორფოლოგიურად გაცვეთილია, ე. ი. აკლია ბრუნვის ნიშანი ან მისი ნაწილი, ან საერთოდ გაქვევებულია. ეს შეეხება – ატრიბუტული მსაზღვრელის შემთხვევაში – სახელობით ბრუნვას, მართული მსაზღვრელის შემთხვევაში კი – ნათესაობითს. მაგ., **ბებრი[ს]წყაროები**, **ზვრი[ს]ბოლოები**, **ზოსლები[ს]ტყე**, **ვაშლი[ს]მიწები...**

ბ) თანხმოვანფუძიანი რედუცირებული ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც ფუძის სახით არის წარმოდგენილი საზღვრულთან. მაგ., **ახალქალაქი**, **დიდთელა**, **გრძელველა**, **რბილმინდორი**, **შავტყე...**

გ) პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრული, რომლის საზღვრული ფუძის სახით, ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი. მაგ., **ჯვარდაბალი**, **ხევხმელა**, **ველგრძელა...**

დ) თუ მსაზღვრელი კომპონენტი საზოგადო სახელია და იგი ერთმარცვლიანი (მაგ., ტყე, მთა, გზა), იმის მიხედვით, პოსტპოზიციურია თუ პრეპოზიციური, ენკლიტიკის ძალით ერწყმის წინამავალ ან მომდევნო სიტყვებს. იგივე შეიძლება ითქვას ერთმარცვლიანი

მსაზღვრელების შესახებაც: წვერიგზა, ვაკეგზა... შუაქედი, შვამინდორი...

ე) თან-იან მრავლობითში დასმულ მართულ მსაზღვრელ-საზღვრულ მსაზღვრელებს, ჩვეულებრივ, ემფატიკური ა არ ახლავს. მაგ., ფშატიანთ[ა]ხოგირი, კიკოანთ[ა]ქედი, თუთუაანთ[ა]მიწები, თოიძიანთ[ა]უბანი, მღებრიანთ[ა]წყარო...

ვ) გაუცვეთელი ნათესაობითი ბრუნვით წარმოდგენილი მსაზღვრელ-საზღვრული, ანალოგიით, როგორც ზოგიერთი ტოპონიმის დაწერილობაა დამკვიდრებული: ცხენისწყალი, დედოფლისწყარო, აბაშისპირი, ქედისუბანი, მთისკალთა, ქვაბისხევი, თხინაშკარი...

ზ) სამსიტყვიანი ტოპონიმები, სტრუქტურის სირთულის მიუხედავად, გაუთიშავად დაიწერება: წითელისაყდრისხევი (შდრ.: წითელი საყდარი), წითელიჭალებისმინდორი (შდრ.: წითელი ჭალები), იდღეთისქედისსასაფლაო (შდრ.: იდღეთისქედი), კოკოლაქედისწყალი, კოკოლაქედისყარო (შდრ.: კოკოლაქედი)...

2. ცალ-ცალკე დაიწერება:

ა) სახელობითი ბრუნვისნიშნისანი ატრიბუტული მსაზღვრელი, რადგან ასეთი მსაზღვრელი ტოპონიმის ბრუნებისას იცვლება. მაგ., შავი ტყე (შავმა ტყემ), თეთრი კლდეები (თეთრმა კლდეებმა), დამპალი წყალი (დამპალმა წყალმა), ცივი წყარო (ცივმა წყარომ), ძველი ვენახები (ძველმა ვენახებმა), მშრალი ხევი (მშრალმა ხევმა)...

ბ) დეფისით დაიწერება ტოლადმერწყმული კომპონენტები, ვინაიდან ისინი რამდენიმე გეოგრაფიულ ობიექტს აღნიშნავს. მაგ.: თეზი-ფერმისგზა, თბილის-იგოეთისგზა, თვალად-გუდალეთისგზა, კაბერ-ჭავჭავისტყე, ფერმა-ჩანგილარისარხი...

#### 4. ფორმაუცვლელი სიტყვები ტოპონიმებში

ფორმაუცვლელი სიტყვები, მათ შორის ზმნისართი და თანდებული, აქტიურად მონაწილეობს ტოპონიმთა წარმოებაში.

გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად ფაქტობრივად მხოლოდ ადგილის ზმნისართები გამოიყენება. მაგ., ზევით/ზეით, ქვეით/ქვეით, ზემოთ, გაღმა, გამოღმა, წინ, უკან, მაღლა, დაბლა, აქეთ, იქით...

აქედან ზოგიერთი მათგანი ზედსართავის, მსაზღვრელის ფუნქციით გამოდის და საზღვრულ სახელებს პრეპოზიციურად მიერთვის. მაგალითად,

**ზევით//ზეით:** ზევითბაგა, ზევითუბანი, ზევითი გზა, ზეითგორაკა, ზეითვენახები, ზეითრუ, ზეითწყალი, ზეითწყარო, ზემოთუბანი...

**გამოღმა:** გამოღმა, გამოღმაუბანი...

**გალმა:** გაღმა, გაღმაბაღი, გაღმაბაღები, გაღმავენახი, გაღმაკალოები, გაღმამიწები, გაღმასათიბები, გაღმაუბანი, გაღმაქედები, გაღმახოვლე, გაღმახოვლესქედი...

**გალმა-გამოღმა:** გაღმა-გამოღმა, გაღმა-გამოღმახოდაბუნები, გაღმა-გამოღმამზვრიანი...

**მალლა:** მალლაურწყავები, მალლაქედი, აშურიანისმალლაქედი...

**დაბლა:** დაბლაურწყავები, დაბლაკავთა...

**ქვევით//ქვეით//ქვემოთ:** ქვევითრუ, ქვევითბაგა; ქვეითგორაკა, ქვეითველი, ქვეითვაკე, ქვეითვენახები, ქვეითრუ, ქვეითუბანი, ქვეითწყალი, ქვეითწყარო, ქვეითი გზა; ქვემოთნაკვეთი; ქვემოარხი...

როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, დაპირისპირებული საზღვრულები ხშირ შემთხვევაში ანტონიმურ წყვილებს წარმოქმნის. მაგ., დაბლაურწყავები – მალლაურწყავი (ს. კავთისხევი), ქვეითუბანი – ზეითუბანი (ს. ფერმა), ქვედარუ – ზედარუ (ს. ნიაბი)...

ასევე ერთად უნდა იწერებოდეს ის ტოპონიმები, რომელთა პრეპოზიციური კომპონენტები შემდეგი ატრიბუტული მსაზღვრელებია: პატარა, ქვემო, ქვედა, ზემო, ზედა, გაღმა, გამოღმა, მწვანე (ანუ ხმოვანზე დაბოლოებული მსაზღვრელები)... ხშირად, ეს მსაზღვრელები ქმნის ანტონიმურ წყვილებს, ხანდახან კი, ცალფა.

კასპის მიკროტოპონიმიში ტოპონიმთა მაწარმოებელ ელემენტებად გვევლინება ე.წ. „ლოკალური“ თანდებულები -თან, -ზე, შუა და მიმართულების აღმნიშვნელი -უკან თანდებული.

-თან თანდებული:

საღორეებთან – სახნავ-სათესი; სახრჩობელებთან – ფერდობი; წისქვილებთან – ფერდობი; ჭადრებთან – სამოვარი; ქვითვირებთან

სახნავი; გარიყულასხიდთან – საქონლის შესაკრები; ვიწრომორევთან – საკარტოფილე ნაკვეთი; ყრალტბასთან – ტყე; დიდმუხასთან – სოფლის ცენტრი.

-ზე თანდებული:

რიყეზე – საქონლის გასარეკი ადგილი; საჭიდაოზე – პატარა საჭიდაო მოედანი; ბალიბოლოზე – სათიბი; ტორტლისპირზე – სამოვარი.

შუა თანდებული:

მტკვრისშუა – სანახირო, ორგაშუა – სახნავი, ხრამთაშუა – მინდორი, ორხევშუა, ხრამებშუა – სახნავები, გზებშუა – ბაღი...

-კენ თანდებული:

საწყობებისაკენ – კალო; ხვინჯიანთვენახებისაკენ – გზა; პაიჭიანთვენახებისაკენ – გზა; ასვალტისგზისკენ – გზა.

ბრუნვის ფორმათაგან ტოპონიმთა წარმოების ზოგადნობრივი პრინციპი გულისხმობს, რომ გეოგრაფიულ სახელთა უმრავლესობა იყენებს სახელობითის ან ნათესაობითის ფორმებს, მათთვის შეიძლებოდა დაგვემატებინა ლოკალურ ბრუნვათა ფორმებიც – როგორც უთანდებულო, ასევე თანდებულიანი. ეს უკანასკნელი უფრო მიკროტოპონიმიისათვის არის დამახასიათებელი.

სამართლიანია ვ. ნიკონოვის შენიშვნა: „მიკროტოპონიმები უფრო ახლოს დგას საზოგადო სახელებთან. პატარა ობიექტების სახელთა მნიშვნელობა, უმეტეს შემთხვევაში, ნაკლებად ფორმალურზე ბუღია. ისინი ხშირად საკუთარ სახელად ქცევის გზაზე დგას: „სამ ფიჭვთან“ ... -ჯერ მხოლოდ სახელწოდებათა ჩანასახებია. ტოპონიმად ჩამოყალიბების ფორმირების პროცესი ჯერ კიდევ წინა აქვს და მათგან მხოლოდ მცირეოდენილა თუ გაივლის ამ გზას ბოლომდე“ (ნიკონოვი 1965, 7).

ბუნებრივი იქნებოდა მსგავსი მოსაზრების გავრცელება ყველა ე.წ. ტოპომაწარმოებლებზე, მაგრამ თანდებულდართულ სახელთა ტოპონიმად ქცევას წინ უფრო მეტი დაბრკოლება ეღობება.

ქართულ ტოპონიმიაში თან თანდებულის „გაჩენის“ შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული.

აკ.შანიძის აზრით, ამგვარი გეოგრაფიული სახელები ქართულში თუშურის შემონატანს წარმოადგენს (შანიძე 142, 135).



თ.უთურგაიძე -**თან(ა)** თანდებულის წარმომავლობაზე არ მიუთითებს, მაგრამ მის ნასესხობაში ეჭვი არ შეაქვს. და თუმცა, აღიარებს მთის კილოებში გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელ -**თანა** სუფიქსის გავრცელების ფაქტს, მაგრამ კილოებში გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად -**თანა** თანდებულის გამოყენებას „ქართული კოლოებისათვის არაორგანულ წარმოებად“ თვლის (უთურგაიძე 1966, 89).<sup>57</sup>

თანდებულიანი სახელების ტოპონიმებად ქცევა, „გაქვავება“ ბ.ჯორბენაძეს მხოლოდ გარკვეული კილოებისათვის დამახასიათებლად მიაჩნია (ჯორბენაძე 1976, 230).

კასპის რეგიონის ტოპონიმიური მასალების მიხედვით -**თან** თანდებულის გავრცელებულობა შემთხვევითი არ უნდა იყოს და არც ნასესხების შთაბეჭდილებას ტოვებს: ეს ფორმები თანაბრადაა გავრცელებული მთელი რეგიონის მიკროტოპონიმიში.

თანდებულის ტოპომწარმოებლად გამოყენების დამადასტურებელია აგრეთვე -**ზე** თანდებულის დართვა.

გვხვდება კიდევ ერთი თანდებული **შუა**, რომელიც ერთვის როგორც ბრუნვის ნიშნის შენარჩუნებით – ნათესაობით (მტკვრის-**შუა**), ისე ბრუნვის ნიშნის მოკვეციტ – მიცემითში (ხრამ**შუა**, ორხე-**შუა**). მრავლობით რიცხვში ტოპონიმი წარმოდგენილია ასევე მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ამასთან, მიცემითში დგას -**ებ**-იანი ფორმა (ორგ**ზებშუა**, გ**ზებშუა**, გორაკ**ებშუა**, ხრამ**ებშუა**), ნათესაობითში კი **თ-ანიანი** (ხევ**თშუა**)...

აქვე უნდა აღინიშნოს ნათესაობითი ბრუნვის -**კენ** თანდებულის ფორმებიც. მართალია, ისინი შედარებით იშვიათად გვხვდება მიკროტოპონიმიში, მაგრამ საერთო ტენდენციას მხარს უჭერს და მას სისტემებრ ხასიათს აძლევს. მაგ., საწყობებისაკ**ენ**, ვენახებისაკ**ენ**...

წმინდა თანდებულებს გარდა, გეოგრაფიულ სახელებთან თანდებულის ფუნქციით გამოიყენება აგრეთვე ზმნისართები **წინ** და **უკან**. მაგ.:

---

<sup>57</sup> მოსაზრებას -**თან** თანდებულის სესხებისა და თანდებულის ფორმათა ტოპონიმებად ფუნქციონირების შესახებ მოწინააღმდეგეებიც ჰყავს (ჯორბენაძე 1976, 230).

**უკან:** ციხისუკან – ფერდობი; ხოვლგორუკან – ვენახი, სახნავი, სათიბი; გორებუკან – სახნავი; გარაჯსუკან – ბაღი; წვერსუკან – სახნავი; სხვილოსუკან – სათიბები; მაღაზიისუკან – უბანი...

**წინ:** საყდარწინ – მინდორი, წისქვილისწინ – რიყეზე გადასასვლელი ადგილი.

მსგავსი თანდებულიანი და თანდებულად გამოყენებული ზმნისართიანი ფორმები ტოპონიმისთვისაა დამახასიათებელი. მათ შუალედური ადგილი უჭირავთ აპელატივებსა და ტოპონიმებს შორის და უფრო აღწერით ფუნქციას ასრულებს, ვიდრე მითითებითს („წმინდა ტოპონიმის“ სპეციფიკურ ფუნქციას). მიკროტოპონიმის ამგვარი ფორმები არ ახასიათებს.

## თ ა ვ ი III

### ტოპონიმთა სემანტიკური ჯგუფები

ყველა ქვეყნისა და ყველა რეგიონის ტოპონიმიაში გამოიყოფა გარკვეული სემანტიკური ჯგუფები, რომელთაც სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს. ამ კლასიფიკაციას ან აღსანიშნი ობიექტის თავისებურება შეაპირობებს, ან – სპეციფიკური წარმოება, ანდა – ორივე ერთად. სხვა სახელები ჯგუფდება მათი გამომხატველი აპელატივების სემანტიკური რაგვარობისა და სპეციფიკური სიტყვაწარმოების მიხედვით.

სემანტიკური ჯგუფები მეტ-ნაკლებად ყველა რეგიონის ტოპონიმიაში დასტურდება, მაგრამ მათი რაოდენობრივი და თვისობრივი ურთიერთშეფარდება სხვადასხვაგვარია და რეგიონული ტოპონიმის ერთ-ერთი მიზანიც ამ ჯგუფების შეფარდებითი პროდუქტიულობის გამოვლენაა.

#### 1. ჰიდრონიმები

ჰიდრონიმები ანუ წყალთა (ზღვების, ტბების, მდინარეების, წყაროების...) სახელწოდებები ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია და ტოპონიმებთან ერთად იმეორებენ საკუთარი სახელის ყველა ძირითად სტრუქტურულ-სემანტიკურ თავისებურებას. აგებულებით, წარმოებით, ფუნქციით ჰიდრონიმი ენის ისეთივე ერთეულია, როგორც ცალკე აღებული საკუთარი, ბრუნებადი სიტყვა თუ სიტყვათშეერთება.

მაგრამ როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, ჰიდრონიმებს გარკვეული სპეციფიკური ნიშნებიც ახასიათებს. ისინი ტოპონიმთა უძველეს ფენას წარმოადგენს (ს.ჯანაშია, ს.კაკაბაძე, ს.მაკალათია...) და სხვა ტოპონიმებთან შედარებით, მეტი სტაბილუ-

რობითაც ხასაითდება განსაკუთრებით – დიდი მდინარეების სახელები). იმ შემთხვევაში, როცა ჰიდრონიმი იმავდროულად ოიკონიმიც არის, ლაპარაკობენ ბუნებრივი ობიექტის, ამ შემთხვევაში – ჰიდროგრაფიული ობიექტის სახელის „მნიშვნელობის გადატანა-გაფართოებაზე: ხელოვნური ობიექტი, ჩვეულებრივ, ბუნებრივი ობიექტისაგან სესხულობს სახელს, ამ შემთხვევაში – წყლის სახელი უნდა დარქმეოდა დასახლებულ პუნქტს“ (შ.აფრიდონიძე, ფ.მაკალათია).

ჰიდრონიმთა შედარებითი სიძველისა და სტაბილურობის გამო მათში შემონახულია მრავალი იმ ტოპონიმის ფუძე, რომელთაც აღარ იცნობს თანამედროვე გეოგრაფიული ნომენკლატურა. ასეთი ჰიდრონიმი, ცხადია, წარმოადგენს ერთ-ერთ სანდო წყაროს, რომლის მიხედვითაც შეიძლება აღვადგინოთ ოდინდელი ტოპონიმიკური „სურათი“, მოვახდინოთ ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტისა თუ დასახლებული პუნქტის ლოკალიზაცია.

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ისმის რეგიონულ ტოპონიმიკაში ჰიდრონიმებთან დაკავშირებით, არის წყლის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ ტერმინთა შეფარდებითი პროდუქტიულობა.

კასპის რეგიონში გავრცელებულია ჰიდრონიმების მიმანიშნებელი რამდენიმე სახელი. აღსანიშნავია, რომ მათ შორის **წყალი** და **მდინარე**, ერთი მხრივ, და **წყალი** და **წყარო**, მეორე მხრივ, სინონიმურად იხმარება. ოღონდ, **წყარო** საკუთრივ წყაროს აღმნიშვნელია, მაშინ, როცა **წყალი** აღნიშნავს სხვადასხვა ჰიდროგრაფიულ ობიექტს – მდინარესა და ღელეს, წყაროსა და ნაკადულს, რუსა და არხს, მაგრამ არა პირუკუ: სახელწოდება წყარო არ გულისხმობს წყაროს გარდა სხვა ობიექტს – ნაკადულს, რუს ან ღელეს.

ჰიდრონიმებში ამ სახელთა შეფარდება **წყაროს** საგრძნობ უპირატესობაზე მეტყველებს: ერწო-თიანეთის ტოპონიმიში<sup>58</sup> **წყარო**

---

<sup>58</sup> იხ. გ.ბედოშვილი, „ერწო-თიანეთის ტოპონიმი“, გვ. 11-12, 1980, თბ.

107-ჯერ გვხვდება, წყალი (წყალა) – 37-ჯერ, კასპის რეგიონის მასალაში წყარო 513-ჯერ, წყალი/წყალა – 177-ჯერ დასტურდება<sup>59</sup>, არაგვის ხეობის ფშავის მასალაში კი<sup>60</sup> – წყარო 18 შემთხვევაშია ფიქსირებული, წყალი კი – არც ერთხელ. და ეს არათანაბარი შეფარდება სავსებით კანონზომიერია, რადგან წყალს სინონიმებად კიდევ მოეპოვება სხვა ინდიკატორები, როგორცაა მდინარე, რუ, ღელე... წყარო კი, მხოლოდ სათანადო ჰიდროლოგიეტის აღმნიშვნელია. ამით შეიძლება აიხსნას ერთი ტერმინის სიმცირე და მეორის სიმრავლე.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ქართული (ქართველური) ჰიდრონიმები, ზოგადად ტოპონიმების მსგავსად, სამ ძირითად ტიპად გვხვდება: მარტივი, ნაწარმოები და სიტყვათშეერთება.

კასპის რეგიონში ძირეული ჰიდრონიმები შედარებით ნაკლებია და მეტწილად აპელატივებს ემთხვევა. მაგ., რუ (ს. ბარნაბიანთკარი), ტბა (ქ. კასპი, სს. აღიანი, ერთაწმინდა), წყარო (სს. ახალშენა, ბარნაბიანთკარი, გორაკა, გოსტიბე, გრაკალი, ზადიანთკარი, თეზი, ოკამი), არხი (სს. ლამისყანა, სამთავისი, ფერმა, ჩანგილარი)...

ძირეული ჰიდრონიმი ქართულში ჩვეულებრივი სახელია, რომელიც სხვა საკუთარ სახელთა მსგავსად მრავლობით რიცხვს ვერ აწარმოებს.

უფრო ფართოდაა წარმოქმნილი ჰიდრონიმები:

ა) -ა ტოპოფორმანტიტ ნაწარმოები: ტორტლ-ა, სამსალ-ა, წაწალ-ა (წყაროები)...

ბ) -ურ-ა//ულ-ა. ეს სუფიქსები მეტად აქტიური საწარმოქმნო საშუალებაა. აღნიშნული სუფიქსები მოქმედებს როგორც მიკროტოპონიმებში, ისე ჰიდრონიმებში.

გ. მაკალათიას აზრით, -ურ-ა//ულ-ა სუფიქსები უპირატესად ჰიდრონიმებში გამოიყენება და მას ჰიდრონიმთა მაწარმოებელი უწოდდა. პ.ცხადაია თვლის, რომ -ურ-ა ორიდან ერთ-ერთი ძირითადი ტოპომაწარმოებელია, რომელიც ტოპონიმისაგან აწარმოებს იმ მდინარის სახელწოდებას, რომელიც ამ ტოპონიმით აღნიშნულ ობიექტს

---

<sup>59</sup> იხ. ვ.მაღრაძე, „ქართველური ჰიდრონიმები“, გვ. 86-94, 2004, თბ.

<sup>60</sup> იხ. ფ.მაკალათია, „არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიკა“, გვ. 90-93, 1976, თბ.

ჩაუდის ან იქვე იწყება. ეს აზრი კასპის რეგიონის მასალაზეც რეალური ჩანს. განხილულ მასალაში ეს ფორმანტი თითქმის მხოლოდ წყლის აღმნიშვნელია. მაგ., კავთ-**ურ-ა** (ს. კავთა), ნიჩბ-**ურ-ა** (ს. ნიჩბისი), ოძ-**ურ-ა** (ს. ოძისი), გუდალ-**ურ-ა** (ს. გუდალეთი), კოწახ-**ურ-ა**, ლეხ-**ურ-ა**,<sup>61</sup>

დისიმილირებული ფორმით: ჭურ-**ულ-ა**, ლავრ-**ულ-ა** (ხანდა-ხან ლავრულიც ითქმის), ცხირ-**ულ-ა**, ნატრ-**ულ-ა**.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **-ურ-ა**/**-ულ-ა** მაწარმოებლები ქართულ ტოპონიმიაში არამარტო ჰიდრონიმებს აწარმოებს (იხ. თავი II, 2.ა.).

გვინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ ჰიდრონიმ **ლეხურას** ეტიმოლოგიას.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ლეხურა** და **ლიახვი** ერთმანეთის შესატყვისია. თუმცა, სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა ენის საფუძველზე გაააზრებინებს ამ სახელებს.

ს. კაკაბაძის ვარაუდით, ლიახვი და ლეხურა ეკვივალენტებია და აღნიშნავენ გვერდს. „ლიახვი (იგივე ლეხი) სვანური (სვ. ლეხ-<sup>\*</sup>ლეგ-ლესგ)<sup>62</sup> ტერმინი ლეხი აშკარად ისმის ახლანდელ ლეხურაში“ (კაკაბაძე 1925, 3).

ასევე ერთი წარმოშობისად მიაჩნია **ლეხი** (< **რეხი** < **რეხვა**) და **ლიახვი** გ.ბურჭულაძესაც, სადაც საერთო ძირად **ხვ**-ს თვლის (ბურჭულაძე 1987, 4).

**ლეხურა**, როგორც ცნობილია, წარმოადგენს მტკვრის მარცხენა შენაკადს ლიახვსა და ქსანს შუა, დაბა ქსანთან ახლოს. თვით ლიახვს კიდევ აქვს ერთი შენაკადი პატარალიახვის სახელწოდებით. „ლიახვი, პატარა ლიახვი, ლეხურა – ეს ერთი და იგივე ტერმინის სხვადასხვაობით მოხსენება უნდა ამტკიცებდეს, რომ ამ ტერმინს აქ, ამ ტერი-

---

<sup>61</sup> იხ. ვ. მაღრაძე, „ქართველური ჰიდრონიმები“, 2004, თბ., ასევე, ვ. მაღრაძე, „ლეხურა და ლიახვი“, კრებ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, VI, „მეცნიერება“, გვ.134-137, 1997, თბ.

<sup>62</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სვანურში მსგავსი ძირის სიტყვები შესატყვისი მნიშვნელობით ვერ მოვიძიეთ, ვ.თოფურია, მ.ქალდანი 2000. (ასევე არ დასტურდება ქართული ენის არცერთ დიალექტში).

ტორიაზე, მაგრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული და ისიც საკმაოდ ფართო მანძილზე, რომ ეს არ იყო მარტო მდინარის აღმნიშვნელი სახელწოდება. არამედ მას ჰქონდა ტერიტორიული მნიშვნელობაც“ (კაკაბაძე 1925, 3).

მას ძველად ქართულ დოკუმენტებში **ლევხ** ეწოდებოდა, სომხურ საისტორიო წყაროებში – **ლევ** და **ლევახ**, ოსები კი, **ლევახ**-ს ეძახიან (ჭუმბურიძე 1987, 464).

თავისთავად, ბუნებრივი ჩანს სვანური **ლევ**-იდან ამ მდინარის სახელწოდების მიღება **-ურ-ა** სუფიქსის დართვით **ლევ+ურ-ა**. მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილი სახელწოდება **ლევურას (რეხულას)** დაბა **რეხას** უკავშირებს: „ჭალის ზეით არის დაბა რეხი, რომლის გამო იწოდება მდინარე ესე“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973, 365). „ხოლო წლევის მთას გასჭრის მდინარე რეხულა“ (იქვე, 364). თუ ამოსავლად ვიგულისხმებთ **რეხ**- ძირს, მას უნდა დართვოდა ჰიდროფორმანტი **-ურ-ა** და მიგველო **რეხ+ურ-ა**, დისიმილაციით **რეხ-ულ-ა**. და ასეც დასტურდება ვახუშტი ბატონიშვილთან. ამავე რეგიონში გვხვდება მდინარე ორჭოსნულა (შიდაქართლში არსებულ სოფელ ორჭოსანის სახელწოდებისგან).

მდინარე **ლევურის** სახელწოდება **რეხ**-ისაგან მომდინარეობას მხარს უჭერს ზ.ჭუმბურიძეც (ჭუმბურიძე 1987, 464).

დავიმოწმებთ უ. სახლთხუციშვილის მსჯელობას: „სოფელზე [გლდანი] ჩამომდინარე წყალს ვახუშტი გრდანის წყალს უწოდებს. გრდანის წყლის პარალელური ფორმაა გრდანულა.-ურა სუფიქსი რომ ჰიდრონიმთა მაწარმოებელია, ეს ცნობილი ფაქტია, თუ ფუძეში რ ბგერა გვაქვს და მას უშუალოდ მოსდევს -ურა სუფიქსი, იგი დისიმილაციით -ულა-დ იქცევა. ამიტომაც გრდანი > გრდან-ულ-ა. ეს ჰიდრონიმი გლდან ფუძიდან რომ მომდინარეობდეს, მაშინ იქნებოდა: გლდანი > გლდან-ურა და არა გლდანულა (უ.სახლთხუციშვილი 1997, 102).

ამდენად, თუ ძირში გვექნებოდა **რეხ**-ი (და არა **ლევხ**), მივიღებდით **რეხ-ულა**-ს, ხოლო ფუძისეული რ- თანხმოვნის ცვლილების შემდეგ **ლევულას**, ისევე, როგორც ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში (გლდანულა).

ანდა მოვუხმით ზ. ჭუმბურიძის განმარტებას **ძირ-ულ-ა-ს** წარმოშობის შესახებ: სახელწოდება წარმოქმნილია **ძირ** სიტყვაზე – **ურ** და **-ა** სუფიქსების დართვით, ხოლო რადგან ქართული გაურბის ერთ სიტყვაში ორი **რ**-ს თავმოყრას, **ძირურას** ნაცვლად მივიღეთ **ძირულა** (ჭუმბურიძე 1987, 526) და არა **ძილურა**. გავიმეორებთ, რომ კანონზომიერად მივიღეთ **ძირულა** და არა **ძილურა**, ანუ შეიცვალა ფორმანტი და არა ფუძისეული **რ**.

ჩვენი ვარაუდით, **ლექურა** წარმოქმნილია **ლექ**- ძირზე **-ურა** რთული ჰიდროფორმანტების დართვით (მალრადე).<sup>63</sup> **ლიახვი** არც ჰიდრონიმისა და არც, ზოგადად, ტოპონიმის რომელიმე მაწარმოებლით გაფორმებული არ არის<sup>64</sup> (გამრეკელი 1958, 55). ამის გამო საჭიროდ მიუჩნევიათ მისი სხვა ენის საფუძველზე გააზრიანება და ახსნა. ვ.გამრეკელი ამგვარად შლის **ლიახვს**: „ლია (< **ლუო**, **ლოა** – თოვლი) და **ხუ** (< **ხი** – **წყალი** (მდინარე) ან **თოვლ-წყალი** ჩაჩნური (ნახური ენის საფუძველზე (იქვე).

ნ. ითონიშვილის მოსაზრებით, ლიახვის სახელწოდება წარმომდგარია **ლია** და **ხევიდან** – ე.ი. **ლიახევი**. რადგან მდინარე სათავეს იღებს როკის ხეობაში სბასა და მაყას შორის მდებარე ლიას მთიდან. ამ წყლის კალაპოტს ეწოდება ლიას ხევი, ლიას ხეობა, ლიახევი > ლიახვი (ითონიშვილი 2002, 162).

ზ. ჭუმბურიძე თვლის, რომ ლიახვი შეიძლება ქართველური ენების მიხედვით აიხსნას. სახელდობრ, ლი-ლექუ და ლი-ლხუე სვანურად ყინულის დნობას, ლხობას ნიშნავს. შესაძლებელია, მასთან კავშირში იყოს თვით ლხობა ზმნის ძირიც (ლხუ-ება, ლლუ-ება) (ჭუმბურიძე 1982, 203).

---

<sup>63</sup> იხ. ვ. მალრადე, „ლექურა“ და „ლიახვი“, კრებ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, VI, „მეცნიერება“, გვ. 134-137, 1997, თბ.

<sup>64</sup> **ლიახვის** სახელწოდების წარმოშობას ვ. გამრეკელი ძვ. წ. საუკუნეებს მიაკუთვნებს. აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევს ის ფაქტი, რომ მდინარე არაგვის სახელი ფორმით **არაგო** დამოწმებულია ანტიკურ წყაროებში უკვე პირველ საუკუნეებში ახ. წ. ანალოგიით **ლიახუც**, ასკვნის მეცნიერი, **არაგოა**ზე უფრო ხნიერი თუ არა, არც უფრო ახალგაზრდააო. ეს მოსაზრება ამართლებს **ლიახვის** მაწარმოებლებით გაუფორმებელ სახეს.



აქვე დავუმატებდით, რომ ჩაჩნურად სინტაგმა თოვლის წყალი **ლიხი-დ** გამოითქმის. შეიძლება ქართული ენიდან ჩაჩნურში გასვლისას სიტყვამ სახეცვლილება განიცადა, მითუმეტეს, მსგავსი შემთხვევა ხშირია. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ **ლია-ხვ**-ის პირველი კომპონენტი **ლია** ფართოდ არის გავრცელებული ქართულ ენასა და მის დიალექტებში: **ლია** – ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ახსნილია – 1. ლამი, საფლობი, ტალახი; 2. მოვარდნილი ან მიშვებული წყლის ღვარი ან გუბე (ქეგლ 1986). ნ. და დ. ჩუბინაშვილებთან – ლამს, ტალახს, საფლობს ანუ იმავე ლიამბალს ნიშნავს (ნ. ჩუბინაშვილი 1961, დ. ჩუბინაშვილი 1984); მეგრულში – ლამი ანუ საფლობი, ტალახია (თ. სახოკია 1979); აღ. ნეიმანთან **ლია** ჭაობის, ჭანჭაობის, ლამპილას, ოლეს, საფლობის, ბლანტის, ჭყანტობის, ჭყანტეს, უყეს სინონიმია (აღ. ნეიმანი 1978); ფშაურ დიალექტში – დატბორილ წყალს; მესხურში – გუბეს, ტბორს; ქიზიყურში – დაღვრილ წყალს, ღვარს აღნიშნავს (აღ. ღლონტი 1984). იმავე ქართულურში **ლია-ლიად** – გუბე-გუბედ დამდგარ წყალზე მიუთითებს (ქდლ 8). **ლიანქერი** ნ. და დ. ჩუბინაშვილებთან დამდგარი თოვლის ნადენ ღვარს ეწოდება. ლეჩხუმურ დიალექტში **ლიადვი** მომატებულ, ამღვრეულ მდინარეს ნიშნავს (აღ. ღლონტი 1984), რაც სწორედ ლიახვის დამახასიათებელი თვისებაა. სიტყვის მეორე ნაწილი **ღვ** – **ღვ-არ** (ნიაღვარი, დაღვრილი) ძირად გვესახება; **ლია-ღვ**-ი → **ლია-ხვ**-ი. მეღერი **ღ**-ს **ხ**-დ გადასვლა ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა. ქართლური დიალექტის მიმოხილვისას თ. სახოკია **ღ** > **ხ** პროცესს ბუნებრივად არ მიიჩნევს. აღნიშნავს, რომ აღმოსავლური კილოებისათვის ასეთი მაგალითები საერთოდ არ არის დამახასიათებელი, უჩვეულოა ქართლურისათვისაც და აქვს შემთხვევითი ხასიათი (გრ. იმნაიშვილი 1974, 185). შეიძლება, მაკროტოპონიმიაში არ იყოს დადასტურებული, მაგრამ ამგვარი პროცესები მაინც გვხვდება ქართლურ დიალექტში. თუ დავიმოწმებთ მიკროტოპონიმებსაც: **ხეთიშობელი** (სს. გომი, ზენადრისი, ლამისყანა, მრგვალი ჭალა, ქვემოჭალა), **ხეთიშობლისკაკალი** (ს.ოკამი), **ხეთიშობლისმიწები** (ს.საკორინთლო), **ხეთიშობლისნიში**, **ხეთიშობლისქედი** (ს.იგოეთი), ლავრისხევის**ხეთიშობელი** (ს.თელადგორი). **ღ** ბგერის დაყრუების გზით **ხ**-ში გადასვლის ფაქტს ადასტურებს ბ. ჯორბენამეც (ჯორბენამე 1989),

202). ზემოთ მოყვანილი ფაქტები და ვარაუდები, ჩვენი აზრით, გვაძლევს **ლიახვისა** და **ლუხურის** ქართულ ნიადაგზე გააზრინების უფლებას და საფუძველს აცლის მათი ერთი სახელიდან წარმოშობასა და იდენტიფიკაციას (მაღრაძე 1997, 137), მით უმეტეს, ჩაჩნური ენიდან **ლიახვის** წარმომავლობის მტკიცებას.

გ) **-ალა** და **-ელა** მაწარმოებლებს ზოგი მკვლევარი ჰიდროფორმანტებად მიიჩნევს. კასპის რეგიონში ისინი თითქმის არ გვხვდება. მაგ., ჩახრი-**ალა** – ჩანჩქერი (ს. თელადგორი), საბანაო (სს. გომი, იგოეთი), წყარო (ს. დოესი); ჩახრი-**ელა** – ჩანჩქერი (სს. თვალადი, ნოსტე); საკმი-**ელა** – წყარო (სს. ბორტა, მეტეხი).

**-ურა**, **-ალა** და **-ელა** სუფიქსები ტოპოფორმანტებსაც აწარმოებს (იხ. პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სახელები).

ჰიდრონიმთა დიდი ნაწილი მიღებულია სიტყვათშეერთების გზით, რომელიც გრამატიკულად შეთანხმებული და მართული მსაზღვრელისა და საზღვრულისაგან მიიღება. ორივე მოდელი პროდუქტიული ყოფილა ისტორიულად. ჰიდრონიმთა ახლანდელ ნომენკლატურაში გამოიყოფა ორი ფენა: უძველესი და გვიანდელი. უძველესად უნდა იქნეს მიჩნეული პოსტპოზიციური წყობა – საზღვრულ-მსაზღვრელი. ეს წარმოება ძველად უფრო ყოფილა გავრცელებული, ვიდრე დღესაა. შეთანხმებული და მართული მსაზღვრელ-საზღვრული უფრო გვიანდელი მოდელი უნდა იყოს. როგორც გაანალიზებული მასალა გვიჩვენებს, საზღვრულ-მსაზღვრელის ორიოდე მაგალითიდაა შემორჩენილი: **ხეხმელა** (ს. გრაკალი), **ხეხმელა** (ს. ხოვლე), **რუსხმული** (სს. თვალადი, ქვემოჭალა, წინარეხი)...

საკმაოდ ხშირია ატრიბუტული მსაზღვრელით ნაწარმოები ჰიდრონიმები: **შავწყალა**, **ჯუარაგზა**, **მოკაკული** რუ, **წაბლარუ**, **ქვედარუ**, **ცივი წყალი**, **მლაშეწყალი**, **დამპალი წყარო**, **პატარაწყარო**, **დამშრალი წყარო**, **მზვარეწყარო**, **ზედაარხი**, **ცენტრალური არხი**...

როგორც მსაზღვრელ-საზღვრულიან ტოპონიმებთან დაკავშირებით ითქვა, რომ გაბატონებული ადგილი მაინც მართულ მსაზღვრელს უჭირავს ჰიდრონიმებშიც: **კუსწყარო**, **ზენადრისისწყარო**, **თეთრათხევისწყარო**, **წვერისწყარო**, **აბაზასწყარო**, **ზეთი(ს)წყარო**,

ფერდი(ს)წყარო; კოდისრუ, კოშკისრუ, სიონისრუ, თეზისრუ, ფშა-ტი(ს)რუ; მილისწყალი, ლავრისწყალი; საფქვავისტბა, ხოდაშენის-ტბა; იგოეთისარხი, შუაუბნისარხი, ტირიფონასარხი; ნაბახტევიან-თქა; ნადარბაზევისღელე, აბრმიანთღელე...

ჰიდრონიმების შედგენაში მონაწილეობს როგორც ზედსართავი და არსებითი სახელები, ისე მიმღობები: **სარწყავი** არხი, **სარწყავი** რუ, **კენჭიყარასწყარო**, **წაგლეჯილნერგისწყარო**, **მდგნარისწყარო**...

კომპოზიციური ჰიდრონიმები გვხვდება, თუმცა ნაკლებად, პოსტპოზიციური წყობითაც: **რუსხმული** (მეტათეზისით: **ლურსხმული**), **ხეხმელა**...

## 2. ფლორის აღმნიშვნელი სახელები

არანაკლებ გავრცელებულია საკვლევ რეგიონში ფლორასთან დაკავშირებული ტოპონიმები. მცენარეთა სახელები ან მათი ერთობლიობის აღმნიშვნელი სახელები ხშირად წარმოადგენს გეოგრაფიულ საკუთარ სახელწოდებებს.

მცენარეული საფარიდან ყველაზე ხშირად ხეთა სახელები გვხვდება ტოპონიმებად. ეს გამოწვეული უნდა იყოს, უმთავრესად, იმით, რომ ცალკეული ხე, ხეთა ჯგუფი თუ ერთგვაროვანი ჯიშის ტყე მკვეთრი საორიენტაციო ნიშანია მიწის ზედაპირზე. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა ხე ან ტყე უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს, ადგილს კი, მათი სახელები შერჩენია. მაგ., კასპის რეგიონის ტოპონიმები თუხარლიანთ**ტყე** (ს. საკორინთლო) და მრგვალი **ტყე** (ს. ზენადრისი) ამჟამად მინდვრების სახელებია, **თელა** (ს.გომი) – ვენახებისა, **თელეები** (ს.ახალციხე) – სახნავისა...

ტყეების აღსანიშნავად მეტწილ შემთხვევაში გვხვდება ისეთი ტოპონიმები, რომელთა ამოსავლად თვით იმ ხემცენარის სახელი, რომელიც ამ ტყეში იზრდება. მაგ., **თელიანვაკე**, **წიფლიწყარო**, **რცხილიანი**, **მუხიანი** (ყველა სახელი ტყის აღმნიშვნელია)... მაგრამ ტყეების სახელთა შორის გვხვდება სხვა რიგის სახელებიც. მათგან ყველაზე ტიპური და მრავალრიცხოვანია კომპოზიციური, მსაზღვრელ-საზღვრულის სტრუქტურის მქონე სახელები. საზღვრულად ამ სახე-

ლებში, ჩვეულებრივ, გამოდის აპელატივი **ტყე**, ხოლო მსაზღვრელად შეიძლება იყოს როგორც ატრიბუტული, ისე მართული მსაზღვრელი.

ატრიბუტულ მსაზღვრელად გვხვდება ზედსართავი, მიმღობა და, იშვიათად, არსებითი სახელიც: **შავი ტყე**, **მრგვალი ტყე**, **მაღალი ტყე**, **შეკრული ტყე**, **ბარდიანი ტყე**, **რიყიანი ტყე**, **ჩოხიანი ტყე**, **გამოწეული ტყე**, **ფერდატყე**, **ქოჩოჩატყე**, **მზვარეტყე**, **საამილახვროტყე**... მართულ მსაზღვრელად გვხვდება როგორც აპელატივი ისე ტოპონიმი: **ხარიჭამიასტყე**, **სოსიასტყე**, **მზვარესტყე**, **სანალოესტყე**, **ნერგებისტყე**, **საკირეებისტყე**, **ყვავილებისტყე**, **სამებისტყე**, **ერთაწმინდისტყე**, **ცხირეთისტყე**, **მაღალანთტყე**, **ნანიანთტყე**...

კასპის მიკროტოპონიმიაში ხშირია -იან სუფიქსით ნაწარმოები სახელები.

-იან ყოლა-ქონების მორფემა, ტოპონიმებში ამა თუ იმ საგნის, ნივთის, ადგილის, მცენარის, ცხოველის ყოლა-ქონებას გვიჩვენებს (შანიძე 1978, 122-123; ჯანაშია 1959, 43-45). თუმცა, -იან ბოლოსართი აქტიურად აწარმოებს ტოპონიმებს მცენარეთა სახელებიდანაც. -იან სუფიქსი საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში მცენარეთა სახელებისაგან ან მცენარულით დაფარული მიწების გარკვეულ მონაკვეთზე მიუთითებს. მაგალითად, რცხილ-იანი-ი, ფიჭვ-იანი-ი, მუხ-იანი-ი, პანტ-იანი-ი, ძეძვ-იანი-ი, შავრცხილ-იანი-ი, კაკლ-იანი-ი, ნაძვ-იანი-ი, თუთ-იანი-ი, ტყემლ-იანი-ი, ურთხლ-იანი-ი, ვაშლ-იანი-ი, ვერხვ-იანი-ი...

-იან სუფიქსის დართვის შედეგად ტოპონიმები მიიღება სხვადასხვა ბალახეულის სახელწოდებებისაგანაც: **ჭინჭრ-იანი-ი**...

ზოგ რთულ ტოპონიმს ჩამოცილებული აქვს საზღვრული სიტყვა – ტყე და დარჩენილია მხოლოდ მსაზღვრელი: **ნაძვიანი**, **ფიჭვიანი**, **თელიანი**, **მუხიანი**, **შვინდიანი**, **თხმელმუხიანი**, **რცხილიანი**...

გარდა -იან სუფიქსისა, საანალიზო რეგიონში გვხვდება-ნარ-იანი წარმოებაც. ამ სუფიქსის ფუნქცია სპეციფიკურია: იგი, ჩვეულებრივ, აწარმოებს ხეთა კრებულის აღმნიშვნელ სახელებს. კასპის რეგიონის ტოპონიმიაში მრავლადაა ამგვარი წარმოების მაგალითი: **ფიჭვ-ნარ-ი**, **ნაძვ-ნარ-ი**, **ვაშლ-ნარ-ი**, **მუხ-ნარ-ი**, **სხალ-ნარ-ი** (<- მსხალ-ნარ-ი), **წიფ-ნარ-ი** (<- წიფლ-ნარ-ი), **რცხილ-ნარ-ი**, **ძეძვ-ნარ-ი**, **ჯაგ-ნარ-ი**, **ძეძვ-ნარ-ეები**...

აღსანიშნავია, რომ **-ნარ** სუფიქსი საანალიზო რეგიონში მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელ სახელთა გარდა, სხვა ობიექტების სახელწოდებებს არ აწარმოებს.

მ. ჩიქოვანს ლექსუმის ტოპონიმიკურ სახელთა მიმოხილვისას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ: „არ//ალ-ს -ნარ ენაცვლება: წაბლნარი//წაბნარი“... (ჩიქოვანი 1949, 234).

ჩვენი აზრით, **-არ//ალ** ფორმანტები კი არ ენაცვლება **-ნარ** სუფიქსს, არამედ ისინი ამ უკანასკნელის გაცვეთის შედეგადაა მიღებული. კბილისმიერ ბგერასთან მეზობლობაში სონორი **-წ** დაიკარგა და დარჩა **-არ**. ამის დადასტურებაა ტოპონიმი შინდ-**არ**-ებ-ი (ს. ზემოჩოჩეთი).

მაგრამ საინტერესოა, რომ მ. ჩიქოვანის მაგალითები სწორედ ჩვენს მოსაზრებას უჭერს მხარს. **წაბლნარმა** ერთ შემთხვევაში მოგვცა **წაბლარი**, ხოლო მეორეში **წაბნარი**. ეს კი იმის მტკიცების აშკარა საფუძველს გვაძლევს, რომ ფორმანტისეული სონორი **წ** იკარგება არა მარტო კბილისმიერი **დ**-ს შემდეგ, არამედ სონორთან (ამ შემთხვევაში ნუნისმიერ **ლ**-ს) მეზობლობაშიც. მოვლენა დასტურდება, როდესაც თავს მოიყრის სამი თანხმოვანი. (მაგ., **თხილნარში წ**-ს ჩავარდნა არ დასტურდება).

როგორც ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, **-იან** და **-ნარ** სუფიქსების საწარმოქმნო ძალა აშკარად არათანაბარია. **-იან** სუფიქსი საგრძნობლად სჭარბობს **-ნარ** სუფიქსს.

**-იან** სუფიქსის გავრცელებულობა სავარაუდებელს ხდიდა, რომ ამ ფორმანტს იგივე ფუძეები დაირთავდა, რომლებთანაც **-ნარ** სუფიქსი გვხვდებოდა მართლაც, შდრ.: ფიჭვ-**ნარ**-ი (ს. გუდალეტი) – ფიჭვ-**იან**-ი (სს. გუდალეტი, კავთისხევი, ლავრისხევი, ნოსტე, ჭყოპიანი, ცხირეთი) (**-ნარ** და **-იან** სუფიქსები შეფარდება 1:6-სთან); ნამვ-**ნარ**-ი (სს. ლავრისხევი, ქვემოჭალა) – ნამვ-**იან**-ი (სს. გუდალეტი, ქვემოჭალა, ცხავერი) (სუფიქსების შეფარდება – 2:3); ძემვ-**ნარ**-ეები (ს. თვალადი) – ძემვ-**იან**-ი (სს. გორაკა, ზენადრისი, პანტიანი, სამთავისი, ქვემოჭალა, ყარაფილა) (სუფიქსების შეფარდება – 1:7).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ორი აფიქსის გამოყენება ერთმანეთის დაპირისპირების, ტერიტორიების გამოიჯვანის მიზნით

არ ხდება, რადგან გარდა ორი შემთხვევისა, ეს დუბლეტები ერთსა და იმავე სოფელში არ დასტურდება.

მრავლობითის **-ებ** ფორმანტი **-იან** სუფიქსთან ერთად უტოლდება კრებითობის გამომხატველ **-ნარ**-ს (ძნელაძე 1981, 119). საინტრესოა, რომ **-იან** სუფიქსი **-ებ**-ს კი არ დაერთვის, არამედ, პირიქით, **-ებ** სუფიქსი ემატება **-იან**-ს. მაგ., ჯაგ-**იან**-ებ-ი, გრაკლი**ან**-ებ-ი, თუთ-**იან**-ებ-ი, ძემვ-**იან**-ებ-ი, ავშნ-**იან**-ებ-ი...

ხეებისა და მცენარეების სახელწოდებებს აქვს მიდრეკილება მრავლობითი რიცხვის წარმოებისადმი, მაგრამ ამასთანავე, ავლენენ მრავლობითის განსხვავებულ მაჩვენებლებს.

არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ **-ონ** (**-ონ-ა**) სუფიქსი აღნიშნავს ადგილს, სადაც რაიმე მცენარე ხარობს. მეგრულში ამ **-ონ** სუფიქსს ფართო გავრცელება უნდა ჰქონოდა. საკუთარ სახელებში მისი ხმარება ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს (ჩიქობავა 1926, 306-309).

კასპის რეგიონში **-ონ** სუფიქსზე დაბოლოებული, მცენარეთა მიმანიშნებლად, ერთადერთი ტოპონიმი გვხვდება – **ტირიფ-ონ-ა**.

სახელწოდება **ტირიფონა** უკავშირდება მცენარეს – **ტირიფს** და იწინავეს „**ტირიფნარს**“, „**ტირიფიანს**“.

**-ონ(ა)** სუფიქსი ძალზე გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში. აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიამში იგი მეტად იშვიათი მოვლენაა.

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ეს **-ონ** მართლა რომ ჭანური სუფიქსი ყოფილიყო, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ ან ჭანები ქართლში, კერძოდ, **ტირიფონასველზე**, ცხოვრობდნენ, რაც წყაროებით არ მტკიცდება ან, რომ **ოვან** სუფიქსი **ონ** სუფიქსად ჯერ კიდევ უძველეს ხანაში იქცა, რისი დამადასტურებელი საბუთებიც არ მოგვეპოვება, ჯერჯერობით მაინც.

**-ონ** სუფიქსის არსებობას ქართლში მხარს უჭერს თავად ივ. ჯავახიშვილი, როდესაც ვარაუდობს, რომ ტოპონიმი **რკონ**-ი უკავშირდება **რკოს** (<**გრკო**)-ს: „გრკო < გრკონ და -ონ სუფიქსია: გრკ-ონ (ჩიქობავა 1942, 19).

„ჭანურ -ონ სუფიქსის მაგივრობას ქართულში ეწევა უმთავრესად -იან და -იერ, იშვიათად: -ოვან, -ოსან“... (ჩიქობავა 1926, 305).

-იან სუფიქსის შესახებ საუბარი უკვე გვექონდა. რაც შეეხება -იერ და -ოსან სუფიქსებს, კასპის რეგიონში ფლორის მაწარმოებლად მათი გამოყენების არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება.

-ოვან ბოლოსართი თუ კრებითობის სემანტიკის მიმანიშნებელია, სახელდობრ, მიუთითებს, რომელი ადგილი რა მცენარეული საფარით არის დაფარული.

„მე-V-VII სს. ძეგლებში, დაბადების ქართულ თარგმანში ლელვის ბაღს „ლელოვანი, ზეთისხილისას ზეთისხილოვანი“ და ვაზის ბაღს „ვენახოვანი“ ეწოდება“ (ივ. ჯავახიშვილი 1945, 102-103).

კასპის რეგიონის ტოპონიმიში -ოვან სუფიქსი შედარებით იშვიათია. მაგ., ტყემლოვანი, ტყემლოვანა (სოფლები).

განსაკუთრებით საინტერესოა ნა-, სა- პრეფიქსებთან მცენარეთა სახელების შეხამებითი უნარი: ნათესი კულტურების აღმნიშვნელ სახელებთან -ნა, აგრეთვე სა- პრეფიქსები, ბუნებრივია: **ნაიონჯარი, ნაქერალი, ნასელარი**. მაგრამ იგივე სუფიქსები არ იხმარება არაკულტურული მცენარეების აღმნიშვნელ სახელებთან (მაგ., არა გვაქვს ნაწიფლარი, ნარცხილარი, ნაწაბლარი...) (შ.აფრიდონიძე, ფ.მაკალათია 1980).

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, თუმცა შედარებით იშვიათად, ნა- პრეფიქსი გვხვდება არაკულტურული მცენარეების აღმნიშვნელ სახელებთანაც, ოღონდ გარკვეული სუფიქსების დართვით: ნა-მუხ-რ-ებ-ი, ნა-ტყ-ევ-არ-ი...

რაც შეეხება კულტურული მცენარეების სახელებისაგან წარმომდგარ ტოპონიმებს, ისინი მართლაც მრავლად გვხვდება. მათ აწარმოებს ნა- პრეფიქსი, რომელიც ყოველთვის ეხამება -არ/ალ სუფიქსებს: ნა-სელ-არ-ი, ნა-სიმინდ-არ-ი, ნა-კარტოფილ-არ-ი, ნა-ხახვ-არ-ი, ნა-ცერცვ-ალ-ი, ჩიხლაძისეული-ნა-კარტოფილ-არ-ი, სიდოსნა-ბოსტნ-არ-ი, ნა-ქერ-ალ-ი, ნიკოსნა-ქერ-ალ-ი და მისთ.

### 3. საკრალური ტოპონიმები

სხვადასხვა სემანტიკურ ფენას შორის თითქმის ყველა ქვეყნის გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა ერთი ფენა, რომელიც აერთიანებს ამა თუ იმ ხალხის რელიგიური შეხედულებებისა და წეს-ჩვეულებათა ამსახველ გეოგრაფიულ სახელებს – ე. წ. საკულტო ტოპონიმებს.

ქართლში, ისევე, როგორც საქართველოში, საკმაოდ გავრცელებულია რელიგიურ – ძირითადად ქრისტიანულ რწმენასთან დაკავშირებული საკულტო წმინდა ადგილები, ე. წ. აგიონიმები, რომელთა სახელები ტოპონიმებადაა დამკვიდრებული. აქვე მოსახსენიებელია ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების სახელწოდებები, თუმცა, საკუთრივ ტოპონიმებისაგან ისინი, ბუნებრივია, განსხვავდება. საკრალური ტოპონიმები კასპის რეგიონის მიკროტოპონიმიაში ხშირად გვხვდება.

სიხშირის თვალსაზრისით, გამოირჩევა წმინდა გიორგის სახელობის სალოცავები და ეკლესიები (ვ. მაღრაძე 2000, 122-127).<sup>65</sup>

ივ. ჯავახიშვილის დასაბუთებით, ქართველთა წარმოდგენაში ღვთაებათა შორის „წმინდა გიორგის პირველი ადგილი უკავია და ყველაზე უფროსად ითვლება“ (ივ. ჯავახიშვილი 1961, 88).<sup>66</sup> მას ქართველთა რწმენაში წარმართობის დროინდელი უზენაესი ღვთაების – მთვარის ადგილი უკავია. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში „არ არიან ბორცუნი და მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდის გიორგისანი“ (ივ. ჯავახიშვილი, იქვე).

---

<sup>65</sup> იხ. ვ. მაღრაძე, „საკრალური ტოპონიმები (კასპის რაიონის ტოპონიმიაში)“, ფონეტიკა და ნორმა, თბ., ილია ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახ. უნივერსიტეტი გვ.122-127, 2000, თბ.

<sup>66</sup> ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს აგრეთვე XIV-XV სს. გერმანელ მოგზაურ ჰანს შლიტბერგერს, რომლის გადმოცემით, ქართველები დიდ თავყანას სცემდნენ წმინდა გიორგის.



საყურადღებოა ის გარემოება, რომ მრავალზე მრავალი უმთავრესი ეკლესია და რელიგიური დღეობა საქართველოში წმინდა გიორგის სახელობაზეა. შემთხვევით არ უნდა იყოს შექმნილი პოპულარული გადმოცემა, რომლის მიხედვით საქართველოში წმინდა გიორგის იმდენი ეკლესიაა, რამდენიც დღე წელიწადშიო. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ კასპის რეგიონში (ს. ზემოჩოჩეთი) დადასტურებულია სალოცავი – „363 წმინდა გიორგის“ სახელწოდებით.

ამდენადვე გასაგებია, თუ რატომ არის, რომ არა მარტო საკვლევ რეგიონში, არამედ მთელს საქართველოში ასე გავრცელებულია წმინდა გიორგის კულტი. გვხვდება სულ 67 სახელწოდება შემდეგი ობიექტებისა: გორაკი, სალოცავი, ხატი, ნიში, ეკლესია, საყდარი... **წმინდა გიორგი** ხან მსაზღვრელდართულია, ხანაც საზღვრულის გარეშე გვხვდება. მაგ.: **წმინდაგიორგი** – ეკლესია (სს. ახალქალაქი, ახალშენა, გომი, გრაკალი, გუდალეთი, თეზი, ლამისყანა, ქვემოქალა, ქვემოხანდაკი, ყარაღაჯი); სალოცავი (სს. გორაკა, ხვითი...); საყდარი (ს. კავთისხევი...); ნიში (სს. ბარნაბიანთკარი, თვალადი).

ეს სახელწოდება გვხვდება გავრცობილი სახითაც – საზღვრულის დართვით: **წმინდაგიორგისბოგირი** (ს.ყარაღაჯი), **წმინდაგიორგისგორა** (სს. პანტიანი, ქვემოქალა), **წმინდაგიორგისეკლესია** (სს. ზემოჩოჩეთი, თეზი, მეტეხი, ცხავერი...), **წმინდაგიორგისხატი** (სს. ბოჟამი, გუდალეთი...), **წმინდაგიორგისტყე** (სს. გორაკა, საკორინთლო, ხვითი, ხოვლე)...

**წმინდა გიორგი** შესიტყვებაში მართულ მსაზღვრელად გვევლინება და სხვადასხვა სახის საზღვრულს ეხამება. გვხვდება როგორც ბუნებრივი ობიექტების აღმნიშვნელ სახელებთან (**წმინდაგიორგისფერდა**, **წმინდაგიორგისწვერი**, **წმინდაგიორგისქედი**...), ისე ხელოვნური ობიექტების აღმნიშვნელ აპელატივებთან (**წმინდაგიორგისსაყდარი**, **წმინდაგიორგისხატი**, **წმინდაგიორგისეკლესია**...).

**წმინდაგიორგი** (**ვასტერჯი**) გვხვდება ოსურ ტოპონიმებშიც. მაგ.: **წერივასტერჯი/წმინდაგიორგისგორა** (ს. პანტიანი), **ვასტერჯი** – სალოცავი (ს. ნიგოზა), **მეტეხივასტერჯი/მეტეხისწმინდაგიორგი** (ს. პანტიანი).

მეორე ადგილი გავრცელებულობით **ღვთიშობელს** (**ხვთიშობელი**) უჭირავს. იგი დასტურდება როგორც დამოუკიდებლად (30-

ჯერ), ასევე მართულ მსაზღვრელადაც (32-ჯერ). ამ შემთხვევაშიც ფართოა კომბინატორულ შესაძლებლობათა დიაპაზონი: გვხვდება როგორც ბუნებრივი ობიექტების **ღვთიშობლისხატი, ღვთიშობლისტყე, ღვთიშობლისქედი, ღვთიშობლისფერდა, ღვთიშობლისწყარო...**), ასევე ხელოვნურ ობიექტთა აღმნიშვნელ სახელებთან (**ღვთიშობლისეკლესია, ხვთიშობლისკოშკი, ხვთიშობლისნიში...**).

ოსურში ქართული ფორმითაა შესული **ღვთიშობელი**, ოღონდ რამდენადმე სახეცვლილი დიალექტური ფორმით: **ხთიშობელიმაფანდაგი** – ღვთიშობლის გზა (ს. ზენადრისი).

გავრცელებულობის მიხედვით შემდეგი ადგილი **სამებას** უჭირავს (სულ 21 ტოპონიმია). გვხვდება დამოუკიდებლად და სიტყვათშეხამებაშიც. მაგ.: **სამება** – სალოცავი (ს. ხვითი), საყდარი (ქ. კასპი, სს. ზემორენე, ნოსტე), ეკლესია, სათიბი (ს. ერთაწმინდა), ტყე (ს. იგოეთი), **სამებისგორა** (ს. ხვითი), **სამებისეკლესია** (ს. ახალციხე, ქვემოჩხეთი), **სამებისნიში** (სს. ზემოხანდაკი, თვალადი), **სამებისწყარო** (ს. ერთაწმინდა)...

გვხვდება სხვა თეონიმური წარმოშობის ტოპონიმებიც, თუმცა, საგრძნობლად შეზღუდული რაოდენობით. მაგ., **ელია** – ნიში (ს. თვალადი), სალოცავი (ს. ზენადრისი) – მთა (ს. ხვითი), სასაფლაო (ს. იდლეთი), **ელიამუხა** – საბანაო (ს. ლამისყანა), **ელიაქედი // ელიასქედი** (სს. კოდისწყარო, ქვემოჭალა), **ელიასმთა** (ს. ხვითი), **ელიასნიში** (სს. კოდისწყარო, ქვემოჭალა), **ელიასსალოცავი // ელიასნიში** (ს. კოდისწყარო), **ელიასწყარო** (ს. კოდისწყარო), **ელიაგორა** – მთა (ს. კავთისხევი).

„ელია წინასწარმეტყველი წარმართული ხანის ღვთაებაა. იგი ტაროსისა და ავდრის, წვიმა-სეტყვის მბრძანებელია“ (ივ. ჯავახიშვილი 1979, 83). საფიქრებელია, რომ ამ თეონიმით სახელდებული სალოცავების პოპულარობისათვის დიდად უნდა შეეწყოს ხელი ღვთაების „სამეურნეო“ დანიშნულებასაც.

მეტ-ნაკლებადაა გავრცელებული შემდეგი სახელები: საკრალური ტოპონიმები – როგორც წესი, ქრისტიანული ცნებებისა და პერსონაჟების სახელთა გამოყენებით. **ამალღებანიში** – საყდარი (ს. მეტეხი), **ანგელოზებისნიში** (ს. თემისხევი), **ანგელოზებისსალოცავი**

(ს. ჭყოპიანი), **ზედაჯვარი** – სათიბები ((სს. ახალციხე, გარიყულა, ერთაწმინდა), **ნათლისმცემელი** – ტყე (ს. ცხავერი), **ჯვრისტყე** – მთა (ს. ქვემოჭალა), **ხატი** – საყდარი (ს. ლამისყანა), **წმინდანინოსეკლესია** (ს. მირიანი), **წმინდამარინე** – ეკლესია (სს. გუდალეტი, ზემოჩოჩეთი, ქვემოჭალა), **მთავარანგელოზისეკლესია** – სალოცავი (ქ. კასპი, სს. ბარნაბიანთკარი, ქვემოხანდაკი), **მაცხოვარი** – სალოცავი მუხა (ს. საკორინთლო), **კვირაცხოველი** – ეკლესია, ნიში, (ს. ნიაბი)...

როგორც ჩამოთვლილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, საკრალური ტოპონიმის ძირითად ნაწილს ქრისტიანული შეხედულებების ამსახველი ტოპონიმები შეადგენს.

თეონიმური წარმოშობის რთული შედგენილობის მქონე სახელებისათვის, დამახასიათებელია პრეპოზიციური წყობა. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს, სადაც პრეპოზიციური კომპონენტია სიტყვა **ჯვარი**, პოსტპოზიციური კი – ატრიბუტული მსაზღვრელი. მაგ., **ჯვარდაბალი** – ეკლესია (ს. წინარეხი), **ჯვარდაბალისტყე** (ს. წინარეხი), **ჯვარიპატიოსანი** – ქვის ჯვარი (ს. თეზი), **ჯვარიპატიოსნისეკლესია**, **ჯვარიპატიოსნისსაყდარი** (ს. წინარეხი), **ჯვარიპატიოსნისკოშკი** (ს. ლამისყანა).

აქვე უნდა განვიხილოთ საკრალური რიცხვების შემცველი სახელები.

ცნობილია, რომ მსოფლიოს მრავალი ხალხის წარმოდგენაში გარკვეულ რიცხვებში საკრალური მნიშვნელობაა ჩადებული. რწმენა რიცხვთა „სიწმინდისა“, საკრალურობისა და მაგიურობის შესახებ ასტრალური მითოლოგიიდან მომდინარობს, ასტრალური რელიგიის საფუძველზეა შექმნილი. მიუთითებენ, რომ „ქართული ფოლკლორის მიხედვით წმინდა რიცხვებია 3, 7, 9“ (ბრეგამე 1969, 260). თუმცა, ამ მოსაზრებას ბოლომდე ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან ქართული ფოლკლორისა და მითოლოგიისათვის პრაქტიკულად უფრო დამახასიათებელია საკრალური რიცხვი **ცხრა**. ქართულ ზღაპრებში ხშირად მოიხსენიება შესიტყვება ცხრა მთა.<sup>67</sup>

---

<sup>67</sup> მაგ., „ბევრი იარა თუ ცოტა იარა, **ცხრა** მთა გადაიარა, **ცხრა** ტყე გაკვეთა, **ცხრა** მინდორი გადათელა...“ (ქართული ხალხური ზღაპრები, გვ. 495, 1977.); „**ცხრა** მთას იქით... უკვდავებს წყაროა...“ (იქვე, გვ. 609); „რამა ერთ წაშში გადაიქროლა **ცხრა**

ცხრა სიტყვით შედგენილი სახელები მრავლად გვხვდება ქართულ ტოპონიმიაშიც. მაგ., **ცხრამუხა** (ხაშურის მუნიციპ-ში), **ცხრაფონა** (ქობულეთის მუნიციპ-ში), **ცხრაწყარო** (ზესტაფონის მუნიციპ-ში), **ჩხოროწყუ** (= მეგრ. **ცხრა** წყარო, ჩხოროწყუს მუნიციპ-ში)...

ასევე მრავლადაა რიცხვითი სახელი **ცხრა** მსაზღვრელ კომპონენტად კასპის ტოპონიმიაშიც: **ცხრაბალი** – სახნავი (ს. ლამისყანა), **ცხრაფერდა** (ს. ახალციხე), **ცხრამუხები** – ბაღი (სს. ახალშენა, ქვემოჭალა), **ცხრამუხები** – სამოვარი (ს. საკორინთლო), **ცხრამუხებისმიწა** – მიწდორი (ს. ქვემოჭალა), **ცხრამუხებისმიწები** – ბაღები (ს. ახალშენა)... იშვიათად სიტყვა **ცხრა** გვხვდება ნაწარმოებ ტოპონიმებში. მაგ., **ცხრიანი** – სახნავი (ს. ჩანგილარი).

მრავლად გვხვდება აგრეთვე **სამ** რიცხვის შემცველი ტოპონიმები: **სამგზები** (ს. წინარეხი), **სამგორი** (ს. ახალციხე), **სამგორეები** (ს. გომი), **სამთელა**, **სამთელეები** – სახნავები (ს. ზემოჩოჩეთი), **სამთავისები** – ვენახი (ს. ჩობალაური).

სხვა რიცხვები იშვიათადაა გამოყენებული კასპის რეგიონის ტოპონიმიაში და თითქმის ყოველთვის რეალურ რაოდენობას ან რიგითობას აღნიშნავს. მაგ., **პირველართელისეული მიწები** (ს. ხოვლე), **მეორესაქადაგიანო** (ს. საქადაგიანო), **მესამეთარგი** (ს. ოკამი)...

საგულისხმოა, რომ მაგიური **შვიდ** სიტყვის გამოყენების არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება. ქართულ მითოლოგიაში **შვიდი** ინდოევროპული ენებიდან შემოტანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

#### 4. არაქართული წარმოების ტოპონიმები

ტოპონიმია, როგორც ამა თუ იმ ტერიტორიას მიჯაჭვული ლექსიკა, სხვა ტოპონიმებთან ერთად, იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ენობრივი კონტაქტების და უფრო ფართოდ – ამ ენებზე მეტყველი ხალხების ურთიერთობის შესახებ.

---

მთა...“ (იქვე, გვ. 656); „**ცხრა** დღე მიილია, **ცხრა** ღამე, გარსა ვერ მომირბენია“ („ამირანი“, გვ. 47, 1975.).

ქართულ ანდაზებში, ფრაზეოლოგიასა და ტოპონიმიაში **ცხრა** სიტყვის გამოყენების შესახებ იხ. თედო სახოკიას „რიცხვი ცხრა“ (ხელნაწერი).

კასპის რეგიონის ტოპონიმიაში ძირითადად ადგილობრივი, ქართული წარმოშობის სახელებია. ამ ცნებაში, ცხადია, იგულისხმება არა სახელთა ფუძეები, რომლებიც ნასესხებიც შეიძლება იყოს, არამედ მათი გაფორმება, რაც ძირითადად სიტყვაწარმოების შედეგად ხორციელდება, ამგვარი რამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნულ რეგიონში არ დასტურდება.

როგორც ნაშრომის შესავალში აღინიშნა, ოსებისა და აზერბაიჯანელების გარდა, თუმცა, სომხები და რუსებიც ცხოვრობენ, მაგრამ იმდენად მცირე რაოდენობით, რომ თავიანთი სოფლები არ გააჩნიათ და ამდენად ტოპონიმთა წარმოქმნაშიც, შეიძლება ითქვას, მათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ.

საკვლევი რეგიონის ოსურ და აზერბაიჯანულ სოფლებში ტოპონიმი უპირატესად იქმნება ორ ენაზე: ერთი – ადგილობრივი ენის, ხოლო მეორე – აქ ჩამოსახლებული ხალხის ენის საფუძველზე. გვხვდება არაერთი ტოპონიმი ქართული და ოსური პარალელური ვარიანტებით. მაგ., **თემისწყარო // თემოსუადონი** (ს.თვალადი), **შეკრული ტყე // ხიადგყედი** (ს. ქვემოჭალა), **მარდიანთგორა // მარდიითხანგი** (ს. ვაკე), **სამხედროებისმა // ბარზონზანგი** (ს. ქვემოჭალა), **თაფლიანი კლდე // მედეკაზაგი** (ს. ზენადრისი), **ხატისმიწა // ზვარხუმი** (ს. თვალადი), **მეტეხისწმინდაგიორგი // მეტეხივასტერჯი** (ს. პანტიანი) და ა.შ.

ამ შემთხვევაში უმეტესწილად ტოპონიმთა კალკირებასთან გვაქვს საქმე. კალკირება კი, ბუნებრივია, არსებითად რთული შედეგნილობის ტოპონიმებს შეეხება, რომელთაგან ითარგმნება ან ორივე კომპონენტი (მაგ., **მედეგიკაზახი** – „თაფლიანი კლდე“) ან ერთ-ერთი (მაგ., **კლდემაღალაციჩემაფანდაგი** – „კლდემაღალაციხისგზა“...).

შედარებით იშვიათია ოსური ტოპონიმები, რომლებსაც არ გააჩნიათ ქართული დუბლიკატი: **ბაჩაფანდაგი** – ბაჩას გზა, **ლექსოდსვადონი** – ლექსოს წყარო (ს. პანტიანი), **ლეკტემურა** – წმინდაგიორგის სალოცავი (ს. გამდლისწყარო), **ნაკვეთითამფანდაგი** – ნაკვეთის გზა (ს. ზენადრისი), **ახმაჯისცაგათი** – ახმადის ფერდობი (ს. თვალადი)...

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტოპონიმებით ოსები (შესაბამისად აზერბაიჯანელები) მხოლოდ ერთმანეთთან საუბრობენ, ქართველ

მოსახლეობასთან კი, ქართულ შესატყვისებს იყენებენ. ქართველებიც, ბუნებრივია, ქართულ ტოპონიმებს ხმარობენ.

„ქართულის გავლენა ოსურზე მნიშვნელოვანი და მრავალმხრივია“ (აბაევი 1949, 87). გარდა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო სიტყვებისა (ნაკვეთი, კლდე...), ოსურში შესულია აგრეთვე ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული ტერმინები. ოსური „ჯვარი“, სალოცავი“ (<ქართული žvari) (აბაევი იქვე).

ამავე აზრისაა ა. ცაგაევაც: „zuar святилище – ძუარ = ჯვარი“.

მსგავსი მაგალითები მრავლად გვხვდება: **სერხძუარი** // წითელი სალოცავი, **ხუეცუძუარი** – ღვთიშობელი (ს. მრგვალი ჭალა), **კუცხათეძუარი** – საყდარი, ნიში (ს.ნიგოზა), **ძუარი** – ნიში, სალოცავი (ს.ზენადრისი), **ხასტაგძუარი** – საყდარი (ს.ნიგოზა), **ნახიძუარი** – სალოცავი (ს.ზენადრისი), **სირხუძუარი** – წითელას სალოცავი (ს.ნიგოზა)...

კიდევ უფრო ღარიბია აზერბაიჯანული ტოპონიმია. ნაწილი ამ მასალისა ორენოვან სახელწოდებებს წარმოადგენს. მაგ., **იაგორანქილისა** // იაგორასეკლესია, **ბოძჰარანი** // ჭიანურა, **ასკარინგუიესუ** // ასკარასჰა (ს. ფერმა), **ფირინდარასე** // ფირისხევი (ს. ჩანგილარი), **ბალიგაია** // თაფლიანი კლდე (ს. ხიდისყური).

არის მხოლოდ აზერბაიჯანული ტოპონიმებიც: **აჩხალენდარასე** – ხევი (ს. ჩანგილარი), **თურდანი** – მორევი (ს. ფერმა), **ფერინარდი** – სამოვარი (ს. ხიდისყური), **ალენჩანთალა** – მინდორი, **აღამამადინიერი** – მინდორი (ს. ფერმა), **იათალინდარასე** – ხევი (ს. ჩანგილარი), **კარაქანთლი** – ვენახი (ს. ფერმა)...

მაგრამ ამ ტოპონიმთა საერთო რაოდენობა, ისევე როგორც თვითონ ამ ტოპონიმთა გამომყენებელი მოსახლეობა, საკმაოდ მცირერიცხოვანია. აზერბაიჯანელები აქ არცთუ დიდი ხნის წინ გადმოსახლდნენ და, ვინაიდან ისინი საურთიერთო ენად ქართულს იყენებენ, უპირატესობაც ძირითადად ქართულ გეოგრაფიულ სახელებს ენიჭება.

## თქმულებები, გადმოცემები, ცალკეულ ტოპონიმთა ისტორიები

### ახალშენა

სოფელი ახალშენა ზედ ეკვრის ქვემოქალას. ამ უკანასკნელთან შედარებით ძალიან ახალი დასახლებაა და ახალშენაც ამიტომ უწოდეს.

ახალშენას სასაფლაოზე დგას **ნანაანთსალოცავი**. ყველაზე მეტია კონიაშვილების გვარი.

### ახალციხე

უხუცესთა გადმოცემით, სოფელ ახალციხის ადგილზე ძველად დიდი დასახლება ყოფილა. ლეკიანობით თავმოებურებულ მოსახლეობას მიუტოვებია სამკვიდრო და გადახვეწილა. მე-18 საუკუნეში ლეკიანობის ბოლო დროს აშენებულა „ახალი ციხე“, რომელიც დღესაც დგას სოფლის ბოლოს. ციხის იმედით გახიზნული სოფელი უკან დაბრუნებულა და ახალ დასახლებას ახალი ციხის სახელი „ახალციხე“ უწოდესო. მოსახლეობა აცხადებს, რომ სოფელი მუდამ უბატონო იყო.

სოფელში **მუხაურისსაყდარია**; არის **კვირაცხოვლისეკლესია**; ასევე **წმინდაგიორგისნიში**, სადაც არამარტო გიორგობას ლოცულობენ.

სოფელში ყველაზე გავრცელებული გვარებია ბარნოვი, სოზი-აშვილი, მაზანაშვილი, სვანიშვილი, ხარატიშვილი და მანძულაშვილი.

### ბოჟამი

დაახლოებით 150 წელი იქნება, რაც ჩამოსხლდნენ ახალგორის რაიონიდან. საიდან და როგორ მოდის ეს სახელი უცნობია მათთვის.

მუხიანისტყეში **წმინდაგიორგისხატთან** 23 ნოემბერს **გიორგობას** დღესასწაულობენ. გაზაშვილებს აქვთ საგვარეულო სალოცავი ნიში, სადაც მხოლოდ ისინი ლოცულობენ.

### **გამდლისწყარო**

გამდლისწყაროს შესახებ არსებობს ასეთი თქმულება: პირვანდელი გამდლისწყარო ქართველებს დაუარსებიათ. ეს სოფელი ადრე მდინარე ტორტლას გადაღმა, სამხედრო გზის ზემოთ, ქვემორენეს დაბლა მდებარეობდა. ახალი ადგილის მაძიებლებს უპოვიათ წყარო, რომელსაც ედო ქვა წარწერით „გამდელი“, წყაროსთვისაც და სოფლისთვისაც **გამდლისწყარო** შეურქმევიათ. დღევანდელ ტერიტორიაზე გადმოსახლებულებს ახალი სოფლისთვისაც ძველი სახელწოდება მიუნიჭებიათ. როგორც გადმოცემა გვიამბობს, შემდეგ შავი ჭირი გაჩენილა და ვინც გადაჩა, სამკვიდროდან აყრილა. სამაჩაბლოდან მოსულ ოსებს ჩამოსახლების თარიღი არ ახსოვთ, თუმცა, სოფლის სახელი იგივე დაუტოვებიათ.

აქვთ **წმინდაგიორგის** სალოცავი ნიში – **ლექტეურა**; აღნიშნავენ **კიკნაობას** – ბარაქისა და დოვლათის დღეობას.

ყველა გვარს ჭარბობენ ზადიშვილები, ხუბაშვილები და ბულულაშვილები.

### **გომისჯვარი**

სოფლის ხანდაზმული მაცხოვრებლების გადმოცემით, სოფელი რამდენიმე საუკუნეს ითვლისო, მაგრამ, კერძოდ, რამდენისა, ვერ აზუსტებენ. სახელწოდების შესახებ ვარაუდობენ, რომ შეიძლება ტოპონიმ **გომიდან** ან პირდაპირ **გორისჯვარი** ედოს საფუძვლად. რაც შეეხება გომისჯვარს, მისი სახელობის ნიშიც კი არ არსებობს.

სოფელში არის **კვირაცხოვლის ეკლესია**.

### **გორაკა**

ძველი დასახლება ზემოთ, გორაკზე ყოფილა მოთავსებული. უგზოობისა და უწყლობის გამო სოფელი ქვემოთ გადმოსახლებულა და სახელიც ძველი გადმოუტანიათ, აქაც გორაკა დაურქმევიათ.

**წმინდაგიორგის** სალოცავი – ნიში აქვთ; მაჭრობისას, ნოემბრის შუა რიცხვებში იხდიან დღეობას. **კვირაცხოვლობისნიშთან** ადიან;



**კიკნაობას** სახლში აღნიშნავენ შემოდგომაზე, ბარაქისა და დოვლათის დღეობაა. კიკნაობა რას ნიშნავს ქართულად ან ოსურად ვერ ხსნიან ან საიდან მოდის ვერც ერთ სოფელში ვერ განმარტეს.

სოფელში ძირითადად ხუბაშვილები ცხოვრობენ.

### **გრაკალი**

სოფელი გრაკალი ძველად რკინიგზის გადაღმა ყოფილა. შემოსევების გამო მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის ნაპირას გადმოსახლებულან. სოფლის მიდამოებში დღესაც მრავლადაა მცენარე გრაკალი, რის გამოც დასახლებასაც შერქმევია.

სოფელში არის **ღვთიშობლის ეკლესია; წმინდაგიორგის ნიში.**

### **დოესი**

